

# ლიტერატურული გაზეთი

№10 (218) 18 - 31 მაისი 2018

ბამოლის ორ კვირაში ერთხელ, პარასკეობით

ფასი 80 თეთრი

თამაზ ჭილაძე

მომავალი წიგნიდან — „ნაპირი“

\*\*\*

ფიქრს შეუძლია იფრინოს ცამდე  
და უცაბედად მიადგეს ნაპირს,  
სადაც ილევა ზღაპარი ცხადის  
და სინამდვილე იწყება ზღაპრის.

სადაც იმედის ამარა ვრჩებით  
და თანაც შიშით რაღაცას ვუცდით,  
იქ სიყვარული თავდება ჩვენი  
და რა იწყება, უფალმა უწყის...

VIII-IX





ინათქაბა

საერთოდ მე მოყოლისა არაფერი გამეგება, თითქოს მცხვენი კიდეც, ხალხში რო ვარ თავს ვერა ვნეე მალლა, ძირში ვიყურები, როგორც ნანადირევის ქურდობაზე დაჭერილი უცხოტომელი, და ძლივს ვლულულულებ რაღაცას. მაგიტომაც შემარქვეს ლულულა აბელა, თანაც რა უნდა მოვყვე ისეთი, სხვები რო გავაკვირვო, მამაჩემი ხო გამოქვაბულიანთა ტომის ბელადი აბელაა, იმისი მამა კიდე დიდი აბელა. ჰო, მოყოლით ვერა ვყვები, მარა გაგონილი და ნანახი, მართლაც ბევრი მაქვს და მართოდ დარჩენილი ხშირად ველაპარაკები საკუთარ თავსა. დედამ შემამჩნია პირველად, დედის გული მაინც ხო სხვაა, მიყურა, მიყურა, მერე დამავლო ხელი და მამამისის, გამოყრუებულიანთა ტომის ბელადის, მიხაკოს, მთავარ შამანთან, ჭიპლარაანთ ლადოსთან ნამიყვანა: არიქა, ბავშვს ქაჯები შეუჩნდნენო. მათვალეირა ლადომ, ჯერ აქედან მომდგა, მერე იქედან, დედაჩემი კიდე არა სცხრება, მგონი ტახის გრიპი აქვს და დავილუპეო, მერე ჰკითხა ლადომ: რაზედ შეამჩნიეო?

რაზედო და, დაბანცალეებს მარტოდ-მარტო და თავისთვის ლაპარაკობსო.

რათა შვები მაგასაო? მკითხა ლადომ და მოვადე მეც პირი: აბა, მოყოლა მე არ შემძლია, მამაჩემი აბელაა, იმისი მამა კიდე დიდი აბელა და რა ვქნა-მეთქი.

გასაგებიაო, მითხრა ლადომ. მერე ადგა, გვერდზე მღვიმეში გავიდა და იქიდან ბრტყელი ქვები და ხარის ტყავში გახვეული ჩამქრალი, შავი ნაკვერჩხალი გამომიტანა: აჰოო, გამომართვიო და რამდენი საკუთარი თავისთვის რაიმეს მოყოლა მოგიწდება, ქვებზე დანერეო.

გამეცინა, ამას, მეთქი, იმაზე დაცურებული ჰქონია, ვიდრე სხვები ამბობენ, მარა მიხვდა, ქვაზე ჩამოჯდა და მითხრა: ნუ იცინი, ჯერ სცადეო. მეც ერთი ვცადე და მაგის მერე ველარ გავეშვი, ყველგან ნაკვერჩხლებითა და ქვებით დავიწყე ხეტიალი, რო თუ რამე მომენონა, ეგრევე ჩავნერო. დედაჩემი სულ ჭიპლარაანთ ლადოს წყევლაში იყო: საცა გადავეყრები, იქ ჩამოვუღებ კბილებს, ბავშვი წყნარად იჯდა, თავისთვის ლაპარაკობდა, არავის არაფერს უშავებდა, სწავლითაც სწავლობდა და გამოქვაბულშიც მეხმარებოდა, ამ ნუშაქმა კიდე მთლად აურიან გონება, ახლა გამოქვაბულ-გამოქვაბულ დაეხეტება თავისი ქვებით, ყველას უსმენს და მერე მთელი დღეები რაღაცეებს ჯღაბნისო. მარა როდესაც ჩემი ნაჯღაბნები ნავაჯითხე, მოლბა, დანყნარდა, არც ისე ცუდად ყოფილა საქმეო და შუბლზეც მაკოცა.

— აუ, რა დღე გაუთენდა ჭიპლარაანთ ლადოს ორ კბილს! — იხუმრა აბელამ და ამით დამთავრდა ყველაფერი.

მე კიდე შორს წასვლა არ მომიწია, მამაჩემი აბელა აგერ მყავს ყურის ძირში, ვზივარ, ვუსმენ და ვჯღაბნი ხოლმე, კი ბევრი დამიგროვდა, ჰოდა, ვიფიქრე იქნებ სხვებსაც მოეწონოთ-მეთქი და აჰა.

ცოტა რამ აბელას შესახებ

სხვანაირი კაცია მამაჩემი აბელა. აი, ძველები რომ იტყვიან — ძველიო, ეგეთი. ფიქრი უყვარს ძალიან, ნამოგორდება ხოლმე დილაობით ბაბუაჩემის, დიდი აბელას მოკლულ მახაიროდის ტყავზე (ბაბუაჩემ დიდ აბელაზე კიდე ცალკე გიამბობ), დაილაგებს გვერდზე საქსოვ ფურცლებსა, აი, იმას, რომლებიდანაც დედაჩემი, გამოყრუებულიანთა ტომის ბელადის, მიხაკოს, ასული — სალსალამათ მზია — ძაფებსა და გორგლებს აჩენს, ნაუკიდებს ცეცხლსა, ჩაისუნთქავს იმის კვამლსა და მერე მთელ დღეს ცაში იყურება, თითქოს რაღაცას ეძებსო. ფიქრობს, შვილო, ფიქრობს, მეტყვის ხოლმე დედა და მეც მჯერა, იმიტომ რო ისეთი სახე აქვს ხოლმე ასეთ დროს აბელას, რო ძნელად თუ დაიჯერებს კაცი, ეს ფიქრის გარდა სხვა რამეს აკეთებდეს.

საღამოობით კიდე ლაპარაკი უყვარს აბელას, ჩამოჯდება ხოლმე ჩვენი გამოქვაბულის შესასვლელთან, ჩამოსდებს დანაოჭებულ ნიკაპს ბიძამისის, ლაყე გვივას მენჯის ძვალზე და ჰყვება და ჰყვება. ჰყვება ამ გორისას და იმ მთისას, ამ გამოქვაბულისას და იმ ხეობისას. თუ ვინმე გამელელს დაინახავს, გააჩერებს, სახელს და

ლადო კილასონია

გამოქვაბულიანთა ტომის ბელადის, მამაჩემ აბელას ისტორიები

ფრაგმენტი მომავალი რომანიდან



ტომს ჰკითხავს, გაიგებს რა ხელობის კაცია და მერე რაიმე ამბავს უამბობს მისივე ტომის შესახებ.

ამიტომ უყვართ აბელა, უყვართ და უსმენენ. ვინ აღარ მოდის ხოლმე, ბავშვები, ქალები, მოხუცები, ერთხელ მერიც კი იყო მოსული, უსმინა, უსმინა, მერე ნამოდგა დაიდო ხელი თავის სქელ ტურნებზე და ხმამალა თქვა: ამისთანა ამბები, მეგონა, მარტო ბაბუაჩემმა, მთლად დიდტურა მერმა იცოდა, და აგერ იმაზე მაგარს არ გადავეყარეო!

დატორილი და სამუშაოზე ვერგასული მონადირეები ხომ სულ მუდამ აქ არიან. გადმოყრიან და მტკვრულ დაბარულ ლოჯებს, გამარჯვებულ და მლოლ-დალენილ ხახას, ნამინისძვრალ მღვიმეს რომ მიუგავთ და იცინიან, ხორხობებენ.

ხან ბრონტოზავრის შარდს მოიტანენ, სანაპიროდან ქვებზე გამხმარ ზვიგენს ამოაყოლებენ, ჩაბიჭვინდებიან და მერე ნახევრად მძინარენი მიყურებიან გამოქვაბულის კედლებს, ხანაც ტირანოზავრისას ამოაცუნცულევენ, მაგრამ მაგას უფრო მეტი სიფრთხილით სვამენ, ცოტ-ცოტას ეპარებიან, ყლურნავენ და საქმელსაც ბევრს აყოლებენ, თორე ტირანოზავრისა მურტალი, თანაც თუ ორნახადია, მაშინ ხო, საერთოდ, მარა ეგ ორი — ბრონტოზავრისა და ტირანოზავრის თუ აურიე, მორჩა, დაიღუპე.

კი არ ვიგონებ, ჩემი თვალთა მაქვს ნანახი, ერთხელ, მეტეორიტების ცვენა იყო მაშინ, აურიეს, ერთს მეორეზე აყოლებდნენ და ისე გამობიჭვინდნენ რო ერთმანეთს დაერიენ, ცოლებიცა სცემეს, ჩვენც — შვილებიცა და მამებიც.

ჰო, სხვებმა თურმე მამებიცა სცემეს, მარა, არა მგონია, აბელას ეგ გაებედა, თორე დიდი აბელას ამბავი ბარე ყველა გამოქვაბულში იციან. ამბობენ მარტოკასა ჰყავს მახაიროდ მოკლულიო. ვისაც თვალთ არ უნახავს, არ იჯერებს, ტყუილიაო, მაგრამ ვინცა ნახულობს, იმას ეჭვი უჩნდება, ეგებ და კიო, იმიტომ რო მზის შუქზე გამოსულმა დიდმა აბელამ ლამისაა დაფაროს გამოქვაბული, ტორები აქვს ასწლოვანი მუხებივით მკვრივი და გაუხ-

ემებული, კუნთები აქვს კისერზე — დედაჩემის ნანავევით, მარა მთავარი მაინც თვალბია, ყველაზე დიდი ტახის ჯაგარივით ხშირ, შავ ნარბებს ქვემოდან რომ გაქვავებენ ადგილზე.

აბელა ამბობს, ეგ კიდე არაფერია, თქვენ ბაბუაჩემი, სულ დიდი აბელა უნდა გენახათ, ის იყო რაც იყო, ორი ამხელაო, მარა მე მგონია ტყუის, იმიტომ რო ნამეტანი დიდი დიდი აბელა და თუ სულ დიდი აბელა ორი მაგოდენა იყო, მაშინ ეს ისედაც გადაშენების პირას მყოფი დინოზავრები, უეჭველია, ჩვენამდე ვერ მოაღწევდნენ, მერე კიდე, იმიტომ მგონია, ტყუის, რომა უნდა სხვებს აფიქრებინოს, ვითომ საერთოდ არ ემინია დიდი აბელასი, არადა ემინია, ნაღდად ვიცი, რო ემინია, ეგეც ჩემი თვალთა მაქვს ნანახი.

მაგარი ჩაბიჭვინებული იყო მაშინ აბელა, ტირანოზავრისა და ელია დატორილებთან და შეუჩნდა დედაჩემი, ქალებმა ხო ეგრე უდროოდ იციან გაგიყვება, ჰოდა, შეუჩნდა: რათ არ ვარემონტებთ გამოქვაბულსაო, ეგე რაღაც ახალი მოუგონიათ, კაციჭამიურ პროექტს ეძახიან, კედლებში ნახვრეტებს ხვრეტენ და ხის მორებს ასრიალებენ შიგნით, შუქიც მეტია და ნანადირევიც ძირს არ ეთრევაო. შეუჩნდა და შეუჩნდა: ამ სოროში ცხოვრებას ველარ ავიტანო, თავის გამოყოფისა მცხვენია მეზობლებში, შენი ბიძაშვილი რქიანი თედო როა, იმასაც კი კაციჭამიური პროექტი მოუხერხებია და შენ რა გამოხვედი ასეთი ლაყე, მთელ დღეებს ცაში ყურებასა და ლაქლაქში ატარებო. მაშინ კი გაგიყვდა აბელა (ეგ რო გაგიყვდა კიდე ძნელია, ვერ მიეკარები, დაგტორავს დათვივით), ნამოავლო ხელი ლაყე გვივას მენჯის ძვალსა და უეჭველი თავს გაუხეთქავდა დედაჩემს, რო ბედად დიდი აბელა არ მობრუნებულყო, ერთი დაუყვირა, დადეო, და სწორედ მაშინ ვნახე ნამში დაშოშინებული აბელა, პატარა ლომის ბოკვერივით რო წალასლასადა თავისი ოთახისაკენ.

დაისვა დიდმა აბელამ დედაჩემი და უთხრა: მე და ჩემი ძმა ობლებად დავიზარდეთ, პატარები ვიყავით, რო მამაჩემი, სულ დიდი აბელა ნადირობაში გაფატრა

ცოფიანმა მამონტმა. დედაჩემი ორ ადგილას მუშაობდა ლუკმა ჰურის საშოვნელად, დღისით შხამიან მინდვრებში კრეფდა სამკურნალო ბალახს, ღამით კიდე დამლაგებლად იდგა მდიდრებიანთ ნასახლარს რო იტყვიან, იქა და შინ მოსულს მჯდომარეს ეძინებოდა, წყალიც ჩამოსდიოდა, შიოდა და ხვრელი კი არა ნაპრალიც არა ჰქონდა გამოქვაბულში, მზის შუქი რო დაენახა. კაციშვილი არ იყო იმის დამხმარე, მარა ორივენი ისე გაგვზარდა, ერთი არ დაუნუნუნია, შენ კიდე ამოდენა რამე გაქვს და მაინც უკმაყოფილო ხარო.

მაგარი კაცია მამაჩემი აბელა, მარა ბაბუაჩემი დიდი აბელა კიდე უფრო მაგარია და ამიტომ გამორჩევით მიყვარს. ამას ალბათ აბელაც ხვდება, იმიტომ რო, თუ სხვების თანდასწრებით მარტო საკუთარ თავზე გადახდენილ ამბებს იხსენებს (იმათ ქვემოთ თქვენც მოგიყვებით) მარტოდ დარჩენილი ხშირად მიყვება ხოლმე ბაბუაზე, ბევრ რამეს მიყვება, ძალიან ბევრს, მაგრამ მე, განსაკუთრებით ერთი ისტორია მიყვარს და იმას მოგიყვებით.

რად არა სტამენ გამოქვაბულიანთა მურაბას, ანუ რად ჩამოსწელია მამაჩემ აბელას ძვიდა ტური

ჩანჩქერის ძირში კაცი ეპოვნა მამაჩემ აბელას. ერთი ბენო ყოფილა, გალუული, კანზე ისე ეტყობოდა ძვლები, როგორც გატყვევებულ ნადირს და გულწაღებული ეგდო სველ შავ კლდეებში.

მხარზედ გაუდგია აბელას უცხო, უწონო იყო ფიჩხითო, იხსენებდა მერე, და ეგრე ჩამოუყვანია, ჩვენსას, გამოქვაბულიანთ. დაფაცურებულა ტომი, ზოგს თბილი ტყავაშუქი მოუტანია, ზოგსა ცხელი კერძი, მოუსულიერებით საცოდავი და მიუნვენიათ კოცონთან.

გაუღვიძნია მეორე დღეს მამაჩემს და ხედამს გამოქვაბულში ნისლი დგას, გეგონება, სისხამ დილას გასულხარ ტყეში. მარა ნისლი არაა, კვამლია. ემანდ რამეს ხო ნაეკიდა კოცონიდანო, ის კაცი იქვე არ ინვაო, უფიქრია აბელას და ხელების ფათურით, თითქო მიცურავსო, შესულა კვამლში — სტუმარი რო გამოქვაბულში გაგეგუდოს, სადა უნდა გამოჰყო მერე თავი.

მიუღწევია კოცონამდე და რასა ჰხედამს: კაცი ნამომჯდარა, ფეხები შიგნით შეუკეცნია, დაუხვევია ის საქსოვი ფურცლები (რომლებიდანაც დედაჩემი, სალსალამათ მზია, ძაფებსა და გორგლებს აჩენს და რომლებს ალის შესუნთქვაცა ასე უყვარს მამაჩემს), მიუღწევია თვალბი, ჰქაჩამს ნებეირადა, და უშვებს კვამლსა.

მაშ, მოკეთებულხარო, წინ დასჯდომია მამაჩემი აბელა სტუმარს.

კიო, თავი დაუკრავს იმას, დიდად მოდლობელი ვაარ გადარჩენისთვისაო.

რაის მადლობა, ძმობილო, შენი სახელი და ტომი მითხარა, რო ერთმანეთსა ვსცნობდეთ ამის მერე, მე გამოქვაბულიათ აბელა მქვიაო, უთქვამს მამაჩემს.

მე შალიკოს მეძახიან და ნისლეთიდან ვაარო, უპასუხნია უცნობს და თავის ქვეყანაზედ მოუყოლია, თან სულ იმგვარად, რო ზღაპარში მეგონა თავიო, ამბობს მამაჩემი.

ჩემი ტომი ისეთ მინაზე სახლობს, რომლის ირგვლივ სულ წყალია, მინაზედ კი მუდამ ნისლი წვესო და აგერ აქ, თქვენ რო მზე გაქვთ და კამკამა ყვითელი როა, იქ ჩვენსას, ნისლეთში — ლურჯიაო.

ჰოდა, დაარქვეს უცნობს ლურჯი მზის კაცი შალიკოი.

კანაფი უყვარდა შალიკოსა ნამეტნავად, დღე არ გაივილიდა, იმის ნაცრისფერ კვამლში არ გეხვეულიყო და თვალბი არ დაეხუჭნა, უყურებდი იმ ჯანლში და ზის, მოლუნული ცხვირითა, ცოტა წინ გადახრილი და სუნთქავდა ეგრე. ქორსა ჰგავდაო.

რასა ზიხარ სულ ეგრე დედაკაცივით სახლშიო, უთქვამს ერთხელ აბელას და სანადიროდ ნაუყვანია შალიკოი. საღამოსკენ კი გაოცებული დაბრუნებულია მხარზე გადაებული ვეება ტახითა.

ე ვინა ყოფილაო, უთქვამს დიდი აბელასთვის, აგერ ამ ტახს რო უყურებ, ერთი კვირის წინანდელი კვალთ მიაგნოო. როგორ? გაჰკვირვებია დიდ აბელას. როგორ და მივდიოდით, რო ჩამიუნდა და მეკითხება, აი, ეს რა არისო? დახვდე,

ნაკვალევია ოღონდ აღარა სჩანს რისი მეთქი, და დაიწყეთ:

აბა, აქა ჩახედე ამ ღრმულეხასო, ესაო ჩლიქებიაო, ოღონდაცა ნახე როგორ იტოტვება, ისეთი დიდი არაა, როგორც შინაური ცხოველისო, ესაო უეჭველად ღორისაა და იცის ეგეთი რამეები აქაო? კი, მეთქი, ტახი იცის.

ბალანი როგორი სიგრძის აქვსო, მკითხა შალიკომაო.

ვაჩვენე და აღარ უთქვამს არაფერი, შეერია ტყესა და შევეყვი მეცაო. ვუყურებ, მიდის მთვარეულივით, ხან აქეთ გაუხევებს, ხან — იქით, ქვემოთ კიდე კვალი არაა. საით მიდისარ-მეთქი და მივსდევო.

ვისა-მეთქი?

და ისევე არ მიპასუხა, არაფერიო. მივდივართ, ეს ხან გაჩერდება და რაღაც გადა-მტვრეულ ტოტებსა ან ჩამოცვენილ ფოთლებს უიკრიკიტებს, ხანაც წყლის პირას ჩაიმუხლება და ნაპირებს ათვალიერებს და მიდის და დავიხედე და კვალს არა ვხედავ, ტახის კვალია, ისე მკაფიო და იმიტოლა... ვეუბნები, აგე კვალი-მეთქი და ვიცით, მპასუხობს ისე, რომ ძირსაც არ იყურება, მიდის და თან წწყვეტს რაღაც ფოთლებსა. რომ მივაღქეთ ბუნაგსა, სორო იყო ჩემ სი-მალღე. აი, შე ბოთე, ვეუბნები, ტახი აქ აღარ იქნება, ჩვენი სუნი მიუფიდოდა და გაიქცეოდა და მომიბრუნდა და მამ რა ჯანდაბად ვწყვეტი შენი აზრით ამ ფოთლებსა, რა, თაიგულის შეკვრა კი არ მიწოდოდა. არ ვიცი, რა ფოთოლია, მარა ისეთი ის სუნი აქვს, კაცის ოხმივარს ხელად ჩააქრობს და მიდი, მიაყურადე, ვისი ქშენა ისმის ბუნაგიდანო და მართლაც დავუგდე ყური და ტახია. ჩამოვიღე კეტი, შესვლაც დავაპირე, მარა არ გამიშვა, სხვანაირადო, ამაკრო სოროს შესასვლელსა, შევიდა თვითონ, ტახი გამოუდგა და გარეთ რომ გამ-ოვიდა, თავში დავეკარი კეტი და სული გავაფრთხოვინეო. უკანა გზაზე ვკითხე: შალიკოვ, როგორ მიაგენიო და ყვე-ლაფერი ამისხსნა, ის სულ პირველი კვალი რო ვნახეთ, მარჯვენა მხარე უფრო ღრმა იყო, ამიტომ ვიფიქრე, აქეთ უნდა ევლო ცხოველსაო, მერე გადამტვრეული ტოტ-იც შემხვდა, ოღონდ იქ მინა კლდოვანია და კვალი არ იყო, მარა მოშორებით მი-ნარის პირას, მეორე ნაპირზე, სწორედ იმ კლდის ნატეხი ეგლო მინაში, ანუ ტახს აქ გამოევლო, ჩლიქში ჩარჩენოდა ქვა, მერე წყალში გაეცურა, ჩლიქები დასველებოდა და გაღმა დაეტოვებინა კლდის ნატეხი, მერე კი კვალიც გამოჩნდაო.

და დაუნყეს შალიკოს ტარება ნად-ირობაზე და ლურჯის მზის კაცს ყოველ ჯერზე ბუნავთან მიჰყავდა მონადირეები და ისეთ დროს და ისეთ ადგილებში პოუ-ლობდა ნადირს, სხვა რო ვერაფრით ნარ-მოიდგენდა, გეგონება, წინასწარ იცის, რომ იქ არისო.

ერთიც არი და გაქრა თურმე მამაჩემი აბელა. გაირეკა დეპუტატი\* და კვირის თავზე არ მობრუნდა უკან. დაიცადა ერთი ორი დღეც დიდმა აბელამ, მერე კი უთხ-ოვნია შალიკოსთვის:

ცუდს მიგრძობს გული და გამომყე, ლურჯი მზის კაცო, რამე ხიფათი ხო არ მოენია ბალღსაო.

გაპყლონა შალიკოცი, აუკიდნია ზურგ-ზე საქსოვი ფურცლებით გამოტენილი ზუგჩანთა და გასდგომიან გზასა.

კვირის თავზე აბელას დეპუტატს გადა-ჰყრიან. ველზეა გაშლილი, ძაღლებიც დარაჯობენ, აბელა კი არა სჩანს.

აბა, ჩემო შალიკოო, უთქვამს დიდ აბელას და უპოვინია შალიკოს მამაჩემის კვალი. უფლიათ, უფლიათ, გადაუვლიათ ორი მთა და სამი ტბა, გასულან ტყიდან და ჰხედამენ მათ წინ ქვის მალალი დაკბილუ-ლი კედელია, ამ კბილებში კიდე შუბიანი ჯარისკაცები ჩამდგარან, კედელში მალა-ლი მრგვალი შესასვლელია და შეედინება შიგ ხალხი, გეგონება ნაკადული მიუყვება თავის კალაპოტსო და აბელას კვალიც იქით მიდის.

შეერიენ შალიკო და დიდი აბელა ხალხ-სა და მიდიან გზაზე, რომ შალიკოს გადაუ-ჩურჩულდება დიდი აბელასთვის, ქვედა ტუჩი დაბლა დანეიო.

რადო? გაპყვრებია დიდ აბელას. მიმოიხედე ირგვლივ და მიხედებო, უთქვამს ლურჯი მზის კაცს.

ხედავს დიდი აბელა, ირგვლივ ვინც მოდის, თითქმის ყველას ქვედა ტუჩი ჩამოწეული აქვს, ვისაც არა კიდე, კედლის შესასვლელში ჩამდგარი ჯარისკაცები

აჩერებენ: მურაბა თუ გაგისინჯავსო, ეკითხებიან. ხის ვეება ჯამიდან დიდი კოვზით ამოაქვთ, ტკბილი ნებოვანი სითხე, პირში სჩრიან და მხოლოდ ამის მერეღა უშვებენ შიგნით.

მურაბააო, გასცინებია დიდ აბელას. ტუჩი ჩამოწეო, თავი გაუქნევია შა-ლიკოს, ჩამოუნევიათ ორივეს ტუჩები და ეგრე შესულან შიგნით.

კედელს იქით კიდე ლამაზი ქალაქია გაშენებული, კოხტა სახლებით, ქუჩაში გამოფენილი ფუნდუკებით და ბაზრობე-ბით და ქალაქის შუაგულში, მთავარ მოედანზე, დიდი, მაღალი ქვის სასახლეა აზიდული. მარა ირგვლივ ვინც მოძრაობს, ყველას ქვედა ტუჩი აქვს ჩამოწეული.

აქეთო, უთქვამს შალიკოს, შესულა ერთ ფუნდუკში, დამჯდარა მაგიდასთან, მეფუნდუკისთვის სასმელი და საჭმელი შეუკვეთია. რომ გამძღარან, ხელით უხმია მეფუნდუკე და ეკითხება:

კეთილო მასპინძელო, აქ რომ შემოვ-დიოდით, უგემრიელესი მურაბა გაგვას-ინჯეს ჯარისკაცებმა და ეგ ხომ არა გაქე-თო.

არაო, უპასუხნია სახეგაბადრულ მე-ფუნდუკეს, ეგ დემოკრატის მურაბაა, მარტო სასახლესთან რიგდება და მაგის გაყიდვის უფლება არავის აქვსო.

რიგდება, ანუ უფასოაო? უკითხავს შა-ლიკოს.

უფრო მეტიც, სავალდებულოა, ჩაუ-ცინია მეფუნდუკეს, ჩვენი მთავრობა უფა-სოდ გვაჭმევს ამ მურაბას ყოველ დღე სამ საათზე და ყოველ სტუმარს შემოსვლისას ამით უმასპინძლდება, რომ სტუმარიცა და მასპინძელიც ბედნიერები შეხვდნენ ერთ-მანეთსაო.

და სად კეთდება ეგ მურაბაო? უკითხ-ავს ლურჯი მზის კაცს.

აი, ეგრე არ ვიციო, უპასუხნია მეფუნ-დუკეს.

შალიკოს მადლობა გადაუხდია და გამოსულან ქუჩაში.

აბა, ნამო მთავარ მოედანზეო, სასახ-ლისკენ დამრულა შალიკოი და გაპყლონა აბელაც. სამ საათზე მოედანზე ქალაქის მოსახლეობას მოუყრია თავი, ისე გადა-ჭედოდა იქაურობა, ნემსს ვერ ჩააგდებ-დით. მერე გაღებულა სასახლის კარი, გა-მოსულა იქიდან ცხენებზემული ურიკა, რომელზეც მაღალი, გამხდარი კაცი დგას, ნითელი, გრძელი სამოსი აცვია და გაპყვრის:

„უფრო მეტი და ტკბილი დემოკრატის-ისთვის! უფრო ნათელი და სუფთა მომავ-ლისთვის, მიირთვიე ყველამ! რადგან დემოკრატისა კვება სჭირდება!“

და აქ დიდმა აბელამ თავლებს არ დაუჯერა თურმე, ნითელაბადიანი კაცის გვერდით, მამაჩემი აბელა არა დგას?! ქვე-და ტუჩი დაბლა ჩამოსწევია, დიდი ხის კოვზით ავსებს მისკენ განვიღლ ჯამებს მურაბით და გაპყვრის:

„დემოკრატისი მურაბა! ხსნა და კურთხევა სულადა! დასავლეთს ჩვენი სალამი! ჩრდილოეთს ჩვენი მურადა!“

და ბოლო სიტყვებზე ორივე ხელს საოხრებზე იდებს.

შვილისკენ წასვლა დაუპირებია დიდ აბელას, მარა არ გაუშვია შალიკოს, დად-

ექ, აქ რაღაც სხვა ამბავი ტრიალებსო. და მართლაც ჩამოურიგებიათ მურაბა, შეუს-ვამს ხალხს, გაულოკნია დატკბილული ტუჩები და გაბრუებულები ნაბარბაცებუ-ლან თავ-თავის გზაზე.

რა ვქნათო? უკითხავს აბელას. რა და ნითელაბადიანი კაცი უნდა ვიპოვოთო, უთქვამს შალიკოს.

სისხამ დილამდე ჰყარაულობდნენ თურმე. და გამოსულა როგორც იქნა ის ურიკა სასახლიდან.

ე ბიჭო, ნისლში არ დაგვეკარგონო, შეშინებია აბელას.

ეგ არ იდარდო, ჩაპლიმებია შალიკოს და ძუნძული გაპყლონან ურიკას.

ნითელაბადიან კაცი ქალაქის განა-პირას, ერთ მიყრუებულ, დანგრეულ და ეკალბარდებით დაფარულ ბაღში შესულა. აქეთ-იქით გაუხედია, ხომ არავინ მითვალთვალესო, მერე მინაზე გართხმულ ბალახში მოუფათურებია ხელი, ოთხკუთხედი ნაჭერი ამოუნევია და შიგ ჩამალულა.

ჩაპყვრენ დიდი აბელა და შალიკოი და ქვის კიბეზე აღმოჩნდნენ, რომელიც ტა-ლანებით დასერილ გამოქვაბულში ჩადიო-და. სველი ქვის კედლებზე მარტო მამხლე-ბირო ჰკიდინან, ეგეთმა.

მიაყურადეს, შორიდან ხმები მოდის. ფეხაკრეფით მიიპარნენ და დარბაზში შეიხედეს, ქვის მაგიდას ათი მსუქანი კაცი ეჯდა, ნითელაბადიანი ფეხზე იდგა და სხაპა-სხუბით იძლეოდა პასუხებს.

პროდუქციის გაზრდასა საჭიროოო! აღარა გვეოფნისო!

ხო, არ დაეხოცავთ, კაცოო! ამბობდა მსუქნებიდან ერთი.

დახოცვა არც გვინდა, უბრალოდ უფრო ნოყიერი და მეტი საჭმელი უნდა მი-იღონო, ფრთხილად იძახდა ნითელაბა-დიანი.

ისედაც დღეში ექვსჯერა სჭამენ! და მეტი რაღა უნდა ვაჭამოთო! არ თმობდა ის მსუქანი.

მოიცა, მოიცა, თუ ექიმების ზედამხედ-ველობის ქვეშ შეჭამს დარეგულარული ან-ალიზები და შემოწმებები ექნება, არა მგო-ნია, სახიფათო იყოსო, ამშვიდებდა მეორე მსუქანი.

შენთვის ადვილი სათქმელია, შენი ჯერ ახალგაზრდაა, აი, ჩემი კი მოხუციაო, არ იზიღა პირველი!

აბა, რა ვქნათო? ხო იცი, თუ არ ვიზამთ, ყველანი დავილუპებითო! ჩაერთო მესამე მსუქანი და ყველანი დაეთანხმნენ, ეგრეო.

ნამო, უთქვას დიდი აბელასთვის შალი-კოს, აქ ყველაფერი ნათელიაო.

რაო? გაპყვრებია აბელას, მაგრამ ლურჯი მზის კაცს არაფერი უპასუხნია და ჩუმად გაყოლია შიგ ვიწრო ტალანს.

ტალანის ბოლოში უქუი რო გამოჩნდა, შალიკო და დიდი აბელა კედელს აეკვრნენ და ეგრე გაიჭყიტეს გარეთ, მაღალი გალა-ვნით შემოსახლებულ ტრიალ მიწოდებში, წრედ იჯდნენ კაბაჩანული ქალები, ლაპარაკობდნენ და კომფორტულ სავარ-ძელის ზურგან ქოთნებში ისაქმებდნენ. თავისას რომ მოჩნნენ, წამოიშალნენ, ნიფხ-ვები და კაბები ამოიცივეს და წელი ნაბიჯით წავიდნენ კედელში დატანებული დიდი კარისკენ, კარი გაიღო, იქიდან ის მუსქანი კაცები შემოვიდნენ, წელან რო უსხდნენ

ქვის მაგიდას, ღმილით შეეგებნენ ქალებს, ხელკავი გამოსდეს და ნაზად შეუძღვნეს ღია კარში.

და როგორც კი შალიკოს ყურს მისწე-და სიტყვები: როგორ ხარ, დედა? ლურჯი მზის კაცმა ხელები მოიფშვინა.

კარი რო დაიკეტა, მიწოდებულ შეხედნენ, რომლებსაც ნითელაბადიანი ხელმძღვ-ანელობდა, სავარძლის ზურგის ქოთნე-ბი აიტაცეს და სხვა კარში გაუჩინარდნენ.

ნავედით, უთქვას შალიკოს და ის და დიდი აბელა ქოთინანებს შეპყვლიან.

რა ხდება, კაცო, აღარ გამაგებინებო? უთქვას დიდ აბელას გზაში.

რა და, ვერა ხედამ, ეს მსუქნები დედი-მისის ძღრენს ურევენ დემოკრატის მუ-რაბაში და იმას აჭმევენ ხალხსა, უპასუხ-ნია შალიკოს და მართლაც ის და აბელა უცებ უზარმაზარ დარბაზში შესულან, სა-დაც დანთებულ კოცონებზე ვეება ქვაბებ-ში ბუყბუყვებდა მურაბა, ქვაბებზე კიბები იყო მიმდგარი, შავებში ჩაცმულ კაცებს ზედ აჭკონდათ ქოთნები, შიგნით ყრიდნენ განავალსა და მერე გრძელი, მრგვალი-ვიანი ხის კოვზებით ურევენ. ერთ-ერთ ქვაბთან კიდე მამაჩემი აბელა იდგა იმ დიდი ხის კოვზითა.

ახლაო? უკითხამს დიდი აბელას.

აი, ახლა გადმიღე შენი მუხის კეტი და ჰკა, მაგათო! დაუძახნია შალიკოს და დაბზრიანებულა ციბრუტივით დიდი აბე-ლა, მარა რა დაბზრიანებულა!

სულ დაუღელანვს ის ქვაბები ისე, რომ ნითელაბადიანი იმ მურაბის ტალღებს ნაულია, დაუთეთქვია მცველები, მამაჩემი აბელაც დაურეტიანებია, გაუკოჭია, აუკიდნია ზურგზე, მერე ქვის კედელი გაუგრევიდა და ეგრე გამოქცეულან ის და შალიკოი, გამოურეკნიათ დეპუტატი და ათი დღის თავზე მოსულან ჩვენსას, გამო-ქვაბულიანათ.

მარა არ იქნა და არ იქნა მამაჩემის გონზე მოსვლა, ღმუის და ღმუის თურმე და ანკლაპუნებს გადორბილ ტუჩებსა.

ლომკა ააქვს, მურაბა უნდაო, უთქვამს შალიკოს.

და აი, მანდ მოუფიქრებია დედაჩემს, იქნება პატრიოტიზმის წინაქამ უშველოსო.

ეგ პატრიოტიზმის წინაქამ მარტო ჩვენ-სას, გამოქვაბულიანათ მოდის (ზეობის მთის ძირში ღვივის ნითლადა, ჩაივლი და დაინახავ ისეა მოპუნტილი მწვანე ბალახი, გეგონება დაჭრილ მამონტს ჩაუვლიაო) და მურტალი რამეა, მცირე დოზით ძაან რო უხდება ნებისმიერ საჭმელს, მარა მეტი თუ მოგივიდა, ტრაკში ისეთ ცეცხლს შეგ-ინთებს, ტვიანამდე რო ადის, და დადინარ მერე ეგრე დაბევერილი, გაფხორილი, გაბლენილი, ბერავ ტყუილბურალოდ ლოყებს და სინამდვილეში კიდე ჰაერის გამოშვების მეტი არაფერი შეგიძლიან.

მეოთხედი შააჭამეს მამაჩემს თურმე, ხელად მობრუნებულა და მოუყოლია: დეპ-უტატი გახდომია ცუდად, ვიღაც მაგზავს გადაპყრია და იმას მიუყვანია იმ ქალაქის კედელთან, საცა გაუსინჯავს კიდეც ის მურაბა, რომ ექიმის საშოვნელად შიგნით შეედნია და უცებ თითქოს ნისლი ჩამოწეო.

იმის მერე არა სჭამენ ჩვენსას გამოქვ-აბულიანათ მურაბასა და მამაჩემი აბელას ძაან რო მოუწოდებდა ტკბილი, ჩამოისვამს ხოლმე ჩამოწეული ქვედა ტუჩზე ხელს, მოიგდებს ტყაპუჭს და ნავა ტყეში სანად-იროდ.

შალიკოი კი თავის ნისლეთში დაბრუნ-და, ბევრი ეხვენა დიდი აბელა თურმე: მე ახლა სამი შვილი მყავს, გარდაცვლილი გიცია, აბელა და შენ, და ნუ მიმატოვებ და როგორც შვილს ისე გაგინანილებ მემკვი-დრეობასო, მარა არ დარჩა შალიკოი, ნის-ლეთში ძმა მყავს და თუ არ ჩავალ დიდ ხი-ფათში ჩავგადებო. მარა გახსოვდეთ, ნის-ლეთში თქვენცა გყავთ ძმა და შვილიო, სათითაოდ ჩაეხუტა ყველას, აუყვან აღმა იმ ჩანჩქერსა, რომლის ძირსაც იპოვნა აბელამ და შეერია ნისლებში გახვეულ ლურჯ მზესა ლურჯი მზის კაცი შალიკოი.

\*სამწუხაროდ, პირველყოფილი ქვის ეს მონაკვეთი ძალზე დაზიანებულია და ტექსტის გარჩევა შეუძლებე-ლი ხდება, ალბათ იგულისხმება მინაური პირუტყვი, როგორც არის ძროხა, ღორი, ცხვარი, თუმცა ყველაზე დამაჯერებელია თეორია, გამოთქმული კალიფორნიის უნივერსიტეტ „etsyou“-ს ნამყვანი არქეოლოგის, პრო-ფესორ ნილ ჩესვიკის მიერ, რომელიც არჩევანს ცხვარზე აკეთებს და ამ ფაქტს იმით ასაბუთებს, რომ ეს ორი სიტყ-ვა თავისი სინტაქსური და ქვედა მორფოლოგიური (ანუ აზრობრივი) სტრუქტურითა და კონტექსტით ძალზე ნა-ავს ერთმანეთს.





### ჯემალ ინჯია

#### მოციქული

ველარ ჩაუვლით სამსახურს გვერდით  
თქვენთან შეზრდილი ჩანთით.  
რა დიდი გული დაგქონდათ მკერდით,  
თუმცა უგულვლო ჩანდით.

შორს მიმავალი ადრე თუ გვიან  
გადაეყრებით ჯებირს,  
ფრთხილად იარეთ, შეგხვდებათ ქვიან  
გზაზე უხუფო ქებიც.

თქვენ იქ მიდიხართ, ღვინოც იგულეთ  
და სვით, გზა არის შორი.  
ფხიზელი ხომ ვერ იმოციქულეთ  
ყოფნა-არყოფნას შორის!

#### შუქცავადი ლექსი

სონეტის მწერი კალამი  
მაჯამისაკენ მექცევა.  
ერთ წიგნზე ისე ვამთქნარებ,  
ცალი ყბა გვერდზე მექცევა.  
რა დროს სიბრიყვის კითხვაა,  
ცა როცა თავზე მექცევა!  
რალა თქმა უნდა, მის ავტორს  
არ ვთხოვ შემოქმედს მექცევა.  
წუთისოფელი ტიალი  
ძალიან უღვთოდ მექცევა.  
ღვინის მაგივრად შენდობის  
თქმისას ნაღველი მექცევა.  
კაცს რომ ვეყრდნობი, ფუტურო  
ბოძივით, ისიც მექცევა.

#### 29 თებერვალი

ზაზა, გახსოვს დაბადების დღეს  
რომ ჩააბარე გამოცდა „მასალათა გამძლეობაში“?

შენ გაუნძიდი (მე მინდა, საცნაური ვყო მეტად)  
ნაკიან თვეს კი არა — ასაკიან თებერვალს.  
გადიქროლე ზეცაზე ისე, როგორც კომეტამ,  
გვარის, ნიჭის, ლამაზად ასაკიანთებელმა.

დედის გვერდზე მიწევი — ეგულები მშობელს შინ,  
მამის ძვალშესალაგის კონტურებიც გამოჩნდა,  
დადგა მკაცრი ზამთარი ჩემ ნილ წუთისოფელში,  
ღმერთს ვაბარებ ნერვების გამძლეობის გამოცდას.

#### კლაგიატორის ვარიანტი

ჩანს, მოსჯილი მაქვს მწირი მუხების  
მომარაგება, შენ რომ გიცქერი.  
ეს ლექსი ცდაა დანამუსების,  
გაგანითლებს ან გულს აგიძვერებს.

შენზე არ ითქმის მედღეხვალე,  
რაც მოგნონს ჩემი, იტაცებ ნამსვე.  
ნილში რად უნდა მედღე ხვავრიელ  
მწერალს, ვა-ბანკზე თამამად წამსვლელს.

ხელს მიფათურებ სულში, ერიჰაა!  
შენ იქ რა ცეცხლიც იგზნე ძლიერი,  
ის ცეცხლი გკვებავს, სულ მშიერი ხარ,  
როგორც ნაცნობი იქს მეცნიერი.

#### კავკასიონე

რასაც თვალს დაადგამს რუსი ერთხელ —  
სხვის მიწას, სხვის წყალს თუ უსიერ ტყეს —  
თავისად ჩაითქვამს და იტაცებს  
ველური სკვითების ყაიდაზე.

მთებიც კი კაცურად მძვინვარებენ,  
არადა, რა სიმწრით ნანახია,  
ჩვენს მუდმივ თოვლიან მყინვარებზე  
ჩექმებს რომ ინმენდენ ტალახიანს.

\*\*\*

სულაც არ არის სავალდებულო,  
გერქვას მოცარტი.  
სიკეთისათვის დაბადებულო,  
გახდი მოზარდი,

გამოავლინე ნიჭი, დაკაცდი.  
დათესე, მაგრამ  
ვერ მომკი — ვილაც შენ არ დაგაცდის,  
რომ მისწვედ ნამგალს.

მოცარტი არ ხარ, მაგრამ სალიერს  
გაჩეჩებს ბედი:  
„ჰა, სანამლავი, ცოტა დალიე,  
არ გინდა მეტი.“

და, კაცო, წერ თუ ხინკალს ახვევ ან  
ფორთოხალს ქერქავ,  
რა საჭიროა, შენც რომ სახელად  
მოცარტი გერქვას.

#### ფარდის დაშვების შიმდე

ტანსაცმელს იცვლის კაპელდინერი,  
ორი ჯენტლმენი მწვავედ კამათობს.  
ცხარობს მოხუცი აბერდინელი —  
არგებდა კარგი სახრე ამათო.

ესეც ოცნების მაქსიმუმია —  
სცენიდან გასულ ვივიენ ლისთვის  
დაიქირავა ტაქსი მუმიამ,  
რომელიც ტანში აღარ გრძნობს ძვლის ტვინს.

ის ხელს ჩაიქნევს დიდ მსახიობზე,  
ვინც არ ჩაუჯდა გონების შემძვრელს  
და აფრიკიდან გასწევს, ხეოფსის  
პირამიდაში რომ მანც შეძვრეს.

#### იორაში

დაბერდა ხევის მინდია,  
ფიც-ვერცხლის ფიცხი მლოცველი,  
მასთან სნოს ველარ მივდივარ,  
არადა, მახსოვს დრო ძველი:

სალამოს აჩნდა მაგიდას  
მისი დღის ნამუშაკარი,  
ამოსდიოდა ბაგიდან  
ტკბილსიტყვა ანუ შაქარი.

ვერა სძოვდა იმ ახვრებთან,  
ვინც კი მიაჩნდა იროდად,  
ყაზბეგთან ვეძას დახვრეპდა  
და ირემივით ყვიროდა.

\*\*\*

ჰაერს, ისედაც ჟანგბადით ნაკლებს,  
გვინამლავს ერთი მწერალია,  
უმღერის თავის შესაფერ თაქლებს  
კარგად გაცვეთილ ძველ არიას.

რომ შექმნას მისი ცხოვრების ფარსი,  
ამას სჭირდება მოლიერი,  
სუყველას გესლავს თავისი არსით,  
რამეთუ არის მორიელი.

#### საფხვართო რეჟორა

ადრე არ იყო ასეთი წესი,  
თამაშის წინ რომ გაჰყავთ ბავშვები,  
ენდე, პატარა გოგონავ, მესის,  
არ არის შენი ხელის გამშვები.

ბადიშებისთვის იცოდე როსმე  
შენს იმ მონაყოლს ექნება ფასი,  
ფეხბურთის მეფეს რომ მწვანე მოლზე  
ეჭირა შენი ფაფუკი ფაცი.

\*\*\*

შენ მე პირდაპირ არ მეუბნები,  
რომ სიყვარულზე წერას მოეშვი.  
რად დაივინყე გარეუბნები,  
ხომ არ დაბერდი, ხომ არ მოეშვი?

მაგრამ ფიქრის და კითხვების ცხარე  
ნაყენით შენვე ითრობი მარტო,  
თქვენს უბანში ვარ, დაგმანულ კარებს  
უკვე მოვანყდი, გააღე ფართოდ.

უყვარხარ ვინმეს განა ჩემსავით,  
თითქოს სამსჯავროს წინაშე ველავ.  
გამომიტანე განაჩენსავით  
შენი თვალების ცისფერი ბლვერა.

#### შესველა გამზირზე

იმისთვის ნუგეშს მაძლევ სავსებით,  
პირუთვნელს, რაც მე გამომიცდია.  
მაჯერებ: შენ და შენი მსგავსები  
დახმარების ხელს გამომიწვდიან.

ვყურდები და ხმას არ ვიღებ სიმწრით,  
ალბათ გგონია, დამზაფრა თალხმა.  
არადა, სული ხომ ვიცი იმ წრის,  
გათქვეფილი ხარ რომელშიც თალხნად.

ლამდება, გავცდით ფერად ვიტრინებს,  
სახე დაკარგეს უკვე საგნებმა.  
შენ შენი ბრიყვი თავი იტირე,  
ჩემს ტკივილებთან ნუ გესაქმება.

#### თითქმის აპიტაფია

შემოდირდი ეზოში მორცხვად,  
მწიფდა ხილი და ატანდი გემოს  
სტენდალის წიგნის სენია მოცხარს,  
წითელსა და შავს, სიცოცხლე ჩემო!

დრო შეიცვალა, როგორც იქნენ,  
იდუმალ გზაზე წინ სხვა დრო გვიძღვის,  
ბლის საყურეებს ვერ გაგიკეთებ,  
ვერც ბრონეულის ყვავილს მოგიძღვნი.

აქ არ დაგხვდება მებაღე, ვისაც  
ევალებოდა გასხვლა და მორწყვა,  
ვისაც აფრქვევი სიცხოველს მზისას,  
შემოდირდი როდესაც მორცხვად.

**ანი და პოე**

ჩვენ დავიბადეთ ჯილაგით, ჯიშით,  
ბებიქალთა გასახარებლად,  
სახლები რომ გვაქვს, რადგანაც ვიშვით,  
ნუ გადავაქცევთ ნასახლარებად.

ვიცხოვროთ, ვფლანგოთ დრო ულიმიტო.  
შევექმნათ რომანი, ლექსი, პოემა.  
შემდეგ კი მოვკვდეთ, მოვკვდეთ იმიტომ,  
რომ პური ჭამოს მეკუბოვემაც.

\*\*\*

ორი წმინდანი არ მასვენებს — ნინო, ილია.  
დილა ფიქრებში  
გამითენდა ამ ორ წმინდანზე.  
ცაზე თანდათან  
ვარსკვლავობა მიმოილია,  
ალსავლის კართან  
ჩვეულებრივ ამობრწყინდა მზე.

კუთხე-კუნჭული  
მოიარა სვანეთში, ქართლში.  
გადაანათა  
იალბუზი, ყაბარდოეთი.  
აყვავებული  
საქართველო ამოდის კარტში...  
ჰორიზონტზეა  
საშინელი ძალის პოეტი.

**პაიტაფია**

განვიცდიდი, რაც ახლო ხდებოდა,  
გორს მოვეფერე, როგორც შევეძელი.  
ხანდახან ოხვრა აღმომხდებოდა,  
ხანდახან — ლექსი სულისშემძვრელი.

ღმერთო, არ მაღვეს არავის ცოდვა,  
შენგან გაჩენილ კაცსა და მწერალს.  
მადლობა, ჩემთვის არ არის ცოტა,  
რომ საქართველოს მიწაში ვწევარ.

**გარმანელი კახეთში**

მარანში თუ მუხეუმში დაეშვი  
და ის გიკვირს, ბილეთს რომ არ ყიდიან.  
შემოდგომის სურნელზეა ჰაერში  
ფიროსმანის ტილოსავით ჰკიდიან.

აღტაცებას ვერ დამალავს სტუმარი —  
ქვევრს როგორი რიტუალით გიხდებიან.  
სხვა გემო აქვს ქვევრის გვერდზე პურმარისს —  
ბანკეტებზე ჭიპმოჭრილო — მიხვდი აქ.

და, თუ მიხვდი, შენი თავიც აჩვენე  
მასპინძლებს და არ დაკარგო ეგ თავი.  
შენ არ იცი, აქ სენს ისე არჩენენ —  
არ სჭირდებათ ექიმი და ექთანი.

აქ არ მოვა ზუთხიანი პიურე  
და არც შენი საყვარელი ბისკვიტი.  
მამის სულს რომ უკურთხებენ ფიურერს,  
ბანს მისცემენ გაჩეხილი ტყის ქვითინს.

შემდეგ, როცა დაამთავრებ მარანში  
კახელებთან ერთად გულმოდგინე სმას.  
იგრძნობ, რომ შენ გადასცურე ლა-მანში  
და მოითხოვ, გალიაროს გინესმა.

**წვიმა**

გემონმინდა წვიმა მიშენს ახალ ისრებს,  
დღეს ამინდი ძმაკაცვიით გადამიდგა.  
დინჯად მივალ, წვიმა ისევ მახალისებს,  
თან ნაბიჯებს ვწონი, რაც კი გადამიდგამს.

ხელგანვდილი შინ არავის მივხდომივარ —  
პოეზიის გრანდია თუ ფინაჩია,  
სამშობლომ კი ღვთისმობელის წილხვდომილმა  
ჭირსა შიგან გამაგრებას მიმაჩვია.

**ის გაზაფხული**

ჩაგვესმოდა მღვდლის აღილო  
ჰიმნის ჰანგად რადიოდან,  
წუთ-საათის ისარი რომ  
კუს ნაბიჯით გადიოდა.

გადიოდა შევებულებაც,  
ნეშობით ნალვივები

და შეზარხოშებულებმა,  
ჩანს, დავკარგეთ აღვირები.

იალიში მოგვივიდა  
მე და ანზორ ბინიაშვილს,  
რომ ჩავცვივდით ბოგირიდან  
არხში — კუბოს ფილიალში.

მოითხოვა შაირული  
შესხმა, როგორც გზა და ფუძემ,  
ნოსტალგიამ ჩაილურის  
წყალდალეულ გაზაფხულზე.

**გაცნობათ ალბათ**

ამ ტიპს, საკვირველია, რა იმუნტიტეტი აქვს,  
„შალახოზე“ ჯვარცმულმა შეითვისა „ბითელზე“,  
არსად დაიკარგება მაიმუნი ტეტიცა,  
მთვარეზე თუ მიაველენ, ნავა იუპიტერზეც.

გაგახსენებს რესტორან (თუნდაც, „ნაჭარმაგვეში“)  
ნამღერ „მრავალჟამიერს“ და გადახდომილ მაგიდებს.  
გულუბრყვილო მსმენელზე ოსტატურად ნაგემო,  
ქრისტეს კვართს რომ მიაგნო, სანაძლეოს დაგიდებს.

**ნიკო სამადაშვილი თბილისში**

„ავადმყოფობა ეგონათ, ბიჭო,  
ლექსები ტანზე გამოწყარო“. —  
ნიკო სამადაშვილი

გამზირიდან გამზირზე ცდილობ ბევრის დანახვას,  
არ გაურბი შეკითხვას — რომელ სოფლიდანა ხარ?

გაეცანი მნიგნობრებს. მოგნონს ფრანტი ჩხენკელი.  
ამათ წრეში მოჩანხარ, როგორც რამლის მჩხრეკელი.

წყნარად კი ხარ, აქ ვერვის გააკვირვებ სიურჩით.  
საბუღალტრო დავთარში ჩაწერ — დასტურ დღიურში —

„არ მეპიტნავენებიან სოკრატე და ბუფალო,  
დაგიმადლებ, „იზმებს“ თუ ამაცილებ, უფალო.

იმედებით ღარიბი სინამდვილის პირისპირ  
ადმინისტრაციული ცენტრი მტოვებს — თბილისი.“

ეს იმ თბილისს არა ჰგავს, „დანახვისის“ მთიდან რომ  
ღამე თვალი მოგიკრავს, ბავშვო, სულით მდიდარო.

აქ, მეტი რა ჩარაა, ოცნებაში შემოჭრილ,  
სინოყვირედაკარგულ წუთისოფელს შემორჩი.

სახადი რომ ეგონათ, ლექსები რომ გქაოდა,  
რა მსუბუქად მიდიხარ მძიმე სააქაოდან!

ერთხელ ბოშამ, კარტით რომ გიმკითხავა ვერესთან,  
ბოლო კეთილიაო, გითხრა, „ჭმუნვას პერესტან!“

მოვა ხალხი თბილისში, ნამდვილ დედაქალაქში  
და წიგნს — ნაუკითხავ წიგნს —  
სხვა მკითხველი გადაგშლის.

ნულარ იმარჩილებ, თუ რომელ გზას დაადგე,  
თვით დრო, შენი კოლეგა ბუღალტერი, დაადგენს:

„ჰონორარად გაიცეს, როგორც გამოწაკლისი,  
უკვდავება პოეტის ტანზე გამოწყარისთვის.“

\*\*\*

გულჩვილი გახდი და — საკმაოდაც.  
ბევრს მიაჩნიახარ ხანდაზმულივით.  
გაუქმებული სასაკლოდან  
ისევ მოგესმის ხართა ზმუილი.

ნაილე, ღვინო, ყველი და მჭადი,  
გამოეთხოვე ბარემ არეალს,  
იქ მინისქვემა ქალაქში ადი,  
სადაც ნაცნობი არემარეა.

სიკვდილის ცელით გადაცელილებს  
შემოაცალე ძეძვი და ნარი,  
ამ დროს თუ ცხვირი დაგაცემინებს,  
არ დაგამადლის „სიცოცხლეს“ მკვდარი.

**გამხდარი კაცი**

3-ჯ.

თვალი ხომ არ გატყუებთ, როცა ამ კაცს უცქერით, —  
გულქართლია, გულდინჯი, გულფიცხი და გულწრფელი.  
მან შაბლონი მოშალა ლოზუნგის და დევიზის,  
გამხდარ კაცში ქართული პოეზიის დევი ზის.



\*\*\*

მწუხრის ლოცვებმაც გადაიარეს  
და განტეხების ვაცაც დაიკლა;  
საკითხავია, რა ირგო სულმა,  
როცა უმანკო სისხლი დაინთხა.

\*\*\*

ჩემს ღარიბ ხნულში  
ჩავარდა ფეტვი;  
ამოიწვერა და...  
იქცა ბროლად;  
ვაი მას, ვისაც  
არ უხილავს მისი კაშკაში,  
ამომზევება მიწიდან ზეცად.

\*\*\*

უფერული მგონია,  
მაგრამ  
მაინც გიგზავნი ლექსებს,  
იქნებ შენ გააფერადო  
მათი სითაღზე.

\*\*\*

ჩემო მრბოლელო,  
დიდი ხანია  
დავივინყე  
შენი ღიმილი  
და თვალთა ფერი...  
დიდი ხანია...  
დაგივინყე კი?..

\*\*\*

მეორე სუნთქვა,  
მესამე თვალი,  
ვცდილობ, სახელი  
მოვუძებნო  
ჩემს აღმაფრენას,  
ხანდახან მაინც  
რომ მეწვევა  
და მახალისებს.





უპაცრიელი

ნინო ქადაგიძე



იდგა შემოდგომის დავიდარაბა. ყრუ-ნი ფერი გადაჰკვროდა მთებს. მიწაც გამტკნარებულიყო, წყალიცა და ცაც. დილდით ნისლებს ნისლისფერი ეცხოთ, ნისლის გემო დასდებოდათ, ნისლის სუნი... მიტკლისფერი ჰაერი ეფინა სოფელს, ჭაღას, ორღობეს, ეზო-კარს, ბაღჩას. შეჭირბულ ტოტებზე აქა-იქ შერჩენილ ხურმას ლეშვით ძიძგინდენ ყვავები თუ ჭივჭავები. ხანდახან ბელურა ან რუხი ლაჟო თუ აიბუზებოდა ღობეზე და უძალო მზეს მიაფიცხებდა შეციებულ ფრთებსა და ნისკარტს. გამხმარი, აბრანული და დაცვენილი ფოთოლი ეყარა ხეების ძირში, ზოგიც ქარს მოეფანტა აქა-იქა და წვიმას ელოდნენ გულის მოსაბრუნებლად, თუმცა რალა მოსაბრუნებლად... წვიმიან ცურებს ველარ იმაგრებდნენ ნოემბრის ღრუბლებიც, ასხამდნენ და ასხამდნენ წყალს, ოღონდ წვიმა მეჭუჭური ქალის რქესავით თბილი ვერ იყო, არც ბაგეზე ეცხო შემოდგომის დღეს. არსაიდან ისმოდა ადამიანის ხმა, არც ნათითური ემჩნია კარის სახელურსა და არც ნაფხურებს იტყობდა მინა. უკაცრიელი სიჩუმე იდგა. თითქოს ყველა ადამიანის ნაშეიერს ერთბაშად აეკრა გუდა-ნაბადი და სადღაც გადახვენილიყო, იქ, სადაც ედგომებოდა.

— ეპეჰეჰეჰეჰე... ხალხოოო, — შეხსნიდა ფანჯრებს, მუცლიდან ღონივრად ამოუშვებდა ხმას ბერიკაცი, ცოტა ხანს ასე გამტკნარდებოდა, ყურს დაუგდებდა, მაგრამ რადგან არავინ გამოეძრაბებოდა ხოლმე, ისევე მიხურავდა ორთავ დარაბას. — შემოდგომა ფიქრისთვისააო, კაცი — უკაცრიელობისთვისო, — იტყოდა და ყალიონს გასწყობდა, მერე ფეხით მიაგორებდა ხის პატარა ჯირკს თუნუქის ღუმელთან, იქვე ხის კუმეტზე მიგდებულ ბუმბულგაცვენილ პატარა ყურთუქსა თუ აბრეშუმის გაცვეთილ დომაქს გადმოითრევდა, დაიფენდა ჯირკზე რბილად დასაჯდომად და ჩამოჯდებოდა, თან გააბოლებდა. ბერიკაცს მხრებზე მოხურული ჰქონდა თავისფერი თუ შავი ტანზე ყელიანი ნაქსოვი სათბილობელი — სვიტერი ეცვა, რამდენიმე ადგილას დაკერებული შარვალის მადალყელიან წინდაში ჰქონდა ჩატანებული. იჯდა და შემოდგომას ყალიონით აბოლებდა ოთახში, მისი აფულებდა. იქნება და რაღაც ენაღვლებოდათ ორთავებს, იქნებადა არც რა....

იჯდა ბერიკაცი და ფიქრობდა. ფიქრსაც კაცის სახე აქვს ხანდახან, კაცის გული, კაცის გონება. ბერიკაცს ყვითელ ხელზე შედარებული ნალველი, დამჭანარ ხელზე მიხმობდა თავისი წილი მზე და ნათელი, ჩამქრალ თვალეში ჩადგომოდა ნკვარამი ღამე.

უცერად ფიქრი ძაღლის ყეფამ გაანყვებინა. ჩაფიქრებული მოხუცი მძიმე-მძიმედ ნამოდგა და ოთახის კუთხეში მიდგმულ სათლისაკენ ნალანდალდა, მძიმე-მძიმედვე დასწვდა სათლს და ღუმელისკენ წამოიღო. იქვე კედელზე მიყუდებული ტოპრაკა გახსნა, ორივე პეშვი ჩაყო და რამდენიც ამოჰყვა იმდენი ქატო ამოიტანა, ერთხელ, ორჯერ, სამჯერ... და ჩაუძახა ღუმელზე შემოდგმულ სათლში. მერე ჯირკუტანას გვერდით მიდგმულ ხელადიდან წყალი წამომამხო სათლში და ღუმელს თავკაუჭა ცეცხლის შესაკეთებელი კავით გამოუჩხრიკა. ხვნეშით დაჯდა ფეხით მოგორებულ ჯირკზე და დაელოდა როდის წამოდგებოდა ასალაფავი. „ძალი სადაც სალაფავსა სვლებავსო, იქვე ყეფავსო“ — თითქოს წაიღინა და უკაცრიელი ყოფა განაგრძო. ასე გადიოდა წამები, წუთები, საათები, დღეები, კვირები, თვეები, წლები და იქნება საუკუნეებიც. კაცი სულ მარტოც იყო, სულ შემოდგომა ედგა გუნებაში და სულ ხალხს უხმობდა. ხალხს კაცისა არა და არ არ ესმოდა, ხალხი არა და არ იცნობდა კაცს. მხოლოდ ფიქრმა იცოდა რას ფიქრობდა კაცი. კაცი მარტოობაში იწვოდა, მარტოობა — კაცში.

რიშპალა

დარდისა, აბა, რიშპალას რა უნდა სცოდნოდ?! გამოხსნიდა „შიფანერკის“ კარს, ჩამოხსნიდა დედის შეკერილ წითელ ფრიალს კაბას, გადაიცვამდა და ჩაივლიდა გზაზე ღალანით. ქვეყანაზე ავადა-

მოუბარს რა დალევს და დაადევნებდნენ ძაღლებივით ჭორიან ენებს.

— ფუი, ფუი, ეგ დარდაყრილიო...  
 — ფუი,ფუი, ეგ უკარებო...  
 — ფუი, ფუი, რას დადის ზევით-ქვევით, რა მიაქვს, რა მოაქვსო...  
 — ეგ ძეძვიფრიალა, ეგაო...  
 — რას დაიარება წითელ კაბაში, განა რა ყყაჩოაო? ...  
 — არა, არა, ქრისტესისხლაო...  
 — რა ქრისტესისხლა, შავთარა ბალახია, ავე, ნაგავზე რო ამობიბინდება ხოლმე ნითლადაო.  
 — მახსოვს, — ჩაერთებოდა მერე რომელიმე მოხუცი, — მამამისმა, შვილი რომ არ უჩნდებოდათ, მახანჩკალიდან ჩამოიყვანა ჭრელ ბამბაზის ხალათში გახვეული. მეშვედ შვილი ყოფილა იმ ოჯახისა, ოღონდაც კარგად მიმიხედ და შენი იყოსო, დედამისს უთქვამს. მოუყვანა ცოლსა და გაზარდეს, მაგრამ განა სულ ყოველთვის გამოგადგება ქალობილიო?!  
 რიშპალამ ყველაფერიც იცოდა, რასაც ლაპარაკობდნენ მასზე მეზობლები, მაგრამ უკვე დარდაღინასავით იყო მისი გული და ყური, გაიგებდა და ნაიღებდა კიდევ ნიავე სავაგლახო სიტყვებს და მოფენდა ქვეყანას, განა გულში გაიჩერებდა. მერე ავისმთქმელსვე ანუხებდა თავისი ავი სიტყვა, ავიწროვებდა, ახრჩობდა, თორემ რიშპალას რა? ახალგაზრდობაში თუ ჯეირანივით დაიარებოდა, არც ახლა იყო უპენო. გამოჩნდებოდა წითელ კაბაში, ჰო, უკვე სამოცდაათხუთმეტ წელს იყო მიტანებული, მაგრამ ისეთი იყო, როგორც წითელი ძახველა თოვლქვეშ.  
 ხან აივლიდა და ხან ჩაივლიდა. გზა იმისთვის მოიგონა გამჩენმა, რომ უნდა იარო, თანაც დილინით, განა იდგეო. თვალი შეეჩვია რიშპალას წითელ კაბას, ყური — რიშპალას ქილიკს, ენა — რიშპალას ავად ხსენებას.  
 თითქოს ამ წითელი კაბით წუთისოფლის სისვს აფერდებოდა. გათხოვებით ვერ გათხოვდა რიშპალა. სანამ პენსიაზე გაუშვებდნენ, რაიონის ობოლ ბავშვთა თავშესაფარში მუშაობდა ძიძად, დარჩა მარტოცა, უსამსახუროდ ნაოჭებისა და წითელი კაბის ამარა.  
 ამბობენ, დღესაც ამ წითელი ფრიალა კაბით რაიონში ჩადის ფეხით, ობოლ ბავშვთა თავშესაფრის ღობესთან დადგება და გისოსებიდან გამოყოფილი ხელის ქნევას დაელოდება და დაუნყებს ყურებსო — უყურებს, უყურებს და წამოვაო. ვინ უქნევს შიგნიდან ხელს, მაგას აღარ იტყვიან ხოლმე.

აკარაკი ისააკა

რად არის ხშირად, რომ კაცი თავის სატარებელს ველარ ატარებს და ჭკუიდან გადადის. ან რომ გადადის საით მიდის? არც სააქაოსია, არც საიქიოსი და აბა, საით არის?! ისააკა თავიდან სოფლისა იყო, სოფლის გზებზე დადიოდა, ექთან ლამარასა და მეტყვევ პავლეს შვილი. მერე უცაბედად ბიბლიოთეკარ ლალეს მოჰკრა თვალი, უკვე გაზრდილსა და დამშ-

ვენებულს და დაიარავდა გულით, სულითა და ჩასუნთქვა-ამოსუნთქვით. ლალე თუ წინ მიდიოდა, ისააკა უკან მიჰყვებოდა უჩუმრად. ლალე თუ ბილიკზე გადაუხვევდა, ისააკა იქვე იდგა მოსახვევში, ლალე თუ ფეხს აუჩქარებდა, ისააკა დაედევნებოდა ცუხცუხით. ლალეს თუ ეძინა, ისააკა მის ფანჯრებთან იდგა ატუზული და ძაღლთოდენა ლამეებს თეთქვავდა. დილით კი გაიღვიძებდა ლალეი, გაახელდა მავალივით ბრიალა თვალეზს, გაივლ-გამოივლიდა ეზოში და ელეთმელეთს დამართებდა ისააკას. გადახტებოდა ისააკა კუდალებული ღობის უკან, მოეფარებოდა იქაურობასა და იფხანდა თავის ჯაგარა თავს. მაგრამ, ჰაი, ლალეს მოგიზიგებოდა თვალეზს რას გამოაპარებდა, იფურჩხებოდა ლალეი ხვიარა ვარდის მსგავსად სიხარულით, ისააკას კი დარდისაგან ფურცელი სცივოდა. არც ჰოს ეუბნებოდა ლალე და არც — არას. ერთხანობა ჭამაც აკრძალა ისააკამ და სმაც.  
 — მოჰკვებები, შვილო, ჯავრისაგან, — უღონდებოდა დედა.  
 — რა ვიცი, ამხელა მუტრუკია და ხმა ვერ ამოუღია ლალადა, — უჯავრდებოდა მამა.  
 — თავი დამანებეთ ერთი... — იშმუშნებოდა ისააკა.  
 აღრიან გაზაფხულზე, იმ სოფელში, იებმა მარტო ხევიწროში იცის მოსვლა და შეყვარებული კაცის სულში ლივლივი. ჰოდა, ისააკასაც შეუფერადა იის ღვარმა სული, თვალეზიცა და ხელეზიც. დათხარა ღამე თითქმის ყველა ძირი ხევიწროში და ლალეს ეზოში გადარგო. ლალეს დილით ჯერ აენთო თვალეზი, მერე მეტიჩრობასა და ჩოთირს მოჰყვა — ეს, ჯავრელიანი აქ სად ამოსულაო — ბევრი იცინა და სხვებიც აცინა. ბრონლისფერი დაედო ისააკას სახეზე, გავარვარებულ თონის ნაკვერცხლებს უგავდა თვალეზი, გულიც მნიფე ბრონელივით გადაეპო და თავი დალუნდა.  
 — თავს რად აჩალინებ, ბეჩავო, მაგ ქალობადმწვარსაო...  
 — სულს რად ავიწროვებინებ და ანოკებინებ, აჯამოო...  
 — ჰაი, ისააკო...  
 — ჰოი, ისააკო... დევდებარებებით სწევილიდნენ ისააკას სახლიქალები ლალეს.  
 — ეგ ქალობა გასახუნებელი...  
 — ეგ ტყვია მოსახვედრი...  
 — ეგ სანაცილეო...  
 — ეგ ბნედაასატეხი...  
 — გოგო და ბროგო მაგასაო...  
 — ჰაი, თქვენი ყველასი პატრონი დედაცაო, — ისააკამ და ააფრინა ოფოფები. არღარც ლალე შეერთო და აღარც სხვა. ვის არ ურიგებდნენ, ვის არ უტოლებდნენ, ვის არ აცნობდნენ.  
 — არა და არაო...  
 ახალ ნანვიმარზე ვენახში ვერ იშუშავებს კაცი, მკავანას იდებს. ისააკა მაინც გავიდა, ყური არავის ათხოვა. მუშაობა კი არა და სახლიდან გარიდება უფრო უნდოდა გულით. თითქოს მზემაც გამოიხედა, დახედა თეთრ-ყურძენას, ოქრო-ყურძენას. ისააკა ვენახის თავში

ფიცრულ ქოხში შევიდა და ხის ტახტზე მინვა-მიეძინა.  
 — მაიტა, შევაშინოთო! — ვალომ.  
 — როგოო? — გაბომ.  
 ატეხეს ფეხების ბრაგუნა და ერთი ღრიანცელა ვალომ და გაბომ.  
 — ისააკ, ბიჯოო, ცოტა ხნის წინ რო წვიმა და ჭექა-ქუხილი იყო, მეხი ჩამოარდნილა და დასცემია ლალესა, შენს ლალესაა, ბიჯოო...  
 ნამოვარდა ნამძინარევი ისააკა, ჯერ ვერ გაიგო, რას ეუბნებოდნენ, მარტო ლალე ესმოდა და თვითონაც „ლალეს“ ღრიალებდა, მერე შემოიღო თვალეზითა და შემოიღო ნაბიჯებით ფეხშიშველა გაიქცა გზაზე. ჯერ სიცილით გაეკიდნენ ბიჭები, მერე მუქარით, დაიცა, სად გარბიხარ, მოგატყუეთო, მაგრამ ისააკა, იმის მერე წლებია უკვე, ისევ იმ არეული ნაბიჯებით დადის, არც სააქაოს ადგამს ფეხს, არც — საიქიოს. რა არ ულოცეს შემინებულსა, ბნედა დაცემულია, ავზინანისა, თვალნაკრავისა, არც შავტარა დანამ უშველა ბალიშის ქვეშ ჩადებულმა და არც ნაკურთხმა წყალმა. აერია კაცს გუნება და დაერია. მერე დედები ჭირვეულ შვილებს ისააკათი ამინებდნენ — გაჩუმდი, თორე ისააკა მოვა შენს ტირილზეო. ბავშვები უარესად უმატებდნენ ღნავილს — არ მოვიდეს, აკარაკიო... შერჩა ისააკას „აკარაკი“ მეტსახელი.

დაადებს თავის ჯაგარა თავს და საითაც გაუხარდება, იქით წავა.

გვიცანი, ღმერთო?

ხანდახან გინდა, გაიძრო სხეული ადამიანმა, სულისამარა წარდგე უფლის წინ და მისეაღმო: — გამარჯობა, ღმერთო! ნეტავი ღმერთი რას გიპასუხებს?! ავითრევ ხოლმე ნიათგამოცლილ სხეულს კვირაობით, ამოვიჩრი ილიაში დასაკეცსკამს და წავალ ტაძარში. ნაავად-მყოფარი ფეხზე დიდხანს ვერა ვდგები და ტაძრის კუნჭულში შევიყუჟები, ფეხებში არავის ავეებლანდებ-მეთქი. ვზივარ ჩემთვის, იქაც განა ვლოცულობ?! გამარჯობა ღმერთო-მეთქი, მოვედი! — ვეცყვი ხოლმე... მერე გავინაბები და ყურს დავუგდებ, აბა, რას მიპასუხებს? მაგრამ რა ვიცი, ჯერ ჩემი გულის ბგაბუტის მეტი არაფერი მესმის, ალბათ — ღმერთსაც...  
 ჰოდა, აეგრე ვზივარ ბეჩავივით და ვითვლი გულისცემას. ერთი დღეც არის, ჩემს გვერდზე დადგა ახალგაზრდა ბერი, ქერა, კულულებიანი, დაკოჭრილი ხელებით, დანითლებული თითებით. პატარა ბიჭია, ლამაზი, და ყურადღება მივაქციე, ავათვალეირ-ჩავათვალეირე. შვილო, შვილო-მეთქი, გავიფიქრე გუნებაში... ლოცვანს ძლივს იკავებს ხელში, ისე აქვს თითები დაჩეხილი, ეტყობა ჯანოც — დაღლილი. ლოცულობს, ბუტბუტებს თავისთვის. მგონი, ამ წირვაზე უნდა ეთხოვარო. ახლა წინიდან ვხედავ, მოდის მათხოვარი, ეგ ბიჭიც ხშირად მინახავს, მუყაოს ქაღალდზე აწერია: „დედა მყავს ავად, დამეხმარეთ“. რაც მე ვიცი, მგონი, ყრუ-მუნჯიც არი. დადის და ითხოვს მოწყალებას. მიადგა ბერს გამოწვდილი პეშვით. ბერმა ახედა, მგონი არც ნაუკითხავს მუყაოზე ნანერი, გადაეხვია კარგი ნაცნობივით და უთხრა — ძმაო, ნუ დადიხარ და ითხოვ მოწყალებას, შენი ჭირიმეო, ეგრე არ გამოგადგებაო. გადმოუბრუნა და აჩვენებს თავის დაჩეხილ ხელებს — აიო, სულ ვშრომობ, ძმაო, განა მე არა მცივა, არა მტკივა, არ მიჭირსო, მაგრამ ვშრომობ და ვუძლებო. მჭიციცინებს თვალეზში პეშვამონვდილი მათხოვარი, უცინის, უცინის, თვალეზი უცინციმებს. ვერ გაუგია, რას ეუბნება, რა უნდა ბერსა. თვითონაც ძმურად ეხუტება, მერე მხრებს იჩივავს, გასცილდება და მიდის. ბერი ერთი თბილად კიდევ აყოლებს თვალს, რა იცის ბერმა, რომ ყრუ-მუნჯია და აგრძელებს ლოცვას.  
 იმ წუთში აღარ მესმის ჩემი გულის ხათქახუთქის ხმა, მარტო მეფუნჯიტება, მეკუჭება, მენურება და რალაცნარიად მეცოდება პატარა ბერიც ჩამოღეული ჯანით, ყრუ-მუნჯი მათხოვარიცა და ჯერ კიდევ ფეხზე ვერ დამდგარი, ავადობისგან გათეთქვილი ჩემი თავიც...  
 არ გინდათ ხოლმე, ხანდახან გავიძროთ სხეული და სულისამარა დავდგეთ უფლის წინა და ვკითხოთ — გვიცანი, ღმერთო?



# ქეთევან ბარნაბიშვილი მეხანძრე

...ცეცხლმოკიდებულ მრავალსართულიან სახლთან ვდგავარ და ზემოთ ვიყურები. ისეთი ხანძარია, ყველა სართულის ფანჯრიდან ცეცხლი გამოდის. მიკვირს, რატომ არ მაქვს წყალი, რატომ არავინ არის გარშემო. მინდა, ვიყვირო, მაგრამ ვერ ვიყვირი... ამ დროს ცეცხლმოკიდებული ფანჯრიდან ბავშვი ვარდება... ვარდება და თითქოს ცაში ეკიდება, ისე ნელა ეშვება. ჩამესმის ხმა:

— დაიჭირე, ნიკო, დაიჭირე...  
 ცეცხლოვ, გავიქცე ბავშვისკენ და დავიჭირო. ვერ გავრბივარ... ძალიან ნელა და გაჭირვებით მივინევ ნინ. რატომ ვერ გავრბივარ?! ამ დროს შენობის მეორე მხარეს, ფანჯრიდან სხვა ბავშვი ვარდება, ისიც ცაში ეკიდება... სხვა ხმა ჩამესმის — დაიჭირე, ნიკო, დაიჭირე... ახლა ცეცხლოვ, მეორე ბავშვისკენ გავიქცე. მაგრამ მინც ვერ გავრბივარ. მერე მესამე ბავშვი ვარდება და ისევე ხმა მესმის...

— დაიჭირე, ნიკო, დაიჭირე...  
 ერთი, ორი, სამი ბავშვი...  
 ერთი ნაბიჯი, ორი ნაბიჯი, სამი ნაბიჯი...

სხვადასხვა ხმა ერთად ჩამძახის — დაიჭირე, ნიკო, დაიჭირე... ქალის ხმა, კაცის ხმა, მოხუცის ხმა, ყველა ერთად დამყვირის:

დაიჭირე, ნიკო, დაიჭირე...  
 ნიკო, დაიჭირე...

დაიჭირე, ნიკო...  
 მაღლა ვიყურები და ვითვლი, ერთი ბავშვი, ორი ბავშვი, სამი ბავშვი... ცეცხლოვ, გავიქცე... დაიჭირო! რომელი დაიჭირო? ერთი, ორი, სამი. ერთი, ორი, სამი... მე ისევ ვერ გავრბივარ. ამ დროს კიდევ ვარდება ბავშვი... ოთხი... მერე სულ ზედა სართულიდან... ხუთი... ნაბიჯს გაჭირვებით ვადგამ, ხელეხვები ვშლი, მაღლა ვიყურები და უცებ საიდანღაც წყალი მესხმება თავზე.

— ნიკო, — შუბლზე ცივი ხელის შეხებამ გამაღვიძა.

თვალები გავახილვე და ჩემი ცოლი, თინა დავინახე.

— გაიღვიძე, ნიკო! — ამ ქალს სულ ცივი როგორ აქვს ხელები, გავიფიქრე და წამოვჯექი ლოგინში, — ისევ ის სიზმარი ნახე?

— ხო, — გონზე მოსასვლელად სახეზე ხელები ავიფარე, მერე თმაზე გადავისვი. — უკვე მეორედ ამ კვირაში.

— რომელი საათია?

— შვიდი, — თინა ლოგინიდან ადგა, ჯერ ისევ ხალათში იყო გახვეული. ოფლისგან მაისური სულ დამსველებოდა, — რალაც უნდა ვილონოთ, ნიკო, — წამოვდექი, მაისური გავიხადე და სააბაზანოში გავიდი. სახეზე ცივი წყალი შევისხი, ჩემს თავს სარკეში ვაკვირდებოდი. შევიმშრალე სახე და ჩემდაუნებურად თვალებზე ხელი ავიფარე. ისევ ის ხმა ჩამესმოდა და იგივე სურათს ვხედავდი დახუჭული თვალებით.



ორი წელი გავიდა და მინც ვერ მოვახერხე გათავისუფლება. ხშირად ვდგავარ ასე, სახეზე ხელებფარებული, ცეცხლოვ, მოვერიო თავს. ცეცხლოვ, მაგრამ ამაოდ...

სამზარეულოში შევედი, ჩემი ჭიქა ავიღე, კარადიდან ყავა გამოვიღე და ახალი ჩვევის გამო კოვზით ჩავეყარე, ადულე-ბული წყალი დავასხი და მაგიდასთან მივიტანე. ყოველი დღეა იწყება ასე, ყავით, და, უკვე ორი წელია, ხანგრძლივი მორევის პროცედურით. ადრე არ ვიყირი ყავას კოვზით, არც არასდროს ვურევდი, ჭიქის ფსკერზე დაყრილ ყავას ცოტა წყალს დავასხამდი, ჭიქას შევანჯღრევდი, მერე ბოლომდე ვავსებდი და სულ ეს იყო. ახლა ასე აღარ ვიქცევი, ახლა ვურევ, ხანგრძლივად. მუსიკასავით უღერს კოვზის კაკუნი ჭიქაზე. ვაკვირდები, ქაფის ბუშტუკები როგორ მოძრაობენ რიტმში. ერთად თავს როგორ იყრინან და ყავის მორევაში ქვევით ეშვებიან, ყველა ერთად. ეს ბუშტუკები თითქოს მე ვარ, მეც და სხვებიც, ყველაზე მეტად კი საშა, ჩვენი ოცმეთაური. ჩვენ ორივე ასე პირქვე დავეშვით მორევაში და ვედარ ამოვყვინეთ.

ჰო, ეს ჩვევა საშასგან გადმოვიღე. მას უყვარდა მორევის პროცესი. ოთხ კოვზს მაქარს იყრინა ხოლმე და დიდხანს ურევდა. რამდენჯერ გავსულვარ ოთახიდან, ჩაის მორევა რომ დაუნყია, ყურებზე ხელეხვებოდა ამიფარებოდა, მაგრამ არასდროს მითქვამს, გაჩერებულიყო. მართალია, ახლო მეგობრები ვიყავით, მაგრამ მინც უფროსი იყო და ზედმეტს არასდროს ვაკადრებდი. მე და საშას უსიტყვოდ გვესმოდა ერთმანეთის. ოთხი წელი ვიმუშავებ ერთად, ყოველთვის დიდი იმედი გვქონდა ერთმანეთის. შემთხვევაზე ყოფნის დროს კი ასეთი მხარდაჭერა ძალიან მნიშვნელოვანია. ბრიგადის ბიჭებიც ძალიან დიდი პატივით ეპყრობოდნენ, ის კარგი მეთაური იყო. ეს ერთი უცნაური ჩვევა ჰქონდა და ჩვენც ხათრით ვეგუბოდით, თუმცა პირდაპირ ტვინში გვირტყამდა კოვზის მონოტონური ნკარუნა.

რაც ერთად აღარ ვმუშაობთ, მას მერე ყავას ხანგრძლივად ვურევ კოვზით. ხანდახან დროს შეგრძნებაც კი მაინწყდება, ვურევ და ვფიქრობ...

— ღვთის გულისათვის, ნიკო, გააჩერე ეგ კოვზი! — თინას ხმამ გამომარკვია, ვერ შევინახე, როდის შემოვიდა სამზარეულოში. ორი პატარა ტაფა დადგა ქურაზე, ზეთი ორივეგან დაასხა, მაცივრიდან კვერცხი გამოიღო, კარადიდან — მაკარონი. ერთბაშად აპირებდა ორივეს გაკეთებას. ღრმა თევზში კვერცხები ჩაახალა, მერე ერთ-ერთ ტაფაზე მაკარონი დაყარა, ჩანგალი აიღო და კვერცხის თქვეფას შეუდგა. უცებ აურია და დაასხა მეორე ტაფაზე. მერე მაკარონს ამოურია, მერე კვერცხი გადააბრუნა, მერე ისევ მაკარონს ამოურია... კვერცხი თევზზე გამოიღო და კიდევ გატეხა, ათქვიფა და დაასხა ტაფაზე... ძალიან სწრაფი ხელი აქვს თინას და ლამაზი, თლილი გრძელი თითები. სიდიდის მიუხედავად, საოცრად ნაზია, მაგრამ — სულ ცივი.

— უნდა წამოხვიდე მაგ სამსახურიდან, ნიკო. ასე გაგრძელება არ შეიძლება, — სამი ულუფა კვერცხი გაამზადა, ჩემთვის



და ბავშვებისთვის. თევზები მაგიდაზე დაანყო, — გამოჩნდება რამე სამსახური, მთავარია, მაქედან წამოხვიდე. სულაც უმუშევარი რომ იყო, ჩემს ხელფასს ვიმყოფინებო.

— კარგი რა, თინა. არ გამოვა მასე.

— მაშინ ექიმთან მიდი, ნიკო, იარე ფსიქოლოგთან.

— გეხვევები, თინა, ნუ დაინწყებ დილდან...

— შენ რომ რამე მოგივიდეს, მერე?

— რა უნდა მომივიდეს?! კარგი რა.

— თითქმის ყოველი მორიგეობის მერე კომპარები გესიზმრება, გაგიჟდები, ნიკო. ცოდო ხარ, — ზურგზე მომეკრა და კისერზე მომიხვია.

— ნუ გეშინია, თინა, კარგად ვიქნები, — ხელზე ხელი დავადე. მან კი კისერში კოცნა დამინყო. ოხ, როგორ არ მინდოდა ახლა მისი ალერსი, მაგრამ ვერ მოვიშორე, არ მინდოდა, მეწყენინებინა.

რატომღაც ჰგონია, რომ მისი გადამეტებული მზრუნველობა და ყურადღება მჭირდება. თითქოს მიცავს, ცუდი არაფერი ჩავიდინო. არადა, პირიქითაა ყველაფერი — მარტო, ჩემთვის ყოფნა მირჩვენია. ისე მინდა ვიყო, არავინ რომ არ მიმჩნევდეს, ვითომ არ ვარსებობ.

— ნიკო...

— ნუ გეშინია, არაფერი მომივა, — გაუშეორე და წამოვდექი.

\*\*\*

ორი წლის წინ, ჩემი მორიგეობის დროს, გამთენიისას ზარი შემოვიდა. კორპუსის მესამე სართულის ბინა ინვოდა. ცეცხლი დენის გამათბობლიდან ღამით გაჩნდა. გამთენიისას შეამჩნია მოპირდაპირე კორპუსის მცხოვრებმა. შემთხვევის ადგილზე მალევე მივედი სრული შემადგენლობით, ორი მანქანით გავედით. ბრიგადის თერთმეტივე წევრი მობილიზებული იყო. ადგილზე საშინელი მდგომარეობა დაგვხვდა, ძლიერი ხანძარი და გვიანი რეაგირება. შანსი თითქმის არ იყო... შიგნით მოხუცი ქალბატონი და სამი წლის ბავშვი იმყოფებოდნენ...

საშამ მითითებები მოგვცა. შლანგები გავშალეთ. დავალბა მქონდა, კიბე მიმედგა და გარედან შემესხა წყალი...

საშა ბიჭებთან ერთად ზემოთ ავიდა. კარი შეამტვრიეს. შესასვლელი და მისაღები ოთახი ცეცხლში იყო გახვეული...

ბავშვი?..  
 დრო აღარ იყო...  
 არც შანსი...

საშა ცეცხლში შევარდა, გაიარა ოთახი, სადაც ცეცხლის კერა იყო. მოხუცი ქალი ცეცხლში იყო გახვეული... საძინებლის კარს ცეცხლი ეკიდა, მინით ნოხსაც... საშა საძინებელში შევიდა...

ბავშვის სანოლი ცარიელი იყო. სად არის?..

ბავშვი სად არის...  
 კარადა... ბავშვები კარადაში იმალები-

ან. კარი გამოაღო, ბავშვი იქ იყო, მოკუნტული, კანკალედა შეშინებული, არ ტიროდა. საშამ ფორმის ზედა გაიხადა, ბავშვი გაახვია და ხელში აიყვანა.

გავიდოდა?..  
 ვერ გავიდოდა. მეხანძრეების ძახილი და წყლის ხმა ესმოდა, მაგრამ შაერი აღარ იყო, ვეღარ სუნთქავდა.

ფანჯარა...

ორივე მანქანა კორპუსთან ახლოს მივყენეთ, კიბე გავშალეთ და მივადგილეთ, შლანგი მოვიმარჯვე და კიბისკენ წავედი. ის იყო, ასევე უნდა დამენყო, რომ მაღლა ავიხედე... ფანჯარაში საშამ გამოყო თავი, ჩვენი თვალები შეხვდნენ ერთმანეთს და...  
 ღმერთო...

საშამ ბავშვი ფანჯრიდან გადმოაგდო...  
 — დაიჭირე, ნიკო, დაიჭირე.

ღმერთო ჩემო...  
 სხვა გამოსავალი არ იყო...

ბავშვი გადმოაგდო... გადმომიგდო.  
 — დაიჭირე, ნიკო, დაიჭირე...

მისი ხმა, საშინელი, სასონარკვეთილი...  
 მუდარა...

— დაიჭირე, ნიკო, დაიჭირე...  
 შლანგის სახელური ხელიდან გამივარ-

და, გავიქციე...  
 ერთი ნაბიჯი... ორი ნაბიჯი... სამი ნაბიჯი...

თითქოს დრო გაჩერდა, ისე გაინელა, ბავშვი ჰაერში დაეკიდა...

ერთი წამი... ორი წამი... სამი წამი...  
 ხელები გავშალე. დავიჭერ და ჩავიხ-

უტებ — გავიფიქრე... გამოიღე ხელებზე დამეცა ბავშვი. მძიმე იყო, წინ გადამძლია. ხელები მოვხარე, მკერდზე მივიხუტე, მუხლებზე დავეცი და შუბლით მინას დავენარცხე.

საშას ხმა ზარივით ჩამესმოდა. „დაიჭირე, ნიკო, დაიჭირე“, გამუდმებით მეორდებოდა. წამები საუკუნეებად იქცა. დროს შეგრძნებაც დავეკარგე და საკუთარი თავისაც. ვილაცის ძლიერმა ხელმა წამომამყენა. ბავშვი გამომართვა ხელიდან და ზურგზე ძლიერად დამარტყა ორჯერ.

— ადექი, ნიკო. გონს მოდი!

ვერ ავდექი... სხეულს ვეღარ ვგრძნობდი. ვერაფერს ვგრძნობდი. ღმერთო, ეს რა იყო... წამოვიწიე, სახეზე ხელები ავიფარე... ღმერთო, საშა... ეს რა ქენი?! დიდხანს ვიჯექი მუხლებზე, სახეზე ხელები მქონდა აფარებული, ისევ ხმა ჩამესმოდა და ბავშვის ვხედავდი...

ბავშვი გადარჩა, ქალს ვეღარ უშველეს, ცეცხლმოკიდებული საშა კი ბიჭებმა გამოიყვანეს, მაგრამ დაგვიანებული იყო... იმ დღეს საშას აირჩინალი არ ეკეთა.

რატომ არ გაიკეთა? მას ხომ შეცდომა არასდროს დაუშვია. რალა იმ დღეს არ გაიკეთა აირჩინალი... რალა იმ დღეს არ გვახლდა სამშველო ბრიგადა, გასაბერი ლეიბები რომ გვქონოდა... ან იქნებ რომ გადმომხტარიყო, გადარჩენილიყო...

მე ბოლო ვიყავი, ვინც ის დაინახა, ვისაც მან დაუძახა...

რამდენიმე საათი იცოცხლა.

ღმერთო, რატომ არ ავდექი, რატომ არ ავედი მასთან მაღლა? რატომ არ შევევარდი მეც მასავით ცეცხლში საშველად? რატომ, რატომ, რატომ?..

საშა მკვდარია, მე კი ხშირად ვდგავარ სახეზე ხელებფარებული და ვისმენ, როგორ დამძახის და ვხედავ, როგორ მესვრის სამი წლის ბავშვს...

ყოველი დღეა იწყება იმ ერთი დღის დავინწყების მცდელობით და ყავის ხანგრძლივი მორევით.

ვერ წამოვალ სახანძროდან. ვერ წამოვალ! იმიტომ, რომ ასე მგონია, ეს საშას ღალატი იქნება.

ახლა მარტო ნიკო არ ვარ, ახლა საშაც ვარ...

უკვე ორი წელია...



თამაზ ჭილაძე

მომავალი წიგნიდან — „ნაპირი“

\*\*\*
თითქოს ვილაცას, მიუნდომელს, სურს გაგვახსენოს,
რაც დაგვაფიქვდა, თუ ვიფიქვებთ ასე ადვილად —
ღმერთის ნაბოძებ სინათლეში ბნელში რომ ვსხედვართ,
შიშის ამარა
და აღარც გვიკვირს, რაც ნამდვილად საკვირველია,
რომ სწორედ შიში გვათამამებს — გაუძლოთ დროის
არამართო დაუნდობლობას,
საკუთარ თავსაც —
ამ იდუმალ, ვერაგ არსებას...

\*\*\*
ღრუბელი, როგორც ხომალდი, მიდის,
ჩრდილს ბადესავით მიითრევს დაბლა
და ზოგჯერ წამით, საოცრად მშვიდი,
მთვარე გაკრთება, ვით ღრუბლის აფრა.

ქარი წრიაღებს და ისუსხება.
არ ჰყოფნის მინა, მისგან ნარყევი
და მეც, ქარისგან მონუსხულივით,
აფრიან ხომალდს ცაში დავყვები...

\*\*\*
უმჯობესია, ისევ ზღვამ გითხრას,
რაზედაც ჩემთვის ვნალობდი დიდხანს.
მითენებია და მიფიქრია,
არავინ მყავდა, ზღვას ვესაუბრე
და გახდა ჩემი მესაიდუმლე
ეს უცნაური, ლურჯი სტიქია.

როგორც ფრთოსანი, როცა ბუდეში
ველარ ეტევა და სივრცეს ელტვის.
ასე მგონია, ჩემდა ნუგეშად,
დაგიძახებს და ყველაფერს გეტყვის...

\*\*\*
სიბერის თეთრი წყვილია,
წყალში ჩამბალი ხშიადი,
რალაც კი უფრო მალაღი,
რალაც კი უფრო ღიაღი.

როგორ ჰგავს, ღმერთო, ერთმანეთს
საღამო და განთიადი!..

\*\*\*
უცნაური დღეა,
უცნაური მარტია,
თითქოს ღრუბლის ტყევა,
ამ ცას რა დამართნია?

თითქოს ვილაც მოთქვამს,
იქნებ ღმერთის ჩანგია,
ჩვენს უსმენო მოდგმას
არაფრად რომ არგია...

უცნაური დღეა,
უცნაური მარტია...

\*\*\*
რომელიმე თეთრი
ეკლესიის ახლოს
ნახო შენი ბოლო,
მშვიდი სამოსახლო

და იქნება იქვე
კვიპაროსიც იდგეს,
არ წვიმდეს და ქარიც
ჩამდგარიყოს იმ დღეს.

იხსენებდეს ვინმე,
სულდგმულობდი რითიც,
რომ გჯეროდა სიტყვის,
გქონდა ღმერთის რიდი,

თამაშობდეს ბავშვი
და უსტვენდეს ჩიტი...

\*\*\*
სიზმარში ჩნდება ბავშვობის სახლი,
მოგელანდება სულ ერთი წამით,
თითქოს გეძახის ნამგზავრს და დაღლილს,
რომ ფანჯარასთან დაგიდგას სკამი.

შენ იმ ფანჯრიდან გახედვას ნატრობ,
გადავიწყებულ ფიქრებს რომ ამხელს,
სახლი კი ქრება და ქუჩას ათოვს
და ვერ იხსენებ იმ ქუჩის სახელს...

\*\*\*
საკმარისია სულ ერთი ჩქამი,
სულ ერთი წამი, სულ ერთი ბგერა,
იგრძნო — სიცოცხლის დინება ჩქარი
რომ შეგიძლია აქციო ფრენად.

ამ ერთი ჩქამის, ბგერის თუ წამის,
პატიმარივით შერჩი მოლოდინს
და უცნაურად ნეტარ წამებით
მის გაგონებას უცდი ბოლომდი.

მხოლოდ შენს სულში ჩნდება ის ბგერა,
მოგასმენინებს ქვეყნად ვერავინ,
რომ გადაიქცეს უცებ სიმღერად
შენი ჩურჩული გაუბედავი...

\*\*\*
როცა თოვს, ისევ შენთან ვარ ფიქრით,
მხოლოდ ფიქრშია ვხედვებით ერთმანეთს,
ასე მგონია — პანია ფიფქიც
ჩემი გულივით უნდა ფეთქავდეს.

და ათოვს, ათოვს ცარიელ ბაქანს
და სადგურის ზარს რეკავს მორიგე,
სადაც მივდივართ და მაინც აქ ვართ,
ერთმანეთისთვის ვქრებით ორივე...

\*\*\*
ჩემი ფიქრია თვალუნვდენელ სივრცედ ქცეული,
მისამართებით, სახელებით სახსრე მაქვს თავი,
კვლავ ფეთქავს გული, იფერფლება მხოლოდ სხეული,
ღმერთო, ეს შენი წყალობაა თუ სამართალი?!

ვით ბნელ გვირაბში წინ წასულთა მიმქრალ ფეხისხმას,
მოვდევდი გუმანს უსინათლოდ, ხელის ცეცებით,
შენ ვერ გააკადრე — შემეცვალა, რაც არ მეღირსა,
ბედნიერების ნამსხვრევებით თუ ნამცეცებით.

ვინამე იმის არსებობა, რაც არ არსებობს,
რამაც სიმართლის დაუნდობელ მახვილით დამჭრა,
რომ ვერ ედრება ოკეანე ცრემლით ავსებულ
გულს,
ვერც უდაბნო — უცრემლოდ დამშრალს.

და ჩემი ფიქრი, სხვა მხარეში გადაღწეული,
მიქრის, საკუთარ სითამამის ელდით დამთვრალი,
კვლავ ფეთქავს გული, იფერფლება მხოლოდ სხეული,
ღმერთო, ეს შენი წყალობაა თუ სამართალი?!

\*\*\*
უცნაური ხმა მომესმის შორით,
თითქოს ვუსმენდე მთვარის ნაბიჯებს,
რაც მოულოდნელ შვებას მანიჭებს,
ვთავისუფლდები ჩემგანვე, მგონი,
შემკრთალი დღეთა ერთნაირობით,
მეხის სიჩუმით,
სიჩუმის მეხით,
ცას შეხიზნული ერთი პირობით —
უკან არასდროს მომიცდეს ფეხი...

\*\*\*
აბობოქრებულ ცის მრისხანე, ბნელ სამყაროში
დაჭრილ ჩიტივით
ფარფატებდა უმწეო ფრანი
და გვაგონებდა უცაბედად განყვეტილ სიტყვას,
გაფრენილ ილბალს,
დაკარგულ იმედს...

და ანათებდა ზოგჯერ ელვა —
ღრუბლის ღიმილი...

\*\*\*
ბედნიერება თუკი ერთხელ მაინც გელირსა,
ანდა შორიდან დაგინახავს მისი ციმციმი,
ნათურას რომ ჰგავს გასწრებული მატარებლისა,
სიცარიელის იგრძნობ სიმძიმეს,
უცებ სურვილიც გაგიჩნდება გადაფრენისა
იქ, სადაც ისმის მარტოხელა ღმერთის ფეხის ხმა,
სადაც ცხოვრება გიბრუნდება თითქოს ლანდებად,
სადაც მზე ჩადის,
ჩადის,
ჩადის,
და არ ღამდება...

\*\*\*
რამდენი უნდა გვეტანჯა და, თუნდაც, დაგვეთმო,
შევგუებოდით ქვეყნად ყოფნას უერთმანეთოდ,
მაგრამ დამთავრდა, რაც გვეგონა, რომ არ მთავრდება
და შევაქციეთ ჩვენივე ბედს ზურგი ორივემ,
ვერც კი ვიგრძენით, რომ საკუთარ თავს გავქვეციეთ,
ჩვენზე ძლიერს და ჩვენზე გონიერს,
გადაქცეული მოლანდებად, ელდად, ლანდებად,
ის სიყვარული — წყალობა ზეცის —
მოგონებადღა გავიყოლიეთ.

თუმცა, გულს მაინც შერჩენია ნამცეცი დარდის,
როგორც ბუმბული ჩიტის ბუდეს ანდა გალიას
და გვეჩვენება, თუ ნამდვილად უჩვენოდ გადის
დრო — მიქრის სადღაც, ჩვენთვის უკვე აღარ სცალია...

\*\*\*
ყველას, ვინც ახლა რალაცას თუ ვილაცას ელის,
შენ გაუგე და გაუმართე, უფალო, ხელი,
შენ გაამხნევე კალატოზი თუ მინის მხვნილი
და ერთხელ მაინც დააძინე სიტყვის მძებნელი —
ყველას ტკივილის გულში დამტევი,
ღამის კი არა, ამ ცხოვრების თეთრად გამთევი,
მარად ჭაბუკი, მარად ბებერი.

ამოიარა ქვესკნელის ხვრელი
და დაემსგავსა კლდიდან ჩამოთლილს
იმქვეყნიური მზით გარუჯული,
გაბრუებული ამ სამყაროთი,
სადაც ცის ცრემლი წვიმად ჩამოდის
და ქარს ბალახი მისდევს ჩურჩულით.

შორი მგზავრით მოჰყვება ცისკარს
და ენაცვლება ზაფხულს ზამთარი,
მოდის, თანდათან თითქოს ფრთებს ისხამს
და გასაფრენად უკვე მზად არის...



\*\*\*  
„სიტყვა ცხოვრებისა“  
იოანე

არსებობს სიტყვა, რომლის ხმამაღლა  
თქმა ნიშნავს შენად დარჩე ბოლომდე,  
ნიშნავს ჯართისგან სულის განადმევას  
და გარდაუვალ ფრენის მოლოდინს.

უცებ გაქრება კიდევ სიმწარე  
ამდენ წამების და სიბოროტის  
და რადგან ერთხელ უკვე იწამე,  
მისი ლოდინით ცოცხლობ ბოლომდე...

\*\*\*  
ის ცხოვრებაა, რაც აღარ გვახსოვს  
და რაც კი გვახსოვს, ის სიზმარია,  
თვითონვე ვარდევით ოცნებით ნაქსოვ  
სამყაროს და თან ვჩქარობთ ძალიან.

ენაცვლებიან ერთმანეთს ასე  
ჩვენი სიზმრები და ჩვენი ცხადი  
და გაურკვეველ ლოდინით სავსე  
სიზმარი გვრჩება, ცხოვრება გადის...

\*\*\*  
უცებ დავკარგეთ თითქოს ქვეყანა,  
სადაც ვეკიდეთ იმედის თოკზე,  
გადაუხდელი დაგვრჩა ბეგარა  
შვების, სიცოცხლის ფასად რომ მოგვცეს.

დავკარგეთ ერთად ფიქრის სურვილიც,  
ერთად ოცნება თუ ცაში ფრენა,  
ტელეფონიდან გაქრა დუმილი —  
ჩვენთვის ყველაზე მეტყველი ენა.

და მიკვირს კიდევ, რომ ისევ რეკავს,  
ჩემგან ამაოდ რალაცას ითხოვს,  
გარდასულ დღეთა ნამცეცხვს კენკავს  
ხსოვნა, სხვის ამბავს მიყვება თითქოს...

\*\*\*  
მზე ჩადიოდა...  
გალმა გუმბათი იძახდა „ჭიტას“!  
მოხუცი ქალი წყალს იღებდა  
ეზოში, ჭიდან...  
ერქარებოდა მზეს თითქოს სადღაც  
და გზას, მოკლეზე,  
ზღვის გავლით, ჭრიდა...

\*\*\*  
რამდენ რამეს მიმალავდი,  
გული რომ არ მტკენოდა,  
საფრთხე, როგორც ჰიმალაი,  
დაგვცქეროდა ზემოდან  
და რადგან თვალს ვერ ვუწვდენდით,  
თუ იყო, არ გვჯეროდა...

\*\*\*  
ალბათ გამჩენის ნების თანახმად,  
იმ სიხარულის შევრჩი მოლოდინს,  
რომ უსათუოდ ვიტყვი ხმამაღლა,  
რაც კი უთქმელი დამრჩა ბოლომდე.

ოლონდ, თქვენი ხმა  
მომწვდეს აქედან  
და ერთი წამით  
წამომახედა,  
ენახო ის,  
რაც კი პირველად ვნახე —  
დედის დალილი  
და წყნარი სახე,  
მომასმენინა სიმღერა მისი,  
რომელიც თითქოს გულის კარს აღებს,  
კვლავ განვიცადო ელდა სიმშვიდის,  
ჩვენს მთებს რომ ახლავს,  
ვით ბაირაღებს.

ოლონდ, თქვენი ხმა  
მომწვდეს აქედან...

\*\*\*  
ხმა გამეცი, ხმა  
და ნურაფერს მკითხავ,  
რად გიცდიდი ასე  
უსაშველოდ დიდხანს.  
გიცდიდი თუ ჩუმად  
ვიცლებოდი სისხლით  
დარჩენილი თითქოს  
ქვეყნის გადაღმა.  
მეცლებოდა მინა,  
მოზომილი მისხლით,  
ხმა გამეცი, ხმა!

არც შენდობას ვითხოვ,  
არც სიყვარულს გიხსნი,  
ხმა გამეცი!  
ხმა!  
გეძახი და გიხმობ,  
ხმა გამეცი, ოლონდ  
არაფერი მკითხო...

\*\*\*  
...და როგორც ბრმების თავშესაფარი,  
იდგა წყვილი — ოცნების ზღუდე...  
ლამეს ეფარა ჭინჭრის საბანი...  
დერეფნის ბოლოს ენთო სანთელი  
და ჩანდა მერცხლის პანია ბუდე.

მე ისევ მქონდა შენი იმედი,  
თუმც არ ვიცოდი რისთვის და რატომ,  
მაგრამ მყოფნიდა ასე მცირედიც,  
ამ სიბნელეში დარჩენილს მარტო.

მდინარე ჩუმად მისდევდა ქუჩას,  
გააგებული უყფელა ძალი,  
რადგან ელავდა უცხოოდ და ურჩად,  
სადღაც მიჰქონდა ბალი თუ სახლი.

მე კი გიცდიდი ისევ უაზროდ,  
კვლავ მინდობილი ნაცნობ ოცნებას,  
გული ელოდა, რალაც უნაზეს  
ხელის შეხებას თუ გაცოცხლებას.

თუმცა ვიცოდი, იყო ზღაპარი  
მდინარის ლანდიც და მერცხლის ბუდეც,  
და როგორც ბრმების თავშესაფარი,  
იდგა წყვილი — ოცნების ზღუდე...

\*\*\*  
ვიღაც აგროვებს თითქოს თოლიებს,  
იფიქრებ — ნაპირს ათოვს და ათოვს  
და ზღვაც — ალისფრად ათრთოლებული,  
თითქოს პირველად მასპინძლობს მნათობს.

ზვირთებიც, როგორც სტუმარს, ელიან  
ჩამავალ მზეს და აღარ ბორგავენ  
და ჩემი გულიც, უცნაურია,  
მკერდშიც და ზღვაშიც ფეთქავს ორგანვე...

\*\*\*  
დავრჩი ასე მარტო  
შენი გადამკიდე,  
როგორც მძიმე პალტოს,  
დარდს ხის ტოტზე ვკიდებ,  
მოიპარონ, ვნატრობ,  
ჩამოვხსნიდე ვიდრე...

\*\*\*  
სიზმარში ჩნდება ბავშვობის სახლი,  
ისიც ხანდახან, სულ ერთი წამით,  
თითქოს მეძახის ნამგზავრს და დალილს,  
რომ ფანჯარასთან დამიდგას სკამი.

მე იმ ფანჯრიდან გახედვას ვნატრობ,  
ის დავინყებულ სურვილებს ამხელს,  
სახლი კი ქრება და ქუჩას ათოვს  
და ვერ ვიხსენებ იმ ქუჩის სახელს...

\*\*\*  
გადმიქროლეს ჩიტებმა  
მოყვივივე ისრებად,  
ფრინველების დიადი  
გადაფრენა იწყება.

გულმა რა ქნას ბებერმა,  
სულის ერთმა შებერვამ,  
დღეებს რომ არ ითვლიდა  
და ახლა წუთს მისტირის,  
სინანულის ცრემლები  
გადაჰკვრია ბისტივით.

ასე უფრთოდ დარჩენილს  
დრომ დაადო ბოქლომი —  
უცნაური სასჯელი —  
გასაღები წინამძღოლ  
ჩიტს ნისკარტზე ჰკიდია...

რალა დარჩა სათქმელი...

შეორთქლილა სარკმელი,  
თუ სიბერის ბინდია?..

\*\*\*  
შორს ბათუმის მოჩანს პორტი  
და ნითელი ტანკერი,  
ფიქრი თითქოს ცისარტყელას  
ძაფითაა ნაკერი  
და ათასფრად ირეკლავენ  
ჰორიზონტის სარკენი...

\*\*\*  
ყველაზე დიდი სიფრთხილით უნდა  
თავისუფლებას მოექცეს კაცი,  
ჩვილი ბავშვივით გაზრდილი გულთან  
ცაში გაუშვას, ღმერთი თუ აცლის,  
რომ იმედივით შესტრფოდეს მუდამ,  
ბაირალივით ღრუბლებში აწვიდის.

უნდა უვლიდეს შორს და უკარებს,  
სიამეს ჰგვრიდეს მისთვის წამება,  
ამ წამებისთვის უნდა უყვარდეს,  
მოკვდება, თუკი არ ეყვარება...





ნიგნის დანარსს პაპირა

18.09.2015. გახსენებაც არ მინდა, იმდენად მიშხამავს გუნებას რეზო ჭყიშვილის გარდაცვალება. დაღუპვამდე რამდენიმე თვით ადრე, უკანასკნელად, რუსთაველზე შემხვდა „ლიტერატურული საქართველოს“ რედაქციიდან გამოსული. ცოლი ახლდა, მარტო აღარსად დადიოდა. მანქანითაც ქალბატონი მარინა დაატარებდა. არ მომეწონა მისი გამოხედვა, გვერდზე გადაქანებული თავი. ლაპარაკითაც შენელებულად, დუნედ ლაპარაკობდა. ეს ძველი რეზო აღარ იყო, მაგრამ ასე მოულოდნელად თუ წაიქცეოდა, არ მეგონა. თითქმის მთელი ცხოვრება ერთად გავლიეთ, ბევრი რამ გადაგვხდომია. გადანწყვეტილი მაქვს, ნიგნი დავენერო მასზე, რაც იოლი საქმე ნამდვილად არ არის.

მთელი კვირა გადის, არ მასვენებს ფიქრი ჩემს ძმასავით საყვარელ, უახლოეს, ახალდასაფლავებულ მეგობარზე. ვისაც ჭკუა მოეკითხება, რაიმეს გაგება შეუძლია, ყველა მიხვედრილია, რამოდენა ნიჭის კაცი დაეკარგეთ. კი ვიცოდი, ჯანმრთელობა შერყეული რომ ჰქონდა, მაგრამ იმდენს არ ვეარგავდი, რამდენიმე წელინაღს კიდევ იცოცხლებდა.

ერთხელაც გადავთვალე როსტომ ჩხეიძის შედგენილი მისი მშვენიერი რჩეული („კვამლი და სხვა“. 2013), რომლის მწვანე სუპერზედაც ავტორის ფოტოა — ბებერი ხის გადანაჭრზე გაბუსუნებული, მონყენილი, ხელბეჭდვითი რეზო ზის. სივრცეს თითქოს რალაცით უკმაყოფილო გაჰყურებს. თეთრი უღვაშები და ჭაღარა თმა ბუნებრივად ეხამება ასეთივე ფერის კეპს. ეტყობა, სურათის გადასაღები ადგილიც თავად შერჩა. რატომაც ისეთი განცდა დამეფულა — საუღრესი გამგზავრებული და მიღმა სამყაროში მოხვედრილი უეჭველად შეხვდებოდა მამამისს, ვისაც ხასიათით, გონებათმხეობით, გარეგნობითაც ძალიან ნაგავად. გონებაში მყისიერად გაკრთა რამდენიმე საამისო, ნაუცბათივი სტრიქონი და აქვე უერთდა, ცალკე გამოსაქვეყნებლად არ გამოდგება:

*შენ ხარ, თუკი ვინმეზე  
გული მწარედ მტკენია,  
რეზო, ძმავე, უშენობა  
ვერ წარმომიდგენია,  
ნიჭით, მიგნებებითაც,  
ხარ აბსურდის გენია,  
მჯერა, მოგვეგება —  
მამაშენი, ბენია.*

ქუთაისში სახელდახლოდ დაბეჭდილი ექვსგვერდიანი გაზეთი მიმზიდველად გამოიყურება. საგანგებო გამოცემა სავსებით სწორადაა დასათაურებული — „საქართველო ემშვიდობება რეზო ჭყიშვილს!“ ყველაზე მეტად, აზრის სიღრმითა და პაიროვნებით, მომეწონა ზურაბ კიკნაძის ესე — „მზით განათებული ნიგნებით ხელში“. თუმცა ალბათ უფრო მოქნილი სათაური აჯობებდა. ჩემს წერილსაც („მოუხელებელი დანაკარგი“) არა უშავს, მაგრამ როგორც ზემოთ აღვნიშნე, რეზოზე მოზრდილი ნიგნის დანერგვა ვაპირებ, სადაც ვიტყვი, ჩემ თვალწინ როგორ დაიბადა იგი მწერლად, შევცდები, ჩემებურად გადმოვცე მისი განუმეორებელი, არავისთან შესადარი მხატვრული ოსტატობა. გაზეთში სასიამოვნოა გივი შაჰნაზარის მცირე მოგონება, შარლოტა კვანტალიანის ლექსი, სხვა რამეებიც. „ლიტერატურულ საქართველოშიც“ გამეტებულად, გულიანად არის მასალები (თამაზ ნიგნივაც და გოგი ხარაბაძე). ასევე მოსაწონი, ჭკვიანური „ლიტერატურული გაზეთი“ გამოქვეყნებული ვანო ამირხანაშვილის წერილი. აშკარაა, უნდა დაინყოს რეზო ჭყიშვილის ნამდვილი სახის სრულად წარმოჩენა. იგი დაუყოვნებლივ სათარგმნელია რუსულ, ინგლისურ, სხვა ევროპულ ენებზე. დროა, რეზო ჭყიშვილის დიდი შემოქმედება გაცდეს საქართველოს საზღვრებს და მსოფლიო აღიარება მოიპოვოს.

სრულყოფისკენ მიმავალი გზა

19.09.2015. ბევრჯერ თქმულა, რომ რითმა საუღარუნო, სახუმარო რამ არ არის. თუკი შესაფერ ოსტატობას ფლობ, მასზე ბევრია დამოკიდებული; თვითონვე გაგრძობინებს, რამდენად სწორად არის მოხმობილი. მიაჩნიათ, რომ იგი მთავარი ჯებირია — მდგრად, კლასიკურ ფორმას

# რქანითელის მტკვანი



უშნოდ მოზღვავებული, უნიჭოთა უსახური ვერლიბრის შემოტყვისგან იცავს.

რითმა გეზის მიმცემია და თუ თავის ადგილას ჩასვი, სასიკეთოდ წაგადგება. შედარებით იოლად მისაგნები რითმა, რომელზეც გიფიქრია და გუნებაში მოგისინჯავს, მერე კი, შენგან დამოუკიდებლად სხვამ გამოიყენა, უყოყმანოდ უკუსაგდება და მათგან თავის შეკავება ჯობს, ვინაიდან ამნაირი წყვილები ნამეტანი ზედაპირზე დევს. ასეთ რითმას სიღრმე, იდუმალება აკლია, აგამჩატებს, სათქმელს დამცრობს. იმანაც არ უნდა გატკინოს გული, მენ მიერ გამოყენებული რითმა თუ სხვის ლექსშიც აღმოჩნდება. მთავარია, სტრიქონს ბუნებრივი იერი ჰქონდეს, ხელოვნურობა არ ეტყობოდეს. საბოლოოდ ორი პოეტის მიერ ერთი და იმავე წყვილულის გამოყენებისას, რითმა მისი კუთვნილება ხდება, ვისი ლექსიც უფრო ძლიერია.

მაგალითად, გალაკტიონ ტაბიძეს, რითმის დიდოსტატს, ადრეულ, უმნიშვნელო ლექსში გამოყენებული აქვს წყვილი: მეფეთა — შემომეფეთა. შემდგომში (სრულიად გაუცნობიერებლად) გიორგი ლეონიძემ ეს რითმა ჩართო თავის ერთ-ერთ შედევრში „ნიონონინდის ღამე“ და იგი სამუდამოდ მის სახელს დაუკავშირდა.

ადრეც მითქვამს, ლექსი დასრულებულად, დახვეწილად მაშინ უნდა ჩათვალოს, როცა ყოველმხრივ შეამოწმებ და რომელიმე სტრიქონის გაუმჯობესება, უკეთ გამართვა აღარ შეგეძლება, ეჭვი თედმეტი ხდება. აქ თითოეულ სიტყვას, თითოეულ ბგერასაც კი გადაამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. განსაკუთრებით შეუმცდარი შერჩევა ჭირდება ეპიტეტს, რისი მოძებნის დროსაც უთუოდ უნდა გაითვალისწინო სიზუსტე და ჟღერადობა. დიდი ნვალება გადახდება, ვიდრე სრულყოფილ ვარიანტამდე მიხვალ. ყველაზე ძნელია, მიაღწიო ზღვარამდე მიყვანილ ბუნებრიობას, რაც უმთავრესს, სწორ ინტონაციას განაპირობებს. უამისოდ ლექსს არ ექნება სასურველი ზემოქმედება. ის, რასაც საზომის არტახებში აქცევ, შენსავე მეტყველებს უნდა უახლოვდებოდეს. თუ სწენა უკიდურესად გამძაფრებული გაქვს, ამის შემჩნევა არ იქნება ძნელი. რითმა და ეპიტეტი იმიტომ გამოიყენება, რომ ხშირად ამ ორ რამეზე ატყობენ პოეტს, რა ძალისა და ღირსებისაა იგი, ყოფნის თუ არა ოსტატობა.

მიუხედავად იმისა, ბევრს ვნერ და გამოცდილებაც არ მაკლია, ზოგიერთ ლექსზე ხანგრძლივად მიხდება კირკიტის ხელნაწერს, შავს, არ ვიტოვებ და სუფთად გადანერილი ვერ მიხვდებიან, რამდენი ვინვალე, რა გზა გამოიარა თითოეულმა სტრიქონმა, ყოველმა სიტყვამ. სამპირი ტყავი მაინც უნდა გააძრო თავდაპირველად დაწერილს. როცა რომელიმე ადგილი გაეჭვება (მეტწილად, ფინალური სტროფი) და ამ ყოფნაში დაგაღამდება, მიძალეხას აჯობებს, ვარიანტების ძებნა გადადო, დაისვენო და დილისკენ ყველაფერი დალაგდება. შენი გონება ძილში განაგრძობს ჩხრეკას

და გამოღვიძების უმალ მოგანგდის იმას, რის მიგნებასაც ლამობდი.

ახალი, მანამდე გამოუყენებელი რითმის მიგნება ჩემი მუდმივი საზრუნავია და ლექსის ამ ერთ-ერთ ძირითად ელემენტს კვლავ ჩავუღრმავებდი, როდესაც ვარლამ შალამოვის ძალზე მნიშვნელოვან და რამდენადმე წინააღმდეგობრივ ესსეს („რითმა“) საგანგებოდ განვიხილავ.

საოჯახო-სამეურნეო ლექსიკონი

20.09.2015. გურიაში, ძველი გლეხების, ბევრის მცოდნე მეურნეებისაგან (დღეს მათი სახსენებელიც აღარსადაა) მრავალი მარჯვე, მოხდენილი სიტყვა გამოვიჩინა. ჩვენს გადაღმა, ცოლთან ერთად პატარა სახლში ცხოვრობდა უშვილო ბერიკაცი, ლადიმე ნილოსანი, მამაჩემის სიყრმის მეგობრის კოლია ნილოსანის ნახევარძმა. მისი დედინაცვალი, ოთხმოცდაათ წელს გადაცილებული ივლიტე თავის ელამ, განათლებულ პედაგოგ ქალიშვილთან, ოლღასთან ერთად, გვერდით სახლობდა, ორ ობოლ მცირეწლოვან გოგონას ზრდიდნენ.

ლადიმე მომცრო ტანის კაცი იყო, მელოტი. ყაბალახი ჰქონდა თავზე მოხვეული, ბალ-ვენახს, ჩაის ნარგავებს უფლიდა. რამდენიმე ჭურცი მახსოვს, სახლის უკან, კომპის ძირში ჩაფლული. ჭურის ამოსარეცხის სახელი, მიყუღებული რომ იყო ფოცხთან, თხთან და ბართან — „ორჩხუში“ — პირველად მისგან გავიგონე. ესაა ჯოხზე ნამოცმული და მომრგვალებული, ბლის ატკეცილი ქერქები, ჭურის ამოსარეცხად ფრიად მოხერხებული — ღვინის ჩარჩენილ ნალექს ამორებს ჭურის კედლებს. ახლაც ჩამეხმის ყურში იმ იარაღის ხრახუნი. თითქოს თვით სიტყვაც გამოსცემს ასეთ ხმას. დასანანია, რომ მწერლობაში არ იყენებენ. დავით კაკაბაძის გენიალურ იმერულ ნატურმორტზე კი უნდა იყოს გამოსახული, კოპესთან ერთად. კოპე გამხმარი, გამოღრუნული მწარე ხაპის-გან მზადდება, ჭურჩიდან დანაკლებული ღვინის ამოსაღებად ხმარობენ (გავიხსენოთ ანა კალანდაძის „ღვინიანი კოპე“). ამოხაპავაც, აშკარაა, ამ ხაპთან არის დაკავშირებული. იგი ტყეში სამუშაოდ წასულებს სასმელი წყლის ჭურჭლის მაგივრობასაც უწევს. დათესილმა და ამოსულმა მწარე ხაპმა ღობეზე იცის შეცოცება და როცა დრო მოუვა, თეთრი, ქათქათა, ნაგრძელბული ყვავილი გამოაქვს.

იმავე ლადიმე ნილოსანისაგან მსმენია — ანჯამას, რაზედაც კარია შეკიდული, ჩვენ კუთხეში „კოჭყური“ ერქვა. ენათმეცნიერს შეუძლია ახსნას მისი წარმოშობა. ასეთი ლამაზი, ჟღერადი სიტყვა არაა დასაკარგი.

ლადიმესთან ახალგაზრდები ხშირად ვვხვდებით ხოლმე სუფრასთან. თიხის ჩიბუხს აბლაკუნებდა. გულის ჯიბეში მუდამ ედო კვეს-აბედი. არყის წრუპვა უყ-

ვარდა და როცა შეთვრებოდა, აღიღინდებოდა („ჩემო ნათლიდედაო...“), კიდევაც ჩაუკრიმანჭლებდა. თავი მოჰქონდა, ბიძიბო, მასე ნუ მიყურებთ, მე ადრე სამუელ ჩავლემვილის გუნდში ვმღეროდი.

მახსოვს (ჩვენც გვექონდა, სამზარეულოს გარეთ იყო, კედელთან) კონუსური ფორმის მოზრდილი ქვის ჭურჭელი — „ჩამური“. ახლა სოფელში გლეხი, მეურნე აღარაა და მეექვსეა, ის გვერდებდაკენილი ჭურჭელი — სხვადასხვა მარცვლეულის გასარჩევად, საცეხველად განკუთვნილი — სადმე მოიძიონ. აღარც მისი ხსენება იქნება.

ბავშვობისას ქედზე დავყავდი მამიდაჩემს და იქ მინახავს ერთი წერწეცა, სწორწერწეციანი მცენარე, რომელსაც იქაურები „კვიდოს“ ეძახდნენ. ეს იგივე ჯონჯოლია, სახელმწიფილი. აპრილში, როცა აყვავდება, მის შეხედვას არაფერი ჯობს. ამდაგვარი სახელები მცენარეებისა სხვაც ვიცი, მაგრამ სხვა დროს გავიხსენებ, როცა ჩემი ყრმობის წლების აღწერას შევუდგები კარგა ხნიდან განზრახულ ნიგნში, რომელსაც თითქმის ოცდაათი წელია ვეზომები, მოზრდილი შესავალიც დავწერდი და სამეურნეო ველად დავაყენე.

აქვე მინდა, ვახსენო თავისებური ცოცხი, რომელსაც ქალები ეზოს დასაგველად იყენებენ. გრძელ ჯოხზე სპილენძის მავთულით (რკინაზე უფრო დრეკადი, დამყლია) მიმაგრებული იყო ბამბუკის წვრილი, ფოთლებაცცენილი, უკვე გაყვითლებული ტოტები, ყვითელივე, ჩამოყრილი ფოთლების მოსახვეტად ძალზე მოსახერხებელი. ასეთ ცოცხს „ფორჩხს“ ეძახდნენ. იგი ხშირად მინახავს, შემოდგომობით, ჩემი გამზრდელი მამიდის, ანეტას ხელში. ეს სურათი განზრახულ ნიგნში საგანგებოდ უნდა დავახატო.

მოგეხსენებათ, აღმოსავლეთსაქართველოში, ურმის გვერდებზე დატანებულ ხელმოსაჭიდს „ჭალს“ უწოდებენ, გურიაში კი — „ცეტერას“ ეძახიან. როცა ვინმე ონავარი ბიჭი ზედმეტად იანცებდა, იმაზე იტყოდნენ (ნახევრად ხუმრობით), ცეტერაზე უნდა ჩამოანცვაო.

ვინ მოსთვლის, რამდენი მშვენიერი, საგნის, ნივთის ნათლად გამომხატველი სიტყვაა გაბნეული, მივიწყებული. სოფლების გულსაკლავად დაცარიელების გამო, ეს ფასდაუდებელი საუნჯე სამუდამოდ იკარგება, დავიწყებას ეძლევა. საყველთაოდ ცნობილია — ცალკეულ კუთხეთა დიალექტები ენის მაცოცხლებელი წყაროა და ამას მეტი ყურადღება უნდა მიექცეს. ასეთ შენაკადთა დაშრეტა მშობლიურ ენას უკიდურესად გააღარიბებს, გააუფერულებს.

ჯადოეტი მოსდის

22.09.2015. ამ ოცი დღის წინ ჩვენი ბუჩინისტის, საუკეთესო, უპატიოსნესი პიროვნების, ბატონი გრიშასაგან (ნუცუბიძის 16) ნამოვილე ბროდსკის ესსეების ორი

ტომი, ინგლისურიდან თარგმნილი. ეს ტომები მის სიცოცხლეშივე გამოვიდა და, ამდენად, სანდოა. დიდ შთაბეჭდილებას ახდენს. თითქმის მთლიანად ნაწიკითხე, ძალზე კმაყოფილი დავრჩი. საერთოდ, მის მიმართ გაორებული დამოკიდებულება მაქვს.

ლექსების ერთი ნაწილი (ვერავინ უარყოფს, რომ საკმაო რაოდენობის შედეგობა ავტორია), ზედმეტად ხშირი გადასვლების (ანუ ანაბეზანტი) გამო ბუნებრივობას უკარგავს სტრიქონთა მდინარეობას, ნამეტანი გონების მიერ და ხშირად ცინიკური, გამაღიზიანებელი. ხალასი გრძობისათვის, ემოციისათვის ადგილი აღარ რჩება. თავისი შემოქმედების გვიანდელ პერიოდში ამითვე სცოდავს მის მიერ უზომოდ განდიდებული (მეოცე საუკუნეში ყველაზე აღმატებულ პოეტად გამოაცხადა) მარინა ცვეტაევა, ვისაც თავისი გამორჩეული ადგილი უჭირავს რუსულ პოეზიაში და ხელოვნურად გაბუქდა არ ესაჭიროება.

ესევე ბროდსკი ფართო მასშტაბის მოაზროვნედ მოჩანს და ბევრ ანგარიშგასანედ მოსაზრებასაც გამოთქვამს. ამბობს, პატივმოყვარეობისაგან, ამბიციებისაგან თავისუფალი ვარო, მაგრამ მთლად ასე არ არის — თავი ძველი რომაელების (ვერგილიუსი, ჰორაციუსი, ოვიდიუსი, ლუკრეციუსი, პროპერციუსი...) და დანტეს ტოლად მიაჩნია, რაც წმინდა წყლის ილუზიაა. რამ მისცა ასეთი მანიაკური რწმენა, ძნელი მისახვედრია. თანაც ჰორაციუსს დიდ ეპისტოლეს უგზავნის და ფამილარულად მიმართავს, მხარზე ხელს უთათუნებს, ზოგჯერ ისეთ რამეს აკადრებს (ნაზონი გჯობიაო), რისი უფლებაც ნამდვილად არა აქვს. ერთგან ისიცაა ნათქვამი, რომ ძილში სპერმა გაეპარა და ზენარი გაეთხარა; უბუნება, ქალს შენსავით ნამოვარდები, რათა მერე, შენს მსგავსად, ამის ანარეკლი კედლის სარკეში დაეინახო. თავისი მცემლებიც ათამამებდნენ, ხშირად პუშკინის გვერდით აყენებდნენ და აყენებენ, რაც მკრეხლობაა. ზოგი მეტადაც კი თვლიდა.

სხვა ესეები (რილკეზე, ფროსტზე, თომას ჰარდიზე, ცვეტაევაზე, ნეკროლოგი ნადეჟდა მანდელშტამზე, ნერიოს პოეზიის აუდიტორიის გაფართოებაზე, „თავზედური ნინადადება“ დ სხვები) ძალიან კარგი, მნიშვნელოვანია. საბჭოთა კავშირიდან გასახლების მერე (შედარებით ახალგაზრდა, 55 წლისა გარდაიცვალა), მაინც ბევრი მოასწრო და უთოდ დასაფასებელია, მაგრამ მისგან კულტი შექმნეს და ასეთი უზომო გაფეტიშება ამ უნიჭიერესი პოეტისათვის შეიძლება საზიანო აღმოჩნდეს.

ლურჯი ყვავილი

28.09.2015. რესპუბლიკის მოედანზე გასვლა ხშირად მიწევს. მომწონდა, სასტუმროს წინ მაღალი შადრევანი რომ ჩქრივად და წყლის ლურჯად მოოჭვილდესკერზე მზის ათინათები, ოქროს რგოლები იგრინებოდა. ეს კიდევაც აღვწერე ერთგან. ამას წინათ გაზონებში ჩარგულ ბალახებსა და ყვავილებზეც ვწერდი.

ადრეული გაზაფხული როცა დადგება, ხასხასა მწვანეზე ამოსული უნატიფესი (მეტწილად ლურჯი), ნამცეცა ყვავილები მოუბეზრებელი სამზერია, ისეთი დახვეწილი, გამოკვეთილი ფორმა აქვთ. რა ყოვლისშემძლე საქრეთელი უნდა სჭეროდა ხელთ შემოქმედს, ამგვარი განსაცვიფრებელი მშვენიერება რომ შეექმნა. სამწუხაროდ, ზაფხულობით საამო სანახავი აღარაა, ნამეტანი იზრდება და ამის კვალობაზე კიდევაც უხეშდება, ხეშეშდება. თუმცა ისიც უნდა ვთქვა — ბოლომდე არ კარგავს მომხიბლობას. გუშინ დავაკვირდი ხსენებულ მცენარეთა ნახრილი რიგს და შევამჩნიე, რომ ის პანანკინტელა ყვავილები კენწეროებზეა მოქცეული, ცისკენ აზიდული. ნამცეცა ლურჯ ჯამს ხუთი, კიდევ უფრო მინიატურული ფურცელი კრავს. ბუნებას, სიმეტრიის დიდოსტატს, არაფერი ეშლება. მეექვსე ფურცელი ამ სრულყოფილებას დაარღვევდა, დააუზნოვებდა, ოთხი არ იქნებოდა საკმარისი (ჩვენ ტყუილად არ დავიწყებ ხელზე ხუთი თითი).

დავწყნო და უმალ გამაბრუნა; მზის სიმზურვალე აიძულებდა, მთელი სურნელება გაეცა, მაგრამ ამავე დროს არ დაშრეტილიყო, მათრობელა ბანგი შეენარჩუნებინა. გული დამწყდა, ირგვლივ პეპლების გუნდნი რომ არ დაფარფატებდა. კიდევზე ორ-სამ, შავ-ყვითლად და-

სალტულ კრაზანას მოვკარი თვალი: არ მსიამოვნებს მათი დანახვა. ერთხელ, სიყმანვილეში, სოფლად ჩასულმა, ფანჯრის რაფასთან, კრაზანების ბუდე ავშალე და დიდხანს მდიეს, ვერ მომიხელეთეს, თორემ დამწესტრავდნენ და დამასივებდნენ.

ხანდახან ვნანობ, რომ ბუნებისმეტყველი არ გამოვედი. თუმცა გოეთეს ბიოლოგიის ფაკულტეტზე არ უსწავლია, მაგრამ მასავით ღრმად ცოტა ვინმე თუ ჩასწვლია მცენარეთა და ცხოველთა სამყაროს. მისი შრომები საგანგებოდაა შესასწავლი. რამდენადაც ციცი, რუსულად გამოვიდა ორი ვიებერთელა ტომი, მაგრამ მეტისმეტად ძვირია, ვერ შევწვდი. წიგნების გაუთავებელმა შეძენამ ისედაც გამფცქენა, გამალატაკა.

მთლად ასე მშრალად, მერკანტილურად არ მინდა დავშორდე ჩემს ლურჯ ყვავილს, რომლის ნახვა, ვინ იცის, კიდევ როდის მომიწევს. უნებურად და უეცრად, რატომღაც მახსენდება ფერდინანდ ჰოლდერის სურათი „დღე პირველი“ (1899-1900) — მოციხფრო ქსოვილზე განლაგებული ხუთი ქალის შიშველი ფიგურა, მიმზიდველად პლასტიკური, მოქნილი. სამ მათგანს სახეზე ხელები აქვს აფართობული. შუათანას, უფრო თამამს, ორივე ხელი მალა შეუმართავს და მჯავებში უკულმა მოუქცია. მათგან ორს, იქეთ-აქეთ განაპირებულებს, გრძელი, ნაბლისფერი ნანწავები ჩამოშლიათ ზურგზე. ხუთეულის წინ, მგონია ის ლურჯი, ხუთფურცლოვანი ყვავილებია გაბნეული, რამდენიმე გაკლაკინლ ზოლად, მთელ სიგრძეზე, სწორედ ისინი, რომელთა დახატვას, გამოკვეთას მე ამაოდ ვლამობდი. ყვავილები უფრო ცხადყოფს სურათის დეკორატიულობას, ნახების სიმკვეთრეს. ქალთა სხეულებს ზედმიწევნით ესამება ღია, მოყვითალო ფონი. მლოცველმა მსგავსად ექსტაზში მყოფნი, თვალმინაბულები, თითქოს დიდი ხნის დაგუბებულ და მოწოლილ ვნებას იოკებენ.

ხელოვნებაში ნაირფერი ყვავილებით დაქარაგმებულ მდელიებს თუ გადავხედავთ, აღორძინების ხანის იტალიელებს ვერავინ შეედრება. მარტო ბოტიჩელის „გაზაფხული“ დასახელებაც კმარა, რომ ყველა მხატვარმა გვერდზე გადასდოს ფურჯი. რა ფერისა და ფორმის ყვავილი გინდა, რომ იმ ზედადამიანური შთაგონების ტილოზე არ იყოს გამოყვანილი, უსათუთესად, რბილად რომ ეფერებოდნენ ჰაეროვან სამოსელში გახვეულ ღვთიურ არსებათა შოშველ ტერფებს.

მინდა, მოვიხმო ვან ეიკის გრანდიოზული, მრავალპლანიანი ქმნილებაც, სენტ-გავონის საკათედრო ტაძრისთვის შესრულებული, რომლის შუაგულში უფლის სიმბოლოდ მოაზრებული, დაჩოქილ ანგელოსთა დასით გარშემორტყმული, სხივმოსილი თეთრი კრავი ანათებს. რა დაითვლის იმ პანანკინტელა, ყელმოღერებულ ყვავილებს, ლლად გამოლილ ვეებერთელა მინდორზე რომაა ამოფეთქილი. აღარაფერს ვამბობ რემბრანდტის ერთ-ერთ შედეგზე (1634), სადაც მისი სათაყვანებელი და უკვდავყოფილი ქალბატონი, ოდნავ ნალველშეპარული სასქიაა აღბეჭდილი, ვის თმამაც გვირგვინად არის ჩანწული დამაბრმავებელი, დაუჯერებელი სილამაზის დიდ-პატარა ყვავილები. საერთოდ, ყვავილების შესადარი მშვენიერება ბუნებას არაფერი შეუქმნია. აღარ მახ-

სოვს, ვისთან ნავიკითხე (ეგებ დიდი ვაჟა იყო), ყვავილები დედამინის სიზმრებიაო. მათზე უკეთესი ვის რა უნდა დაეხიზმროს.

ლექსის დახვეწა

31.10.2015. არასოდეს უნდა ჩათვალო დანერლი საბოლოოდ და დასრულებულად, ვიდრე არ დარწმუნდები, რომ მისი გაუმჯობესება, უკეთესად გამართვა აღარ შეგიძლია. თითოეულ სტრიქონს სამოთხჯერ მაინც უნდა მიუბრუნდე, რათა საეჭვო აღარაფერი იყოს. თავადვე იგრძნობ, როდის მიადგები უკანასკნელ, უკიდურეს შრეს. ზოგჯერ შეიძლება ვარგებულის უარესით შეცვალო, მაგრამ ხანი როცა გაივლის, მიხვდები, რომ შეცდი. ხშირად ხდება — რაიმეს დაძლევა მიჭირს და წვლებში დამალამდება. მაშინ სიტყვის ჯიქურ ძებნას თავი უნდა მიახებო, აჯობებს, მოსათავებელი დილისთვის გადასდო. დილას იოლად დაგემორჩილება ის, რაზედაც მანამ დაღამებამდე ცოდვილობდი. ჩვენ არ ხელგვეწიფება იმის განსაზღვრა, განჭვრეტა, თუ როგორ გამაფრებულად და შეუწყვეტლად ეძებს გონება სასურველ ვარიანტს, რომ გათენებულზე თითქმის მზამზარეული დაგახვედროს, რასაც თავს აკლავდი. ცალკეა აღსანიშნი შემთხვევები, როცა ლექსი ძალზე იოლად და მალე, ყოველგვარი დაძაბულობის გარეშე იბადება, მაგრამ საამისოდაც შემზადებული უნდა იყოს მთელი შენი არსება. შემთხვევითი არც ასეთი ლექსის გამოჩენაა.

რამდენიმე ათასი მექნება სხვადასხვა ხასიათსა და დანიშნულების ნაუცბათევი, თითოსტროფიანი ლექსები, რომლებზეც ვადაყოლა, ჩაკირკიტება არანაირად არ ღირს — ვერც მოვასწრებდი იმათ გაშლაშინებას.

ცხადია, ვაცნობიერებ — რითმის სრულყოფაზე, ჟღერადობაზე ზედმეტად ვარ მიძალიებული, მაგრამ ამასთანავე იმასაც ვცდილობ, ხელოვნურობა არ დამეციოს, სარიტმო წყვილი განკერძოებულად არ გამოიყურებოდეს, სტრიქონთან ლლად იყოს შერწყმული, ეთანადებოდეს, მცირედი უხერხულობაც არ იგრძნობოდეს. უმთავრეს ამოცანად მიმაჩნია, ბუნებრივობა შევიწარმოო და არც ოსტატობა დაზარალდეს. მოწადინება, ვფიქრობ, ძირითადად, ნაყოფიერია, თუმცა ეს, რა თქმა უნდა, სხვათა განსასჯელი უფროა. ბოლოს იმასაც პირუთვნელად ვიტყვოდი — კმაყოფილების განცდა ჩემი იშვიათე იშვიათი სტუმარია. ყველაზე დიდი სანუხარი კი ეს არის — რისი გაკეთება-შემორავგაც მე მაქვს განზრახული, იმას ათი ადამიანის სიცოცხლაც არ ეყოფა.

რამდენი ნიჭი იპარება

27.12.2015. რეზო ჭეიშვილის გარდაცვალების მერე ხშირად მაგონდება სტუდენტობისას გადახრუკული ახალქალაქის სამხედრო ბანაკში გატარებული დღეები. ერთად ვიყავით ორსართულიან ყაზარმაში შეყრილი ერთი თაობისა და სხვადასხვა ფაკულტეტის ბიჭები — ფილოლოგები, ჟურნალისტები, ეკონომისტები, იურისტები... ზოგიერთს კიდევაც დავუმიგობრდი.

განსაკუთრებულად დამამახსოვრებელი თავი ეკონომიკის ფაკულტეტის სტუდენტმა. ჯანმრთელად სახედაბრანულმა (ლია ფერის უღვაშები, ცეცხლის მკვესავი თაფლისფერი თვალები, კეხიანი ცხვირი უხედებოდა) თენგიზ ცინაძემ, იმერელმა ბიჭმა. გამოკვეთილად ქართული სახე და ხასიათი ჰქონდა, წითელვარსკვლავიან პილოტკასაც შნოიანად ირგებდა ქოჩორა თავზე. მუდამ ხალისიანი, სულ ხუმრობის გუნებაზე იყო, გვართობდა, სასაცილო ამბებსაც ჰყვებოდა. იქაურ სალდათურ საქმელს ვერ ვეგუებოდით. სასურსათო მალაზიაში ნაყიდ არაყს, პურსა და ძებეს გავიყოლიებდით მინდვრად გასულბები, ფეხს მოვიკეცავდით და მონიკვლეული რკინის ჭიქებით, საპარსავ მონყობილობას რომ ახლდა, გამახურებულ სითხეს ვყლურნავდით (სალამობით იქ ციოდა) და ვლახლანდარობდით. თენგიზ ცინაძე ნაუშნებებდა ხოლმე, ზომიერად სკაბრუული, სახალისო სიმღერები იცოდა. ამ ყოფაში ავკისტო ისე გილია, ვერც გავიგეთ. ერთი რალაც, მისი ნამღერი (გგონებ ნამდვილი შემთხვევის ამსახველი), ახლაც ზარივით რეკს ჩემს ყურებში. მთლიანად არა, მაგრამ ნაწილობრივ ტექსტის აღდგენაც არ გამიჭირდება. ახლა ჩვენი ჟურნალ-გაზეთები იმნაირ უხამსობას და აღვირახსნილობას ბეჭდავენ ლექსად თუ პროზად (მამაკაცებს არც ქალები ჩამოუვარდებიან), ის სტრიქონები შეიძლება წამოიტურადაც კი ჟღერდეს. ადვილი წარმომადგენია, რა ვენებინად, ფართოდ გარმომებელი, გულგაღვლილი შემოსახებდა იგი (სიმღერას გარეშემო შემოკრებილთა ხორხოცი რომ ახლდა, ისედაც მისახვედრია):

სოფელში მითქმა-მოთქმა,  
სირცხვილს მიგხედოთ ჩქარაო,  
იმ უნაშულო ტიტვიკომ  
თამრიკო გაიხმარაო.  
თამრიკო გაიძახოდა,  
არ იყო ჩემი ნებაო,  
შიგნი არ შეუყვანია,  
გარედან შემამხეფაო...

გული მწყდება, რამდენი ხანია, აღარ მინახავს მაშინდელი ყელმოღერებული ბიჭი. ღმერთმა ქნას, ცოცხალი იყოს, მაგრამ ახლა ჩემსავით ბეხრეკი იქნება, შვილიშვილებში ჩამჯდარი და ახალი წლის მომლოდინე. გართობასა და ათასნაირ კვიმაც ამბებს არ მოაკლბთ შთამომავლებს, რომლებიც ალბათ თვალებში შესციცივებენ ჭალაროსან ბაბუს.

ამ თხუთმეტ-თექვსმეტი წლის წინ რუსთაველის მეტროში ესკალატორის საფეხურზე შემდგარი და ძირს ჩამავალი დავინახე ნამდვილი, ალი-კვალი თენგიზ ცინაძე, სახე სპილენძისფერად ჰქონდა აღამაღული. ერთადერთი განსხვავება ის იყო, არ ილიმებოდა. მყისვე მივჭყერი, ვკითხე, თენგიზ, როგორა ხარ-მეთქი. გაეცინა, ბევრს ვვშლებით ერთმანეთში, მე მისი უფროსი ძმა ვარო. მაინც გამიხარდა, ვუთხარი, რომ უნივერსიტეტი ერთად ვსწავლობდით და მოკითხვა დავაბრე. ალბათ გადასცემდა.

ბანაკში თანატოლებთან ყოფნის ნაირ-ნაირი ეპიზოდები მაგონდება და თუ ხასიათზე ვიქენი, სხვა დროს მივეტრიალდები ზოგ რამეს. არა მგონია, უგერგილო, მოსანყენი საკითხავი გამოვიდეს. როგორ თვალდახემა უგეპარება წლები. ვერაფერი მოაზრუნებს ჩავლილს, ჩახრივინებულს.

რეზო ჭეიშვილმა იმ საღამოს ის სიმღერა რომ მოსმინა, თავისთვის ჩაილაპარაკა, პატრონი რომ გამოსჩენოდა, საუკეთესო სახასიათო მსახიობი დადგებოდაო. ჩვენმა ჭეიამ კარგად იცოდა მსახიობისა და თეატრის ყადრი. მეც რეზოსებურად (ამგვარად აბოლოვებს იგი თავის რამდენიმე მშვენიერ მოთხრობას), შეძახილით მინდა დავამთავრო ეს მცირე მოგონება: „თენგიზა, ბიჭო, მენატრები, დამენახე, ხმა გამეცი, სადმე თუ ხარ!..“ ვინ იცის, რამდენი ამისთანა ბაჯალლო ნიჭი იკარგება, უკვალოდ ქრება ამ არეულ ქვეყანაზე. დამნახავი და შემცნობი არავინაა. ელდარ შენგელაიას რეზო ჭეიშვილის სცენარის მიხედვით გადაღებულ გაუზუნარ „ცისფერ მთებში“ მთავარი როლის შემსრულებლად პარაზიტოლოგი თემო ჩირვაძე რომ არ მიენვია, მისი მძლავრი აქტიორული ტალანტი გაუხსნელი, მიჩუმათებული დარჩებოდა.





„ალისფერი დამლა“ (ორიგინალური სახელწოდება — The Scarlet Letter) გახლავთ ცნობილი ამერიკელი რომანტიკოსი მწერლის, ნათანიელ ჰოთორნის რომანი, რომელმაც ავტორს დიდი სახელი მოუხვეჭა თავის სამშობლოში და დროთა განმავლობაში ამერიკული ლიტერატურის კლასიკად იქცა. რომანი 1850 წელს გამოიცა და მაშინვე მოიპოვა საქვეყნო აღიარება. იგი ეხება აკრძალული სიყვარულის, საზოგადოებასთან დაპირისპირების, დანაშაულისა და სასჯელის თემებს.

„ალისფერი დამლა“ ქართულ ენაზე „აკრძალული ნიგნების თაროს“ სერიით გამოდის. რომანი მრავალჯერ აკრძალეს სხვადასხვა ქვეყანასა და ეპოქაში (მათ შორის, ცარიულ რუსეთში), როგორც უხამსი და საზოგადოებრივი მორალის შეურაცხყოფელი, რადგან ავტორის სიმპათია აშკარად ეკუთვნის მთავარ პერსონაჟ ქალს, რომელმაც ადგილობრივ მღვდელთან გააბა სასიყვარულო ურთიერთობა და ამით მთელ პურიტანულ საზოგადოებას დაუპირისპირდა.

## ნათანიელ ჰოთორნი ალისფერი დამლა

ორი თავი რომანიდან

### 1 სატუსალოს კარი

ხის დიდი შენობის წინ, რომლის მუხის-აგან გამოჩნდებოდა კარიც რკინის სალ-ტეებით შექმნილი, თავი მოეყარა თაღ-ტანსაცმლიანი და წონოლაქუდიანი წვე-როსანი კაცების ბრბოს, რომელშიც აქა-იქ კაპორით თავშეპურვილსა თუ თავმისე-ველ ქალებსაც შეამჩნევდით.

ახალი კოლონიის დამაარსებლები რაც არ უნდა დიდი სურვილით იყვნენ ანთე-ბულნი, რომ ადამიანური სათნოებისა და ბედნიერების უტოპია შექმნან, უპირველეს და გადაუდებელ პრაქტიკულ საჭიროებად მიიჩნევენ, ხელუხლებელი მიწის ერთი მოზრდილი ნაჭერი სასაფლაოსთვის, ხოლო მეორე კი — სატუსალოს ასაშენე-ბლად გამოყონ. ამ წესის თანახმად, შეგვი-ძლია შეუმცდარად დავაცნობთ — ჩვენმა თადარიგებმა ბოსტონელმა წინაპრებმა ისააკ ჯონსონის ძვალთმესალაგის მახლობ-ლად პირველი საფლავი მონიშნეს თუ არა (დროთა განმავლობაში სწორედ ამ საფლავის გარშემო გაშენდა სასაფლაო კინგს ჩაპელის ძველი ეკლესიის ეზოში), უმაღლეს სადაც, კორნოლის შორიასლოს, უმაღლესი საპატრიმროს საძირკველიც გაჭრეს. ქალაქის დაარსებიდან ოციოდე წლის შემდეგ ხის შენობას უკვე დასტყო-ბოდა ამინდის ცვალებადობისა და დროის მსვლელობისაგან დამჩნეული ლაქები, რომლებიც მის ჩაფამებულსა და მოქუ-ფრულ ფასადს კიდევ უფრო პირქუშ იერს სძენდა. რკინის, რომლითაც მუხის ტლან-ქი კარი შექმნიდა, უნაგვი მოსდებოდა და ამიტომაც სატუსალო უფრო ძველი ჩანდა, ვიდრე ნებისმიერი სხვა რამ ამ ახალბედა სამყაროში. თითქოს მასაც, როგორც ყვე-ლაფერს, რაც დანაშაულს უკავშირდება, არასოდეს ღირსება სიხალისი ელფერი. ამ უშნო ნაგებობის წინ, კარტების კვალდაჩ-ნეულ ქუჩამდე, გადამლილიყო მინდორი, რომელსაც ოროვანდი, თეთრამხალა, ნი-კანდრა და სხვა სარეველა მოსდებოდა. ამ შეუხვედა მცენარეებს იგივე მიწა ასაზრ-დობდა, რომელზედაც ასე ადრიახანად ამოზრდილიყო ცივილიზებული საზოგა-დოების შავი ყვავილი — საპყრობილე. სა-მაგიეროდ, კარიბჭის მეორე მხარეს ვე-ლური ვარდის ბუჩქი გადაშლილიყო, რომელსაც ლამის ზედ საპატრიმროს ზღურბლამდე გაედგა ფეხვი და ამ შუა ივ-ნისში მშვენიერი ყვავილებით გადაპენ-ტილიყო. ეს ვარდები, ჩვენი წარმოსახვით, თავიანთ სურნელებასა და წარმავალ სი-ლამაზეს სთავაზობდნენ საპყრობილეში გამოსაკეტად განწირულ დამნაშავეს ანდა უკანასკნელ გზაზე მიმავალ სიკვდილმ-ისჯელს, ნიშნად იმისა, რომ ბუნების მოწყ-ალე გული თანაუგრძნობს და იბრალებს მას.


უცნაური შემთხვევითობის წყალობით, ეს ვარდის ბუჩქი ჯერ კიდევ ცოცხლადაა შემორჩენილი მაშინ, როცა მისი დამ-ჩრდილველი უზარმაზარი ფიჭვები და მუხები დიდი ხანია წამოიქცნენ. იგი ან თავისმა ველურმა შეუდრეკლობამ გადა-არჩინა, ანდა — როგორც ღრმადპა-ტივიციული პირები ირწმუნებინ — ოდეს-ღაც მართლაც საპყრობილის კარისკენ მიმავალი წმინდა ენ ჰეტირისონის ნაფხ-ურებზე ამოიწვერა. ასე იყო თუ ისე — ეს ჩვენი განსასჯელი არ გახლავთ. ნავანყ-დით რა მას ზედ ჩვენი ნაწარმოების ზღურ-ბლთან, ჩვენივეს ეგზომ საბედისწერო კარიბჭესთან აყვავებულს, ისლა დაგვრჩე-ნია, რომ შევანყვიტოთ ერთი ყვავილი და

გავუნოდოთ ჩვენს მკითხველს. იმედს ვი-ტოვებთ, რომ იგი გამოდგება სიმბოლოდ იმ ტკბილი ზნეობრივი ნაყოფისა, რომელ-საც მკითხველი ამ გზის გავლისას დაკრეფს; თუ არა და, იმ მჭმუნვარებას მაინც გაუქარვებს, რომელსაც ადამია-ნური სისუსტისა და სევდის შესახებ მოთხრობილი ეს ამბავი მოჰგვრის.

### 2 გაზრის მოქადაგი

ზაფხულის იმ დილას — და ეს არანაკ-ლებ ორი საუკუნის წინათ ხდებოდა — სა-ტუსალოს წინ გადაშლილი მინდორი ბოს-ტონის მაცხოვრებლებს გადაევსოთ. თი-თოეული მათგანის მზერა რკინით შეჭე-დილ მუხის კარს მისჯაჭვოდა. ის უღმობე-ლი და პირქუში გამომეტყველება, რომელ-იც ამ კეთილი ადამიანების წვერიან საზეს შეჰყინვოდა, ქვეყნიერების ნებისმიერ სხვა კუთხეში ანდა თუნდაც თანამედროვე ახალ ინგლისში გარდაუვალი უბედურე-ბის მაუნყებელი იქნებოდა — მაცნე იმისა, რომ უკანასკნელ გზაზე აცილებენ სახელ-გავარდნილ დამნაშავეს, რომლის სიკვდილით დასჯითაც მართლმსაჯულე-ბამ მხოლოდენ ბეჭედი დაუსვა ხალხის სამსჯავროს მიერ დიდი ხნის წინ გამოტ-ანილ განაჩენს. მაგრამ მთელი ეს ავბედი-თი წინათგრძნობა მაშინვე დაგვტოვებს, როგორც კი გავიხსენებთ, ადრეული ხანის პურიტანების ჩვენას — ყველაფერი უსამ-ველოდ გაეჭირდებინათ. შეიძლება მთე-ლი ეს პროცესია იმის საცქერლად შეკრე-ბილიყო, თუ როგორ სჯიდნენ ზანტ მონას ანდა ურჩ ბავშვს, რომელიც მოზობებმა გასამართახებლად სამოქალაქო ხელისუ-ფლებას გადასცეს; დამნაშავე ასევე შეი-ძლებოდა ყოფილიყო ანტიბიოცი, კვაკ-ერი ანდა სხვა მწვალბლური სექტის წევრი, რომელსაც მათრახის ცემით გააძევენდნენ ქალაქიდან; ანდა უსაქმური, მანანწალა ინდიელი, რომელსაც თეთრკა-ნიანისობა აწაპნილმა მაგარმა სასმელმა ქუჩაში აურზაურის მოწყობა გააბედვინა და ამიტომაც წნელებით ხელფხშეკრულს ტყის სიღრმისაკენ მიაქანებდნენ; შეიძლე-ბა ეს რომელიმე ალქაჯიც იყო, რომელ-საც მოხუცი მისტრეს ჰობინისის, მომრიგე-ბელი მოსამართლის ავზინი ქვრივის მს-გავსად, სახრჩობელაზე ეწერა სულის და-ღევა. ასე იყო თუ ისე, მაყურებელთა რიგებში მყოფთა ყველა მოქმედებას საზე-იმო ელფერი დაჰკრავდა; ასე იქცევიან ისინი, ვის ცნობიერებაშიც რელიგია და კანონი ლამის ერთმანეთს გასტოლებია, ხოლო გულზელი კი ეს ორი მოვლენა ისე შერწყმია ურთიერთ, რომ საზოგადოე-ბრივი დისციპლინის ყველაზე მკაცრსა თუ ლმობიერ გამოვლინებებს ერთნაირი მოწ-ინებთა და შეძრწუნებით ეკიდებიან. მარ-თლაც რომ მწირი და ცივი იყო ის თანა-გრძნობა, რომლის მიღების იმედიც კანო-ნის დამრღვევს შეეძლო ჰქონოდა ეშ-აფოტთან მდგარი ამგვარი მოწმეებისაგან. მეორე მხრივ კი, სასჯელი, რომელიც ჩვენს დროში თვით დამნაშავესთვისაც კი ღიმო-ისმოგრელი და აზუნად ასაგდები იქნებო-და, მაშინ შეიძლებოდა არანაკლებად დამ-ამცირებელი ყოფილიყო ადამიანის ღირსებისათვის, ვიდრე — სიკვდილით დასჯა.

ალსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ზაფხულის იმ დილას, როდესაც ჩვენი ამ-ბავი სათავეს იღებს, ბრბოში აქა-იქ შერეუ-ლი ქალები აშკარად განსაკუთრებული



ინტერესით ელოდნენ მართლმსაჯულე-ბის აღსრულებას. ეპოქა ადამიანებისაგან დახვეწილობას არ მოითხოვდა, ასე რომ, ამ ხაზარდებითა და კორსტებით შემოსილ არსებებს შეუფერებელ ქცევად არავინ ჩაუთვლიდა, თუ საზოგადო თავშეყრის ადგილებში გამოჩნდებოდნენ და გამუდ-მებით ეცდებოდნენ თავიანთი არცთუ ჰაეროვანი სხეულები სახრჩობელისაკენ მიმავალი ბრბოს რიგებში ჩაეკვებინათ. ძველ ინგლისში დაბადებულებსა და აღზრდილებს ზნეობრივი თუ ფიზიკური თვალსაზრისით გაცილებით მეტი სიტ-ლანქე ეტყობოდათ, ვიდრე ექვსი-შვიდი თაობის შემდეგ გაჩენილ მათსავე მშვენი-ერ შთამომავლობას, რაკილა ამ გენე-ტიკური ჯაჭვის ყველა ახალი რგოლი დე-დისაგან მემკვიდრეობით იღებდა უფრო ფერმკრთალ პირისკანსა და დახვეწილსა და ნატივ სილამაზეს, სხეულის შედარე-ბით მომცრო ნაკვებსა და ეგებ ნაკლე-ბად ფიცხსა და შეუფულ ხასიათსაც. ქალებს, რომლებიც ახლა სატუსალოს კართან იდგნენ, ნახევარი საუკუნეც კი არ აშორებდათ მამაკაცურ ელისაბედს, რომელიც იმ პერიოდში თავისი სქესის არცთუ გამოწკლისი წარმომადგენელი გახლდათ. ეს ქალებიც მისი თანამემამუ-ლეები იყვნენ, ინგლისის ხორციითა და ლუდით ნასაზრდოები მათი მძლავრი აღ-ნაგობა ვერც მორალურ დიეტას დაესუს-ტებინა. დილის ბრდღვილა მზე ნათელს ჰფენდა განიერ მხრებსა და გამოვლილ მკერდებს, მრგვალსა და ღაყულაფა მკოყებს, რომლებიც, შორეულ კუნძულზე დამნიფებული, ახალი ინგლისის ჰავას ჯერაც ვერ ჩამოედნო და გაეფერ-მკრთალებინა. ამ ქალების უმეტესობა გათხოვილს ჰგავდა, თუმცა მათი თამამი და როყიო საუბრის უხამსი შინაარსი და გამყინავი ტონი ჩვენს თანამედროვეთაც კი შეაძებუნებდა.

— ქალებო, — წამოიწყო ორმოცდაა-თიოდე წლის მსხვილნაკვეთიანმა ქალმა, — ერთი აზრი უნდა გაგიზიაროთ. განა მთელი საზოგადოებისათვის არ იქნება უკეთესი, თუკი ჩვენ, მოწიფული ასაკისადა ყველასგან პატივიცემული ქალები, ეკ-ლესიის მრევლი, გამოვუტანთ განაჩენს ამ უზნეო ჰესტერ პრინს? აბა, რას იტყვით, მეგობრებო? ეს თავქარიანი ხუთი ჩვენგა-ნის წინაშე რომ წარმდგარიყო, რომლებიც ახლა აქ მხარდამხარი ვდგავართ, განა ისე-თი ილი სასჯელით დაგვიძვრებოდა, როგორიც ამ ღრმადპატივიცემულმა მოსა-მართლებმა დააკისრეს? ღმერთმანი, არამც და არამც.

— ამობენ, — ხმა აუნყო მეორემ, — ღირსი მამა დიმიდელი, მისი სულიერი მოძღვარი, გულნატყვი და დაღონებუ-ლია, რომ მის სამწყსოში ასეთი საძრახისი საქმე მოხდაო.

— ჩვენი მოსამართლეები ღვთისმოში-ში ჯენტლმენები არიან, მაგრამ მეტის-მეტად გულმონწყალენი — ამას წყალი არ გაუვა, — დაურთო მესამე მიმჭყნარმა მა-ტონსამ, — ჰესტერ პრინსისთვის, სულ მცირე, გახურებული რკინით უნდა ამოე-შანთათ შუბლზე დაღი. აი, მაშინ კი ნაუხდებოდა ნირი ქალბატონს. ნუთუ ვინმეს ჰგონია, რომ ამ გათახსირებულ კახ-ას ოდნავ მაინც ანადღელებს, რა ექნება ამოქარგული კაბის მულისპირზე? აგერ ნახავთ, თუ გულსაბნევი ანდა რამე მაგდაგვარი მწვალბლური სამკაული არ მიიბნის ზედ და ქუჩებში ძველებურად თავანუღმა არ იაროს.

— ჰო, მაგრამ, — ნაზი ხმით გაანყვიტი-

ნა ახალგაზრდა ქალმა, რომელსაც ჩვილი ეჭირა ხელში, — როგორც არ უნდა და-ფაროს დამლა, მისი ხსოვნა მუდამ დაუმძ-იმებს გულს.

— რომელ დაღებსა და დამღებზე ვლა-პარაკობთ, ანდა რა მნიშვნელობა აქვს, ტანსაცმლით ატარებს მათ თუ შუბლით? — შეჰყვირა კიდევ ერთმა ქალმა, ყველაზე უშნომ და უმოწყალომ ამ თვითმარქვია მსაჯულთა შორის, — ამ ქალმა ყველა ლაფში ამოგვევარა და სიკვდილით უნდა დაისაჯოს. ნუთუ სათანადო კანონი არ არსებობს? რასაკვირველია, არსებობს — ამის ნებას საღმრთო წერილიც გვაძლევს და ქვეყნის ადათიც. დაე, ამ მოსა-მართლებმა, რომლებმაც დღეს ასეთი ლმობიერება გამოიჩინეს, საკუთარ თავებს მოჰკითხონ, როდესაც მათი ცოლები და ქალიშვილებიც გზას ასცდებიან.

— შეგვიბრალოთ, ქალბატონებო, — წამოიძახა ერთ-ერთმა მამაკაცმა ბრ-ბოდან, — ნუთუ ქალის პატიოსნებას სხვა არაფერი უდევს სარჩულად, თუ არა სახრ-ჩობელისადმი შიში? ჩემს ყურს ასეთი აქა-მომდე არაფერი სმენია! აბა, გაჩუმდით, ყბედებო, სადაცაა სატუსალოს კარის კლიტე გაიღება და თავად ქალბატონი პრინი გამოჩნდება.

სატუსალოს კარი ვილაცამ შიგნიდან მოწყვეტიტ გაალო და ჯერ — როგორც შავი ჩრდილი მზის გულზე — გამოჩნდა შემზარავი და უღმობელი სახე ქალაქის სასამართლოს აღმასრულებლისა, რომელსაც გვერდზე ხმალი ეკიდა, ხოლო ხელში კი თავისი თანამდებობის შესაფერი-სი კვერთხი ეჭურა. ეს არსება მთელი თავი-სი შესახედაობით წარმოდგენდა და გა-ნასახიერებდა დამთრგუნველ ძალას პუ-რიტანული კოდექსისა, რომლის საბოლოო და უღმობელ განჩინებასაც დიდი ერთ-ეულებით აღასრულებდა. მარცხენა ხე-ლით კვერთხი გამოეშვირა წინ, ხოლო მარ-ჯვენა კი ახალგაზრდა ქალის მხრისთვის მიეხვეწინა და ამგვარად ხელის კვრით მო-ჰყავდა მანამ, სანამ ციხის ზღურბლთან მისულმა ბრალდებულმა თანდაყოლილი ღირსებითა და ხასიათის სიმტკიცით აღ-ბეჭდილი მოძრაობით მხარი არ აუკრა და ისე არ გამოაბიჯა სუფთა ჰაერზე, თითქოს თავისი ნებით მოსულიყო აქ. ქალს ხელში ჩვილი ეჭირა, სამიოდე თვის პატარა, რომელიც იჭმუნებოდა და სახეს არიდებ-და მეტისმეტად მოკაშკაშე დღის სინა-თლეს, ვინაიდან აქამომდე მხოლოდ დილეგის რუხი ბინდებუნი და საპყრობი-ლის ჩაფამებული ალაგები თუ ეხილა მის თვალებს.

ახალგაზრდა ქალმა, ჩვილის დედამ, როგორც კი ბრბოს წინაშე მზის სი-ნათლებე წარსდგა, არა იმდენად დედამ-ვილური სიყვარულის კარნახით, რამდენა-დაც ქვეცნობიერი სურვილით, რომ ამგ-ვარად დამალა კაბის გულისპირზე ამოტვიფრული თუ მიამარტებული სა-მარცხენი დამლა, ბავშვი ინსტინქტურად მაგრად მიიკრა მკერდზე. თუმცადა მეორე წუთს გონებამ უკარნახა, რომ სირცხვილის ერთი საბუთის მეორეთი დაფარვა არაფერს არგებდა, ჩვილი მკლავებზე გა-დაიწვინა და აღანძულმა, თუმცა მაინც მედიდურად მომიღმარე, თამამი მზერა მოაოვლო თავის თანაქალაქელებს და მე-ზობლებს. მისი კაბის გულისპირს, მშვენი-ერ ნითელ ქსოვილს, ერთიანად შემოვლე-ბოდა ოქრომკედით საგულდაგულოდ ამო-ქარგული ლათინური ასო A-ს თვალ-წარმტაცი ხვეულები — ისეთი ოსტატო-ბით, წარმოსახვის ისეთი სიუხვითა და გე-



მოგონების ისეთი დახვეწილობით შესრულებული, თითქოს იგი კიდევ ერთი, საბოლოო დეტალი ყოფილიყო მისი ბრწყინვალე მორთულობისა, რომელიც არაფრით შეესაბამებოდა კოლონიამი გამეფებულ ასკეტური ჩაცმულობის ნესებს.

ახალგაზრდა ქალს მაღალი და უზადოდ მოხდენილი მოყვანილობის ტანი ჰქონდა. ხშირი შავი თმა მზის შუქზე უელვარებდა, ხოლო სახეს კი, მწყობრი ნაკვეთებისა და ქათქათა პირისკანის გარდა, განსაკუთრებულ ემზს შუბლის ნაკეცი და ღრმა შავი თვალების სულისმემძვრელი გამომეტყველება მატებდა. იმდროინდელი გემოვნების თანახმად, რომელიც უპირატესობას მედიდურსა და ღირსებით აღსავსე თავდაჭერას ანიჭებდა, და არა იმ ფაქიზ, ვეთროვან, ენითაღუნერელ სინატიფეს, რომლითაც დღეს ფასდებიან ქალები, ჰესტერ პრინს მაღალი წრის ქალბატონის შეხედულება ჰქონდა; და ეს არასოდეს ყოფილა უფრო თვალსაჩინო და თვალმისაცემი, ვიდრე მაშინ, როცა იგი ის-ის იყო სატუსალოდან გამოვიდა. ისინი, ვინც უნიონაც იცნობდნენ ჰესტერს და ელოდნენ, რომ ფერნასულსა და სასონარკვეთილების ბურუსში ჩაფლულს იხილავდნენ, პირდაპირი და შეცბუნებულიც კი დარჩნენ, ისე გაებრწყინებინა ქალის სილამაზე უბედურებისა და სირცხვილის გარსმოხვეულ შარავანდედს. მიუხედავად ამისა, გულისხმიერი თვალს რაღაც უადრესად მტკივნეულს შეამჩნევდა ამ ყველაფერში. უცნაური და თვალწარმტაც ტანსაცმელი, რომელიც ქალს საპრობოილეში ჯდომისას სწორედ ამ დღისათვის შეეკერა და შიგ მთელი თავისი წარმოსახვა ჩაეყოლებინა, მის სულიერ მდგომარეობას, მის ერთდროულად თავზეხელაღებულსა და სასონარკვეთილ განწყობას ამხელდა. მაგრამ მთავარი დეტალი, რომელიც ყველას მზერას იტაცებდა და იმდენად ცვლიდა ჰესტერ პრინსს, რომ მის ძველ ნაცნობ ქალებსა და მამაკაცებს ეჩვენებოდათ თითქოს პირველად იხილეს იგი, იყო ზღაპრული ოსტატობით ამოქარგული ალისფერი დამა, რომელიც თითქოს სხივებს ფენდა ქალის მკერდს. ის მიაგავდა ჯადოს, რომელსაც ჰესტერი ადამიანთა მოდგმისგან განეცალკევებინა და საკუთარ არსში გამოეკეტა.

— კერვა ნამდვილად გამოსდის ხელიდან, ვერაფერს იტყვი, — შენიშნა სკირის მაყურებელმა ერთ-ერთმა დედაკაცმა, — მაგრამ, ნეტა, ამ უტიფარ კახამდე რომელიმე ქალს აზრად თუ მოსვლია ასეთ ადგილას მორთულ-მოკაზმული მოსულიყო? რას იტყვით, დებო, განა თავისი ამ საქციელით იგი პირში არ დასციინის ჩვენს ღვთიურს მსაჯულს, როდესაც იმით, რაც ამ ღირსეულმა ჯენტლმენებმა სასჯელად დააკისრეს, თავს იწონებს?

— კარგი იქნებოდა, ეს მდიდრული კაბა, იმ წითელი დამლითურთ, ასე გულმოდგინედ რომ ამოუგვირისტებია, ერთიანად ჩამოგვფიქვლით ამ ქალბატონის მშვენიერი მხრებიდან, — ჩაიბუტბუტა ამ ხანშიშესულ ქალებს შორის ყველაზე ტლანქნაკვეთიანმა, — სანაცვლოდ კი ამ ჩემს მენამული ფლანელის ნაგლეჯს მივაშავებდი რამე უფრო შესაფერისის გამოსაჭერელად.

— ჩუმად, მეზობლებო, ჩუმად, — ნაიჩურჩულა მათმა ახალგაზრდა თანმხლებმა, — არ გააგონოთ. ამ დამლის თითოეულმა გვირისტმა მას გულს დააჩნია კვალად.

პირქუშმა სასამართლოს აღმსრულებელმა კვერთხიანი ხელი გაიქინა.

— გზა გაათავისუფლეთ, კეთილო ხალხო, გზა გაათავისუფლეთ, მეფის სახელით გიბრძანებთ! — გამეცალეთ და პირობას გაძლევთ, ქალბატონ პრინს ისეთ ადგილას დაგაყენებთ, რომ ყველას, ქალს, კაცსა თუ ბავშვს, ექნება საშუალება მის თამამ კაბას იქამდე უყუროს, ვიდრე მზე შუბის ტარს ერთი ადლით არ გადაშორდება. ღმერთმა აკურთხოს მასაჩუქესის კოლონიის სამართალი, რომელიც ყველა უკეთურებას დღის შუქზე გამოჰფენს ხოლმე. გამომყვით მადამ ჰესტერ და თქვენი ალისფერი დამა მთელ ბაზრის მოედანს აჩვენეთ.

მაყურებელთა ბრბო მაშინვე შუაზე გაიპო. ჰესტერ პრინსი სასამართლოს მოხელის წინამძღოლობითა და წარბეჭერილი კაცებისა და ავად მომზირალი ქალების არეულ-დარეული ამაღის თანხლებით

მართლმსაჯულების აღსრულების ადგილისაკენ გაემართა. მსვლელობას თავში ცნობისმოყვარე მონაფეების ჯგუფი მოჰქცევდა, რომელსაც, გარდა იმისა, რომ სკოლიდან ადრე დაითხოვეს, დღევანდელი თავყრილობის ბევრი ვერაფერი გაეგო. ისინი გამუდმებით ატრიალებდნენ თავს, რომ განსასჯელის სახის, მის მკლავებში მოქცეული თვალმომხამხამე ჩვილისა და მკერდზე ამოქარგული სამარცხვინო დამლისათვის შეველოთ თავალი. იმხანად სატუსალოს კარიდან ბაზრის მოედანამდე მანძილი დიდი არ ყოფილა, მაგრამ პატიმარს ეს გზა ვინ იცის უსასრულოდ გრძელიც კი ეჩვენებოდა; და თუმცა სახიდან მედიდური გამომეტყველება არ სცილდებოდა, ვინ იცის მის საცქერლად თავმოყრილი ამ ხროვის ყოველი ფეხის გადადგმისას ისეთ საშინელ ტანჯვას განიცდიდა, თითქოს მისი მკერდიდან ამოგლეჯილი გული შარავანდედს დაეგდოთ, რათა ყველა გამგელს ზედსათითაოდ დაეხევიან ფეხი და გადაექეცა. თუმცა ადამიანის ბუნებას აქვს ერთი განსაკვირვებელი და გადამრჩენელი თვისება — ტანჯული უშუალოდ ტანჯვის პროცესში ისე მძაფრად არ განიცდის თავის უბედურებას, როგორც მოგვიანებით, როდესაც მისი ხსოვნა გულს უღრღინის და მოსვენებას არ აძლევს. სწორედ ამიტომ ჰესტერ პრინსმა თითქმის უდრტვინველად გაიარა თავისი გოლგოთისაკენ მიმავალი გზა და მიუახლოვდა ბაზრის მოედანის დასავლეთით მდებარე სამარცხვინო ფიცარნაგს, რომელიც ზედ ბოსტონის უძველესი ეკლესიის აივნის ქვეშ აღმართათ და თითქოს მის განუყოფელ ნაწილად ქცეულიყო.

ეს სამარცხვინო ფიცარნაგი, ზედ აღმართული საბრძოლეთი, რომელსაც უკვე რახანა მხოლოდ ისტორიული და ტრადიციული ღირებულება თუ შემორჩენია, გახლდათ განუყოფელი ნაწილი იმ სადამსჯელო მანქანისა, რომელიც ისევე უწყობდა ხელს ახალი ინგლისის მკვიდრთა სამოქალაქო შეგების ამაღლებას, როგორც ოდესაც ეკლიტონი — ფრანგი რევოლუციონერებისას. მოკლედ რომ ვთქვათ, ფიცარნაგზე სამარცხვინო ბოძი აღმართათ, ხოლო ბოძზე კი დაემარჯებინათ მონყობილობა, რომლის შიშიც ადამიანებს კანონის მორჩილებას აძილებდა, რაკი მჭიდრო ყულფში აქცევდა დამნაშავეს თავს, სწავდა მას მაღლა და აიძულებდა თვალს არ აერიდებინა მაყურებელთა მზერისთვის. ხისა და რკინის ამ მონყობილობაში თითქოს თავად ცნება „სირცხვილის“ მთელი არსი განსხვავებულიყო. ვგონებ, როგორი მძიმეც არ უნდა იყოს ადამიანის დანაშაული, არ არსებობს უფრო დიდი და უფრო შემადრწუნებელი სასჯელი, ვიდრე შერცხვნილი მსხვერპლისათვის სახის დამალვის უფლების ჩამორთმევა, რაც იყო კიდევ მიზანი ამგვარი სასჯელისა. თუმცა, ჰესტერ პრინსის შემთხვევაში იმეფათი გამომსახურის დაუშვებს და, მიუხედავად იმისა, რომ ქალს გარკვეული დროით შემალღებულ ფიცარნაგზე დგომა მიუსაჯეს, მას არ უზნევიდა ის ორი ყველაზე დიდი განსაცდელი, რომლებიც ამ სასტიკ მონყობილას შეეძლო მოეგვარა მისთვის: კისერში დავლილი ჭვალის ატანა და თავის გაშუქება. რაკილა მშვენივრად ესმოდა თავისი როლი გათამაშებულ დრამაში, ჰესტერმა ხის საფეხურები აიარა და გარსემორტყმულ ბრბოს ზემოდან გადმოხედა.


პურიტანების ამ თავყრილობაში ერთი კათოლიკე მაინც რომ გამოჩნდიყო, ეს კალმით ნახატი ქალი, მისი მშვენიერი სამოსი, სახის გამომეტყველება და გულზე მიკრული ჩვილი, ალბათ, მოაგონებდა ღვთისმშობელს ყრმითურთ, რომლის გამოსახვამაც მხატვრები ოდესაც ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ. და მაინც, თუ მოაგონებდა, უპირველეს ყოვლისა, იმიტომ, რომ ეს ზნედაცემული ქალი ცასა და მიწასავით განსხვავდებოდა წმინდა დედისაგან, რომლის შვილმაც კაცობრიობის ხსნა იტვირთა. აქ კი ადამიანთა ყოფისთვის ჩვეულ ყველაზე მძიმე ცოდვას ისეთი ლაქა დაეტოვებინა, რომ ამ ქალის სილამაზე ქვეყანას კიდევ უფრო აზნელებდა, და ჩვილის მოვლინება უფრო მიუსაფრად აქცევდა.

დანაშაულისა და სირცხვილის ამ წარმოდგენის ცქერა მაყურებელთა გულბუხში ყველა სხვა გრძობიანად ერთად მოწინე-

ბასაც აღძრავდა — პურიტანული საზოგადოება ჯერ ისე არ გარყვნილიყო, რომ ამგვარ შემთხვევას ღიმილი მოეგვარა მისთვის; ჰესტერ პრინსის დამცირების მონენი ჯერ არ გასცდენოდნენ უმანკოების ამ მიჯნას. ქალისთვის სასამართლოს სიკვდილიც რომ მიესაჯა, აქ შეკრებილი ხალხი წარბმუხრელად უყურებდა მისი დასჯის სცენას და არც განაჩენის სიმკაცრე შეაწუხებდა, მაგრამ იმდენი გულქვაობა კი არ გააჩნდა, რომ ამგვარ სანახაობაში ოხუნჯობის მიზეზი ეპოვა. ვინმესკიდევ რომ გასწყობოდა ღმერთი და მასხარაობის გუნებაზე დამდგარიყო, მის ამ განწყობას გადასძალავდა და ჩაახშობდა ხილვა ცერემონიის დამსწრე ღრმადპატივცემული პიროვნებებისა. ესენი იყვნენ: თვით გუბერნატორი, მისი ორი მრჩეველი, მოსამართლე, გენერალი და ქალაქის სულიერი მამები; ყველა მათგანი, სამლოცველოს აივანზე ჩამომდგარი თუ ჩამომსხდარი, ერთად ჩამოჰყურებდნენ ფიცარნაგს. როდესაც ამგვარ პირებს შეუძლიათ სანახაობაში მონაწილეობა ისე მიიღონ, რომ მათი თანამდებობისა თუ ნოდების ღირსება და დიდებულება ეჭვქვეშ არ დადგეს, შეგვიძლია დარწმუნებით ვთქვათ, ესე იგი, ამგვარ საზოგადოებაში სამართლის აღსრულებას მართლაც დიდნიშვნელოვან მოვლენად მიიჩნევენ. შესაბამისად, უბრალო ადამიანებიც სერიოზული და დასვენებისგან გამომეტყველებით იდგნენ. საბრალო მსხვერპლს გასაოცრად მედგრად ეჭირა თავი იმ ქალის პირობაზე, რომელსაც ამდენი უღმობელი თვალი მკერდზე დაჟინებით მისჩერებოდა. გაუსაძლისი იყო ეს ყველაფერი. ბუნებით ბობოქარსა და ფიცხ ჰესტერს უკვე შეემზადებინა თავი, რომ სამიზნედ ქცეულიყო იმ შხამიანი ნესტურებისა და ისრებისათვის, რომელსაც საზოგადოება თავისი ნესების ყველა უგულვებელყოფელს დაუშენს ხოლმე; მაგრამ შეთქმულთა მკაცრი მდუმარება ისე თრგუნავდა, ერჩივნა, რომ ყველა ეს პირქუში სახე დამცინავ ღიმილს მოეგრიხა. ბრბო რომ უხამსი სიცილი ნასკდომოდა — და ყველა კაცს, ყველა ქალს, ყველა ხმაგამკვიან ბავშვს მისთვის აენყო ხმა — ჰესტერ პრინსი მათ სამაგიეროს გამქირდავი, აგდებული ღიმილით გადაუხდიდა. მაგრამ ახლა, როდესაც მის ბედისწერად ამ ტყვიასავით მძიმე სასჯელის ტარება ქცეულიყო, ქალმა იგრძნო, რომ ან ფილტვების მთელი დაძაბვით უნდა ამოეკვილა და ფიცარნაგიდან გადმოვარდნილი მინაზე გაშხლართულიყო, ანდა გაგიჟებულიყო.

და მაინც, შიგადაშიგ, მთელი ეს სცენა, რომლის ყველაზე თვალსაჩინო ფიგურაც თავად იყო, ღამის მთლიანად ქრებოდა მისი თვალსაჩინიდან, ანდა, ყოველ შემთხვევაში, ისე ბუნდოვნად ხედავდა მის მონაწილეებს, თითქოს ისინი გაურკვეველი მოხაზულობის ლანდების გროვად ქცეულიყვნენ. ჰესტერის გონება, მეტადრე — მესხიერება, ზეუზებრივად გაცხროველებულიყო და მოიხმობდა მოგონებებს, რომლებიც არაფრით უკავშირდებოდა ველური დასავლეთის ამ დასაკარგავი მყოფი პატარა ქალაქის უსწორმასწორო ქუჩასა და სახეებს, რომლებიც წონოდა ქუდების ფარფლებს ქვეყნიდან ამოჰყურებდნენ. მოგონებები — ყველაზე უმნიშვნელო და სასხვათაშორისო — სიყრმისა თუ შევირდობის ხანის, გართობისა თუ ბავშვური ჩხუბების, ქალმშვილობის წლების წვრილ-წვრილი ოჯახური ამბებისა მისი ანამუს ყველაზე სვედიან სურათებს შერეოდნენ და ერთად შემოსეოდნენ ჰესტერის გულს; ერთი ცხოველი მოგონება მეორეს ცვლიდა, ყველა მათგანი ერთნაირად მნიშვნელოვანი იყო და ერთნაირადვე ჰგავდა სპექტაკლის სცენას. შეიძლება ეს მისი სულის ინსტიტუტური მცდელობა იყო — შეეხეებოდა — ამ ფანტასმაგორიული ხილვების გამოხმობით დაეხსნა თავი უღმობლად მძიმე და გაუსაძლისი სინამდვილისაგან.

ასე იყო თუ ისე, სამარცხვინო ბოძის ფარცანავი აღმოჩნდა ის ადგილი, სადაც ჰესტერ პრინსს თვალში ჩაუქროლა მთელმა იმ გზამ, რომელიც ბედნიერი ბავშვობის მერე გამოეწეო. ამ ავბედით სიმაღლეზე მდგომმა ხელახლა იხილა ძველი ინგლისი, თავისი მშობლიური სოფელი და მამაპაპური კერა, ნაცრისფერი ქვის სახლი, მონგრეული, სიღარბით დაღდასმული, რომელიც კარიბჭესაც ჯერ კიდევ



ეტყობოდა ნახევრადნაშლილი გერბი — კეთილშობილური წარმომავლობის ნიშანი. იხილა მამის სახე, მისი მლოტი შუბლი და სპეტაკი თეთრი წვერი, რომელიც ელისაბედისდროინდელი მოდის გახამებულსა და გოფირებულ საყელოზე გადმოჰფენოდა; იხილა დედაც, მისი მზრუნველობითა და შემფოთებით სავსე თვალები, რომელიც სამუდამოდ ჩარჩა მესხიერებაში და რომლებიც მისი სიკვდილის შემდეგაც კი ყველა დაბრკოლების დაძლევაში ეხმარებოდნენ ქალიშვილს. იხილა საკუთარი ახალგაზრდული სილამაზით გაცისკროვებული სახე, ერთიანად რომ ანათებდა სარკის გახუნებულ ზედაპირს, როცა საკუთარი თავისთვის თვალის შეველება მოსწყურდებოდა ხოლმე. მერე კიდევ ერთი ჩვენებაც იხილა — წლებით მოტყეილი მამაკაცი, ფერმკრთალი და გამხდარი, სწავლულის შესახედაობისა, მხედველობადასუსტებული და დანისლოლი, ლამპის შუქზე მრავალი მძიმე ტომის კითხვით განყალბებული თვალებით, რომლებიც უცნაურ, გულთამხილველ ძალას შეიძენდნენ ხოლმე, როდესაც მათი მფლობელი მოსაუბრის ფიქრების ნაკითხვას მოინდომებდა. ამ სწავლულისა და ასკეტის სხეული — ჰესტერ პრინსის ქალური წარმოსახვა ამას თვალს ვერ აარიდებდა — ოდნავ მობრეცილიყო, მარცხენა მხარი ერთი ბენოთი ასცდენოდა მარჯვენას. ამის შემდეგ მსჯავრდებულის მესხიერების გალერეაში გაცოცხლდა ევროპის ქალაქი, ვინო და ჩახლართული ქუჩები, მაღალი, ნაცრისფერი სახლებით, უძველესი და უჩვეულო არქიტექტურის უზარმაზარი ტაძრებითა და საზოგადოებრივი დანიშნულების შენობებით დამშვენებული, სადაც მას ახალი, ხეიბარ სწავლულთან გადაჯაჭვული ცხოვრება ელოდა; ახალი ცხოვრება, რომელიც ისევე იკვებებოდა ყველაფერ ფასეულობებით, როგორც ხავსის მწვანე ბლუჯა ამოჭამს კედელს. და ბოლოს, ამ ურთიერთმონაცვლე სცენების შემდეგ, კვლავ გამოჩნდა პურიტანელთა დასახლების ტლანქი ბაზრის მოედანი, სასვე თანამოქალაქეებით, რომლებიც ერთად შეგროვილიყვნენ და პირქუში მზერა მიეზვინათ ჰესტერ პრინსისთვის — დაიხ, სწორედ მისთვის, ვინც სამარცხვინო ბოძის ფიცარნაგზე იდგა, ხელში ჩვილით ეკავა და კაბის ალისფერ გულისპირს დიდი ოსტატობით ამოქარგული ასო A უმშვენებდა.

ნუთუ ეს ყველაფერი მართლა ხდებოდა მის თავს? ქალმა ბავშვი ისეთი გააფთრებით მიიკრა გულზე, რომ მან ტირილი მორთო; ჰესტერმა მკერდზე დაიხედა, ალისფერ დამალს თვალს შეავლო და თითის წვერებითაც კი შეეხო, რათა დარწმუნებულიყო, ბავშვიცა და სირცხვილიც სინამდვილე იყო. დაიხ, — მხოლოდ ეს იყო სინამდვილე — სხვა ყველაფერი გამქრალიყო.



მაჰმუდ დარვიში

პირადობის მოძიება

ჩაინერე!  
მე არაბი ვარ.  
ჩემი პირადობის მოძიების ნომერი  
ორმოცდაათათასია.  
სულ რვა შვილი მყავს,  
მეცხრე შემოდგომაზე დაიბადება!

ჩაინერე!  
მე არაბი ვარ.  
და ძმებთან ერთად  
მძიმე სამუშაოს ვასრულებ ქვის სამტეხლოში,  
რათა რვა შვილი გამოვკვებო არსობის პურიით.  
აი, ამ კლდიდან მიმაქვს მათთვის  
როგორც რვეული, ისე სამოსი...  
თავს არ ვიძვირებ შენს სასახლესთან  
და მოწყალებას არა გთხოვ კართან.  
ამაზე ბრაზობ?

ჩაინერე!  
მე არაბი ვარ.  
ეს ჩემი ნაღდი სახელია, არ მაქვს წოდება  
და მოთმინებით ვარ აღვსილი  
იმ ქვეყანაში, სადაც ბევრია ბოღმა და ბრაზი,  
ჩემი ფესვები...  
სათავის იღებს დროის დაბადებამდე,  
თვით სამყაროს დასაბამიდან,  
წინ უსწრებს საროს თუ ზეითუნს —  
ყველა მცენარეს.  
მამაჩემი... იყო მეგუთნის ოჯახიდან,  
ხოლო ბაბუა გლეხი გახლდათ,  
არა ბატონი —  
კეთილშობილთა შთამომავალი.  
მზისაკენ სწრაფვა შემასწავლეს წიგნის კითხვამდე,  
ჩემი სახლია დარაჯის ქობი,  
ლერწმითა და ხის ტოტებით აშენებული.  
იქნებ არ მოგწონს ის, რომ რანგით არ ვარ რჩეული?  
ეს ჩემი ნაღდი სახელია, არშერქმეული.

ჩაინერე!  
მე არაბი ვარ!  
თმის ფერი მაქვს კუპრით შავი,  
ხოლო თვალები — ყავისფერი.  
რა გამომარჩევს?  
ქუფია მხურავს თავს უკალით! დამაგრებული  
და კლდეზე მყარი —  
ვინც შეეხება, მყისვე დაკანრავს.  
მისამართია:  
ერთი სოფელი უიარაღო და ან უკვე მივიწყებული.  
იქ უსახელო ქუჩებია.  
იქაურები ქვის სამტეხლოში  
ანდა  
მინდორში მუშაობენ.  
ამაზე ბრაზობ?

ჩაინერე!  
მე არაბი ვარ.  
შენ წინაპართა ვენახები წამართვი, ყველა,  
მინაც, რომელსაც ვაჟთან ერთად ვამუშავებდი.  
ალარაფერი დაგვიტოვეთ  
მე და ჩემს შვილებს  
კლდეების გარდა.  
თქვენი მთავრობა ამასაც გვართმევს?  
მაშინ  
პირველი გვერდის თავში ჩაინერე ახლა:  
მე არ მძულს ხალხი,  
და არავის არაფერს ვერჩი,  
მაგრამ იცოდეთ,  
თუ მომშივდება,  
დამპყრობელს შეეჭამ!  
ამ ბრაზს ერიდეთ  
და უფროხილდი ჩემს მწარე შიმშილს!

შეყვარებული პალესტინიდან

შენი თვალები ეკალივით მესობა გულში,  
ტკივილისაგან მტანჯავს... თუმცა ვემორჩილები.

მაჰმუდ დარვიში (1942-2008) პალესტინელი პოეტი, რომელმაც დიდი წვლილი შეიტანა თანამედროვე არაბული პოეზიის განვითარებაში, თუმცა უფრო ხშირად პალესტინური წინააღმდეგობის მოძრაობის სიმბოლოდ წარმოაჩენენ ხოლმე. თუ მის შემოქმედებით ბიოგრაფიას გადავხედავთ, ვნახავთ, რომ ეს არის გზა პირდაპირი პოლიტიკური ლექსიდან პირად, ჩუმ, ღრმა და სევდიან პოეზიამდე, ხოლო დარვიში არის პოეტი, რომელიც გადასახლებაში, უდვილობაში და მიუსაფრობაში შექმნა, რადგან როდესაც მიხვდა, რომ დევნილობას ველარაფერს მოუხერხებდა, ის „სიტყვებისაგან შექმნილ მინაზე“ გადასახლდა, პოლ ცელანის (Stefan Milich, Fremd Meinem Namen und Fremd Meiner Zeit, Identität, Fremdheit und Exil in der Dichtung vom Mahmud Darwish, Berlin: Schiller 2004) მსგავსად.

პოლიტიკურ ლექსებს შემოქმედების საწყის ეტაპზე, ჰაიფაში ცხოვრებისას ქმნიდა, სადაც ისრაელის მთავრობის მიერ სამი წლით (1967-1970) შინაპატიმრობაც კი ჰქონდა მისჯილი. ამ დროს დაინერა „პირადობის მოძიება“ (1964), „შეყვარებული პალესტინიდან“ (1966)... პირველ მათგანში ავტორი პირდაპირ მიმართავს ისრაელს, როგორც ოკუპანტს, მეორე ლექსი კი სასიყვარულო პოეზიის — ლაზალის ნიმუშია, სადაც სატრფოს როლში დატყვევებული პალესტინა გვევლინება (დარვიშის მიერ ტრადიციული სატრფიალო ლექსის — ლაზალის გამოყენება შემთხვევითი არ უნდა იყოს. გასათვალისწინებელია ტრადიციული ფორმების, უანრების განსაკუთრებული ფუნქცია კოლონიურ და პოსტკოლონიურ ეპოქაში. მესამე სამყაროს წარმომადგენლები ტრადიციულ ფორმას ხშირად იყენებენ ანტიკოლონიური შინაარსის გადმოსაცემად. პალესტინელი არაბები ისრაელის სახელმწიფოს შექმნას დასავლური კოლონიური პოლიტიკის ნაწილად აღიქვამენ)

1967 წლის ეგრეთ წოდებული ექვსდღიანი ომის (1967 წლის ივნისის ექვსდღიანი ომის შედეგად ისრაელმა სინას ნახევარკუნძულის აღმოსავლეთი ნაწილი და გოლანის მაღლობი დაიკავა) შემდეგ პალესტინური წინააღმდეგობის მოძრაობის ცენტრი ბეირუთი გახდა. ჰაიფადან ბეირუთში გადასახლებული დარვიშის ლექსების მთავარი გმირი სამშობლოზე შეყვარებული მებრძოლია, რომელიც თავის განიერვს პუმანური აქტივით მითიურად ქორწინდება პალესტინაზე. 1980 წელს გამოქვეყნდა მისი ცნობილი ლექსი „ქორწინები“, სადაც საქორწინო ღამე სიკვდილით მთავრდება. 1982 წელს ბეირუთში სამოქალაქო ომი გაჩაღდა. დარვიში პარიზს გაემგზავრა. მან „წინააღმდეგობის პოეზიაზე“ საბოლოოდ თქვა უარი. 1991 წელს გამოაქვეყნა „ბოლო საღამო ამ მინაზე“. აქ საკუთარი მინის იძულებით დატოვების ტკივილი და ნოსტალგიური განწყობა ისრაელის წინააღმდეგ ბრძოლისკენ მოწოდებაში აღარ გადაიზრდება. პოეტი არც მსხვერპლია, ქვეყანას რომ ეწირება და აღარც შეყვარებული გმირი მებრძოლი. რეალობა მისთვის მხოლოდ უსახლკარობა და მიუსაფრობაა. ამ კონტექსტში მნიშვნელოვანი ხდება ხსოვნის თემა. დარვიშს ისლა დარჩენია, ახსოვდაც პალესტინა, „პალესტინური კატასტროფა“. თუ ებრაელმა ხსოვნამ (ებრ. ზიქრონ) დიდი როლი შეასრულა იუდაური წარსულის, ებრაელთა იდენტობის შენარჩუნებაში, პოეზიამ უნდა შეინარჩუნოს ხსოვნა იმ პალესტინისა, რომელიც აქამდე რეალურ დროსა და სივრცეში არსებობდა. „ვინ ვარ მე გადასახლების გარეშე?“ — სვამს დარვიში კითხვას ერთ-ერთ ლექსში. თანაც აღნიშნავს: ეს კითხვა ხომ საუკუნეების განმავლობაში ებრაელებსაც შეიძლებოდა დაესვათ?! მის ერთ-ერთ ბოლო ლექსში „მზა სცენარი“ ჩნდება მესამე ძალა, რომლის მიერ დაგეგმილი სცენარითაც ვითარდება მოქმედება. „მტერი“ ებრაელთა მიმართებაში აქ ირონიულად გამოიყენება...

დარვიშის ხედვა კარგად ჩანს უან ლუკ გოდარის ფილმში „ჩვენი მუსიკა“ (2004 წელს სან სებასტიანის კინოფესტივალზე ოტრე მუსიქუე წლის ფილმად აღიარეს).

რეჟისორი ძალადობის თემას და, ამ კონტექსტში, ისრაელ-პალესტინის კონფლიქტს შეეხო. სარა ადლერთან ინტერვიუში პოეტი ამბობს: „გვსმენია ბერძენთა მითები. ხანდახან ისიც მოგვიხსენია, ტროას მსხვერპლი როგორ ლაპარაკობენ ბერძენი ევრიპიდეს პირით. მე კი ტროას პოეტს ვეძებ, რადგან ტროას თვითონ არ მოუყოლია თავისი ამბავი...“ პალესტინის კონფლიქტის შემთხვევაში თავად დარვიში მოგვევლინა „ტროას პოეტად“, რომელმაც უამრავ ენაზე ნათარგმნი თავისი პოეზიით მსოფლიოს „მსხვერპლის ამბავი“ უამბო.

მთარგმნელი

ქარისგან ვიცავ და ვიფარავ,  
მას თავად ვისობ  
ღამესა და ტკივილებს მიღმა.  
ჭრილობა, მისგან მოყენებული,  
ვარსკვლავებს ანთებს.  
ასეთი ანმყო მომავალს ჩემთვის  
სულზე ძვირფასს ხდის.  
ცოტაც და, როცა ჩვენი თვალები  
კვლავ შეხვდებიან,  
დამავინყდება, რომ ერთხელ  
მხოლოდ ორნი ვიყავით მიხურულ კართან!  
შენი საამო ლაპარაკი სიმღერა იყო,  
რომლის მღერასაც მეც ვცდილობდი,  
თუმცა განსაცდელს მოეცვა მაშინ  
გაზაფხულის შემწყნარებლობა...  
შენი სიტყვები, კეთილმზომიანი,  
მერცხლებით გაფრინდა ჩემგან,  
კარებიც უკან მოიტოვა  
და ჩვენი ზღურბლიც შემოდგომისა...  
ნახვედი, ირგვლივ ყველაფერი დანალვლიანდა,  
ჩვენ სარკეები ჩამოგვემსხვრა...  
ხმის ნარჩენები შევაგროვეთ  
და ამის შემდეგ ყველაზე უკეთ  
სამშობლოს დატირება მოვახერხეთ.  
ნატირალს ერთად მოვათავსებთ გიტარის გულში,  
როგორც ეს ნაქვას? შეეფერება,  
და მას დასახიჩრებულ მთავრებს და ქვებს ვუმღერებთ.  
თუმცა დამავინყდა, უცნობხმინაო,  
რომ შენმა ნასვლამ ჟანგი მოსდო ამ ჩემს გიტარას.  
შენმა ნასვლამ თუ ჩემმა დუმილმა?!  
გუშინ გხედავდი ნავმისადგომთან;  
ნაპირს ტოვებდი სრულიად მარტო —  
უხელჩანთებოდ, უოჯახოდ, უნათესავოდ...  
მე ობოლივით გამოგვიკიდე,  
გეკითხებოდი წინაპართ სიბრძნეს:  
მწვანე ფორთოხლის გაშლილ კორომებს რად  
მიათრევენ  
ციხეში, პორტში, უცხოობაში?!  
ან ამ მგზავრობის,  
მარილისა და მონატრების იდუმალ სუნში  
რატომ რჩებიან ისინი მწვანედ?  
დღიურში ვინერ:  
ფორთოხალი მიყვარს. პორტი მძულს.  
ვაგრძელებ წერას:  
მეც დავდექი ნავმისადგომთან,  
მსოფლიოს ჰქონდა ზამთრის თვალები.  
მხოლოდ ფორთოხლის კანილა შეგერჩა,  
ჩემს უკან დიდი უდაბნო იყო,  
ეკალბარდები...  
ამ მთებში მწყემსი ქალი შევნიშნე  
ცხვრების გარეშე,  
გამოგდებული მიტოვებულ ნაბინავარზე?...  
ეს შენ იყავი ჩემი ბალი,  
მე კი ყარბმა  
დავაკაკუნე საკუთარი გულის კარებზე,

თუმცა ჩემს გულზე აღმართულიყო  
კარი, ფანჯარა, ცემენტი, ქვები!..  
ჭებში, ბელლებში დაგინახე  
გულგატეხილი, დამცირებული.  
ღამის კლუბებში დაგინახე,  
მიმტანი იყავ და მომსახურე.  
ცრემლებსა და ჭრილობების სხივებშიც გნახე...  
შენ ხომ ერთ-ერთი ფილტვი ხარ ჩემში,  
ხმა — ბაგეთგან გამომავალი,  
წყალიც ხარ, მინაც.  
მღვიმესთან გნახე,  
სახლთან —  
სარეცხის თოკზე ეკიდე  
შენი ობლების სამოსთან ერთად.  
კერასთან გნახე და ქუჩებში,  
ლობებთანაც  
მზის ჩასვლისას!  
ობლის მღერაში, გასაჭირში  
მე დაგინახე  
ზღვის მარილითა და ქვიშით სავსე,  
მინასავით ლამაზი  
და ბავშვებით...  
და არაბული ჟასმინით...  
ვფიცავ,  
წამწამებისგან შეგეკრავ მანდილს,  
და მხოლოდ შენი თვალებისთვის მოვქარავ მათზე  
სახელს, რომელიც გაახარებს  
გალობისაგან დამდნარი გულით მორწყულ  
ხმირსა და ჯიმიან ვაზებს...  
წინადადებას დავწერ კიდევ  
კოცნაზე, მრავალ მოწამეზე მეტად სანუკვარს  
და უფრო ძვირფასს. დიახ:  
„ის იყო პალესტინელი... და არის ისევ!“  
კართან, ფანჯრის ქვეშ,  
ქარიშხალში, შუალამისას  
იმ ჩვენს ღამეში გახვევებულ მთავრეს გავხედე!  
ვუთხარი ღამეს:  
იტრიალე ღობესა და სიბნელეს შორის.  
პაემანი მაქვს მე სიტყვებთან და სინათლესთან.  
ჩემი ქალწული ბალი იქნები  
მანამდე, სანამ  
მომარჯვებული ხანჯლებია ჩვენი ჰიმნები...  
ხორბლის მარცვლივით სავსე იქნები,  
სანამ ეს ჩვენი სიმღერები ნიადაგს გაანოყიერებს.  
შენა ხარ როგორც პალმა ხსოვნაში,  
რომელსაც ვერ ჭრის ვერც მეტყვევ, ვერც ქარიშხალი,  
ტყის და უდაბნოს მხეცებიც კი ვერ ერევიან  
და მის დალალებს ვერას აკლებენ...  
მე დევნილი ვარ, განდევნილი  
გალავნებსა და კარებს გაღმა.  
შენი თვალებით მომიჩრდილე,  
ქუთუთოები გადამაფარე.  
წამიყვანე, სადაც ახლა ხარ  
და აღმიდგინე  
სახისა და ტანის ფერი,



გულისა და თვალის სინათლე,  
პურისა და რითმის მარლიო,  
მინისა და სამშობლოს გემო.  
შენს თვალებს, მზერას შემაფარე.  
ნამიყვანე როგორც სევდის ქოსს შეფარებული ნახატი,  
ტილო,  
და როგორც ლექსი  
ჩემი ჩუმი დარდის წიგნიდან.  
თან ნამიყვანე, ვით სათამაშო,  
სახლის აგური,  
რომ ჩვენს შეილებსაც კარგად ახსოვდეთ  
გზა შინისაკენ.  
პალესტინელი თვალებით, დალით,  
სახელით, ლელვით და ოცნებებით,  
პალესტინელი თავსაბურავით,  
ტანით, ფეხებით,  
პალესტინელი სიტყვებითა და მდუმარებით,  
მღერით, ბგერებით,  
პალესტინელი დაბადებით, გარდაცვალებით,  
ძველ დღეებში შემოვიხანხე,  
ვით ნაპერწყალი,  
ლექსებისთვის ცეცხლს რომ დაანთებს;  
როგორც საგზალი მგზავრობისათვის.  
ამ დაბლობებზე გავეყვიროდი შენი სახელით:  
მე ვიცნობ რომაელთა ცხენებს!  
თუმც ბრძოლის ველი ის აღარ არის.  
უფრთხილდით ქუხილს,  
ჩემმა სიმღერამ  
მაგარ გრანიტზე რომ ამოტივტივდა.  
მე ვარ გმირების სამშვენიისი,  
რაინდო რაინდი,  
და კერპებს ვამსხვრევ.  
ჩემი ლექსები არნივებია,  
ლევანტის საზღვრებს თავს რომ დაჰფრენენ.  
შენი სახელით მტერს გავძახებ:  
მატლებო, ჭამეთ ჩემი ხორცი,  
თუ დამეძინა,  
ჭიანჭველების კვერცხებიდან  
არნივები ვერ გამოძვრებიან,  
ხოლო იქედნეს კვერცხის ნაჭუჭი  
მხოლოდ გველს ფარავს.  
მე ვიცნობ რომაელთა ცხენებს,  
თუმც უფრო ადრე ის ვიცოდი,  
რომ ნამდვილი რაინდო რაინდი  
და გმირების სამშვენიისი ვარ!

ქორნილი

შეყვარებული ბრუნდება ომიდან  
ქორნილის დღეს,  
საუკეთესო სამოსს იცვამს  
და მოკაზმული, რჩეული რაშით  
მოცეკვავენებს შორის იჭრება,  
შეძახილების ფონზე ხვდება თავის ფატიმას.  
მათ ორს უმღერის  
გადასახლების ყველა ხე და  
გლოვის რბილი თავსაბურავი.  
შეყვარებულის თვალები ჭკნება,  
ის შავგვრემან ხელს იწვდის ინისკენ  
და ქალის წმინდა ქსოვილისაკენ...  
შეძახილებით მოფენილ ცაზე  
თვითმფრინავები,  
თვითმფრინავები,  
თვითმფრინავები  
ჩნდებიან უცებ.  
ხელს ჩაავლებენ შეყვარებულს  
და, ჩახუტებულს, იტაცებენ  
სარეცელიდან,  
გლოვის რბილი თავსაფრებიდან...  
გოგონები ისევ მღერიან:  
დაქორწინდნენ,  
ო, მუჰამედ!  
ყველა გოგონა დაქორწინდა,  
ო, მუჰამედ!  
პირველი დამე  
ჰაიფას ნანგრევებზე გავატარე,  
ო, მუჰამედ!  
შეყვარებულთა ემირო,  
ო, მუჰამედ!  
ვაზზე დავქორწინდი,  
ლობეს მოდებულ ჟასმინზეც,  
ო, მუჰამედ!  
იარაღზე დაქორწინდი,  
ო, მუჰამედ!  
ბრძოლაზე,  
ო, მუჰამედ!  
ქვეყანაზე დაქორწინდი,  
ო, მუჰამედ!  
ო, მუჰამედ!

ბოლო საღამოს ამ მინაზე

ბოლო საღამოს ამ მინაზე  
დღეებს ვიჭრით ჩვენი ბუჩქებიდან,  
ნიკნებს ვითვლით, თან რომ მიგვაქვს  
და იმ ნიკნებსაც, აქ რომ გვრჩებიან...

არა, არაფერს ვეთხოვებით,  
თითქოს დრო ჩვენთვის არ მთავრდება.  
ბოლო საღამოს აქ ყველაფერს ადგილზე ვტოვებთ,  
თუმც ეს ადგილი მალე შეცვლის ჩვენს ოცნებებს,  
და თავის მნახველებს...  
უცებ მივხვდებით, რომ ხუმრობაც არ შეგვიძლია,  
მინა გვამების მისაღებად მზადაა უკვე.  
მთებს გარს ღრუბელი შემოვლებია,  
ამ ხედით ვტკბებით ბოლო საღამოს...  
დაპყრობა და ანტიდაპყრობა...  
ძველი დრო ახალს ჩვენი კარის გასაღებს აწვდის.  
შემოდით, დამპყრობლებო, ჩვენს სახლებში,  
ღვინო დალიეთ  
მსუბუქი მუეაშმაჰებიდან<sup>4</sup>,  
შუაღამე რომ გადაივიღოს,  
განთიადს გმირი აღარ მოიტანს  
უკანასკნელი აზანის<sup>5</sup> მხრიდან...  
დალიეთ ჩვენი მწვანე ჩაი, სანამ ცხელია,  
მოდით და ნედლი ფსტა მიირთვიეთ.  
მწვანე სანოლები კედრის ხისაა,  
ხანგრძლივი ალყის შემდეგ  
მოისვენეთ და დაიძინეთ  
ჩვენი ოცნებების ბუმბულებზე.  
ზენრები მზადაა,  
კეთილსურნელება კარზე კიდია,  
სარკე ბევრია...  
შედით სახლებში იმისათვის,  
რომ ჩვენ იქიდან გამოვიდეთ<sup>6</sup>.  
ის სულ მცირეა, რაც მოვიძიეთ,  
ჩვენი ისტორიაა თქვენს ისტორიაზე  
შორეულ ქვეყანაში.  
ბოლოს ვიკითხავთ:  
ანდალუსია<sup>7</sup> აქ იყო თუ იქ?  
დედამინაზე თუ... პოეზიაში?

ვინ ვარ მე გადასახლების გარეშე?

უცხო ვარ მდინარის ნაპირზე, და ვით მდინარეს...  
შენს სახელთან მაკავშირებს წყალი.  
ამ სიშორიდან აღარაფერი დამაბრუნებს ახლა  
პალმამდე —  
აღარც მშვიდობა და აღარც ომი.  
აღარაფერი მაიძულებს, რომ სახარება წავიკითხო  
და არ მიბიძგებს, მიქცევა-მოქცევის ამ ნაპირიდან  
გავდინდე ტიგროსს და ნილოსს შორის,  
აღარაფერი ჩამომიყვანს ფარაონების ნავებიდან,  
არ მომგვის ფიქრებს —  
არც სინანული, არც სურვილი, არც დაპირება.  
რალას ვიზამ?  
რალა უნდა ვქნა გადასახლების გარეშე,  
წყალს ჩაშტერებული გრძელი ღამის გარეშე?  
შენს სახელთან მაკავშირებს წყალი...  
ჩემი ოცნების სარეცელიდან რეალობისკენ არ  
მაბრუნებს  
აღარაფერი:  
არც ცეცხლი, მტვერი...  
რა უნდა ვქნა სამარყანდის ვარდის გარეშე?  
რა უნდა ვქნა სცენაზე, სადაც მომღერლებს  
მთვარის მბრწყინავი ქვებით ამკობენ?  
ავმჩატდით ისე, როგორც ჩვენი სახლები შორეულ  
ქარებში  
და ღრუბლებს შორის მოქცეული უცნაური არსებების  
ორ მეგობრად ვიქცეით...  
თავისთავადობის, იდენტურობის მატარებელი მინის  
ხიბლსაც კი  
გავუშვით ხელი.  
რალას ვიზამთ გადასახლების გარეშე,  
წყალს ჩაშტერებული გრძელი ღამის გარეშე?

შენს სახელთან მაკავშირებს წყალი...  
შენ დამრჩი მხოლოდ და შენგანაც  
ჩემ გარდა დარჩა აღარაფერი —  
უცხო, რომელიც უცხო ქალის თეძოს ეხება.  
უცხოვ!  
რას მოვუხერხებთ იმ სიმშვიდეს, ჩვენ რომ შემოგვრჩა  
და ორ მითს შორის გაჩხერილ თვლებსა?  
აღარაფერი გვაბადია — არც გზა, არც სახლი.  
რა უნდა ვქნათ?  
ეს გზა თავიდან ასეთი იყო?  
ბორცვზე  
მონღოლთა ცხენებს შორის  
ჩვენმა ოცნებამ იპოვა რაში?  
ყველა ჩვენგანი გავცვალა მასში?  
ოჰ, რალას ვიზამთ გადასახლების გარეშე?  
რა უნდა ვქნათ გადასახლების გარეშე?

მზა სცენარი

დავუშვათ,  
მე და ჩემი მტერი  
ციდან ჩამოვვარდით  
და ორმოში ჩავცვივდით.  
რა მოხდება?  
სცენარი მზადაა:  
თავიდან ჩვენს ხვედრს დაველოდებით —

იქნებ მაშველებმა მოგვაგნონ,  
სამაშველო თოკი ჩამოგვიგდონ...  
ის ამბობს: მე პირველი ვვალ,  
მე ვამბობ: არა, მე.  
მლანძღავს და ვლანძღავ  
ასე... უაზროდ,  
თუმც სამაშველო თოკი არსად ჩანს.  
სცენარის თანახმად,  
მე, ეგოისტი ოპტიმისტი,  
ვიწერე ჩემთვის ისე,  
რომ არც ვკითხულობ, მტერი რას ამბობს,  
ის კი თავისთვის იწერე ჩემთვის.  
ერთ მახეში,  
შესაძლებლობების ერთ თამაშში  
გაბმულები  
კვლავ საშველს ველით,  
რომ გავიაროთ თოკზე ცალ-ცალკე.  
თუ ხსნას ვერ შევძლებთ,  
ორმოს კიდევ უფსკრული მოჩანს —  
დარჩენილი ცხოვრების და  
ომის უფსკრული!  
ორივეს გვეშინია,  
თუმცა ამ შიშზე არ ვსაუბრობთ,  
ჩვენ ხომ მტრები ვართ.  
რა მოხდება, თუ სცენარის თანახმად,  
გველი გამოვა და დაგვეკლავს,  
და გადაგველაპავს  
მე და მას?  
სცენარის თანახმად,  
ჩვენ ერთად მოვკლავთ გველს  
და ვუშველით თავს  
ერთად,  
ან ცალ-ცალკე...  
მაგრამ ერთმანეთს  
მადლობასაც არ გადავუხდით,  
არც მივეულოცავთ  
იმას, რაც ერთად გავაკეთეთ,  
ჩვენ ხომ მხოლოდ ინსტინქტი გვმართავს,  
ხოლო ინსტინქტს  
იდეოლოგია არ გააჩნია.  
არ გვისაუბრია...  
გამახსენდა დიალოგის კანონი  
ორმხრივი დარღვევის დროს,  
როდესაც მითხრა:  
ის, რაც ჩემი გახდა, ჩემია,  
ხოლო ის, რაც ჩემია, შენიცაა და ჩემიც!  
და დროსთან ერთად,  
დრო ხომ ქვიშაა და საპნის ქაფი,  
მონყენილობამ, სინამდვილემ გვძლია  
და დაანგრია,  
თუკი რამ კარგი იყო ჩვენ შორის.  
მკითხა: რალა ვქნათ?  
უთხარა: მართლაც,  
შესაძლებლობა გამოგველია.  
მკითხა: საიდან მოვა იმედი?  
ზემოდან-მეთქი,  
მკითხა: ნუთუ შენ დაგავინწყდა,  
უაზრო ორმოში რომ ჩაგმარხე?  
დამავინწყდა, რადგან  
მომხიბვლელმა  
ხვალინდელმა დღემ  
გამათრია ჩემი ხელიდან  
და თან დალილმა ჩამიარა.  
მითხრა: ახლა რომ ვილაპარაკოთ?  
— ახლა რაზე ვილაპარაკოთ  
ღრმა ორმოსა და სამარეში?  
მითხრა: ჩემს წილზე და შენს წილზე  
ამ უსარგებლო საფლავეში.  
რალა აზრი აქვს?  
ჩვენ დრო გავგექცა,  
ბედი წესებს არ ემორჩილება.  
მკვლელსა და მოკლულს  
ერთ პატარა ორმოში სძინავთ,  
და ამ სცენარის დასრულება  
სხვა პოეტზეა...

თარგმანი ნინო დოლიძე

<sup>1</sup> ზონარი, რომლითაც არაბების ტრადიციული თავსაბურავი — ქუფია იკვრება.  
<sup>2</sup> ნაქბა (არაბ. კატასტროფა) — ეს ტერმინი გამოიყენება 1948 წელს ისრაელის მიერ პალესტინის დასავლეთ სანაპიროს ოკუპაციის აღსანიშნად.  
<sup>3</sup> აქ ორიგინალში არის სიტყვა atlatl (არაბ. ნაბინავარი), რაც შემთხვევითი არ უნდა იყოს. ეს სიტყვა გვხვდება არაბულ პოეზიაში, მრავალთემიან და პრავალპლანიან სინკრეტულ სალექსო ფორმებში — კასიდებში, სადაც მიჯნური სატროფოს ტომის ნაბინავართან ჩერდება მონატრებით იხსენებს ნარსულს. დარვიში კი ნაბინავართან გამოგვეხვალთ თავის სატროფოს — პალესტინას ხედავს.  
<sup>4</sup> მუეაშმაჰი (არაბ.) — სტროფული ლექსი.  
<sup>5</sup> აზანი — მონოდება ლოცვისკენ.  
<sup>6</sup> აქ პოეტი რეალურ ისტორიულ ფაქტებს აღწერს, როცა პალესტინელები იძულებულნი გახადეს, უცბად დაეტოვებინათ თავიანთი სახლები. მათ ეგონათ, მალევე დაბრუნდებოდნენ, მაგრამ სრულიად უქონლნი ლტოლვილებად იქცნენ, ხოლო ამ სახლებში მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსული ებრაელები შეასახლეს.  
<sup>7</sup> დარვიმისთვის იდეალური სივრცეა ანდალუსია — ადგილი, სადაც შუა საუკუნეებში ჩვეულებრივი რამ იყო მუსლიმთა, ქრისტიანთა და იუდეველთა თანაცხოვრება და კულტურულ-მეცნიერული თანამშრომლობა. ებრაელებისა და არაბების მშვიდობიანი თანარსებობის ისტორიული პრეცედენტი არსებობს!



X-XI საუკუნეების სპარსელი სუფი პოეტი დაიბადა ჰამადანში. ზუსტი ბიოგრაფიული ცნობების ნაცვლად მისი სახელი ლამაზი აღმოსავლური ლეგენდებითაა შემკობილი. ლექსების სტილი ხალხურია. აქტიურად იყენებს სასაუბრო ფორმებსა და მშობლიურ დიალექტსაც. ბაბა თაჰერის დუბეითები დღემდე დიდი პოპულარობით სარგებლობს ირანში და, ზოგადად, სპარსულენოვან სამყაროში.

მთარგმნელი

ბაბა თაჰერი

სამაროვანთან ჩავიარე, მოსილმა თალხით, ისმოდა კვნესა, ტრიალებდა ვაების ჩარხი... და თავის ქალა შესჩიოდა მინას გოდებით: „ნუთისოფელი ქერის ფშუტე მარცვლადაც არ ღირს“.

შენი ბინა ჩემი თვალი, თხოვნიტ გავნამდი, მის ფოსოებში დაივანე, დატკბი ამ ნამით, ოლონდაც, ფრთხილად, ამ თვალეზე სეირნობისას არ გაგეყაროს ფეხში ეკლად ჩემი ნამნამი.

მას, ვისაც უყვარს, ვერ აღმღვრევს შიში გუნებას, ვერა ბორკილმა ვერ შეცვალოს მისი ბუნება, შეყვარებულის გული, ალბათ, მშიერ მგელსა ჰგავს, რომელსაც მწყემსის შეძახილი არ ეყურება.

მე სხვა ოცნება არც მექნება, ვტირი თუ ვმღერი, დაუდგეს სატრფოს ტიტასავით გაფურჩქვნის ჯერი, ჩემი ნაღველი, ერთხელ მაინც, მთას თუ გაეანდე, არ იყვავილებს მის კალთაზე ბალახის ღერიც.

შემოკეკლუცდა გაზაფხული, მინდვრად მარები, მერე მის მსგავსად გაიხურა ყრმობამ კარები, ყრმათა საფლავზე ყელყელაობს ტიტა ურიცხვი, და მის საჭვრეტად გამოსულან ტანკენარები.

ის ცეცხლოვანი ფრინველი ვარ, რომლის ნათება ყველაფერს ნაცრავს, ფრთას რომ გზნება შეემატება, თუკი კედელზე მიმახატავს მხატვარი ვინმე, მთელ ამ სამყაროს გადაბუგავს ჩემი ხატება.

მთესავი ვინმე მინდვრად იდგა ცრემლდათხეული, თესავდა ტიტას მარტოკაცი, ბრგე და ეული, თან თესავდა და თან ვაებდა: „ვაგლახ, სანუთროვ! ჯერ უნდა ვზარდო, მერე დავთმო ეს ხელეური“.

სატრფოვ, ტიტა ხარ, მთის კალთაზე ნაზარდი ტიტა, ია ნყაროსთან ამოსული, თრთოლვა რომ იტანს,



თუ ტიტა მხოლოდ ერთი კვირით ცოცხლობს ამ ქვეყნად, შენ რად მეგულვი მთელი ჩემი ცხოვრების დვრიტად.

არ ვუნცი, გული ვინ შეშალა. ჩივის, კმარაო! ვის კერას უზის, ანდა საით დაგზაშარაობს, აღარც ის ვუნცი, სვედავსილი გული უხანო ვის მთვრალ ნარგიზებს ემონება ასე ამოოდ.


ვარდი შევნიშნე ეკლის ძირას, ობლად ნამყოფი, ვკითხე: „როდისლა შეგეხები, მთვრალი ამ ყოფით?“ მითხრა „მეზაღვე! მაპატიე, ნუკი დამძრახავ, სიყვარულის ხემ გვიან იცის მოსხმა ნაყოფის“.

ვიცი, არ მკითხავ გულგასენილს, დარდით დაკოდილს, ვინ იწილხვედრა ჩემი ბალი, ჩემი ნალკოტი, ერთი ხანია, შენს ხსოვნაში ჩავნაცრებულვარ, აღარც ის ვუნცი, ასე დიდხანს ვილას ამკობდი.

ღმერთო, მომხედე! მვედრებელნი შენა გხადიან, უთვისტომოსთვის თვისტომი ხარ, შემნეც, ცხადია. ყველა ერთს ამბობს, არა ჰყავსო თაჰერს არავინ, ღმერთო, შენს გარდა, მე სხვა სატრფო არ მაბადია.

თუ ეს გულია სატრფო, მაშინ სატრფო რა იქნა? და თუ პირიქით, შევუპყრივარ ახალ საფიქრალს. გულსა და სატრფოს ერთმანეთში შერწყმულს ვხედავ და ერთსაც ვეღარ ვცნობ, ან მეორე ვიცნო რარიგად.

თარგმან გიორგი ხულორდავაძე



ემზარ კვიციანიშვილი  
რქანითელის  
მტკვანი  
სრულყოფისაკენ სწრაფვა

08.05.2016. განმარტოებულს ბევრჯერ მიფიქრია და სინამდვილეში ასედაც არის — ლექსს, ამა თუ იმ ნაწარმოებს — არავითარი ღირებულება არ ექნება, თუ მასში მცირე ცოცხალი უჯრედი მაინც არაა, რამაც მისი დაბადება, ქაოსიდან გამოხმოება და ერთ სხეულად შეკვრა განაპირობა. ღვთაებრივი ბიძგის გარეშე ძნელად რომ რამე მნიშვნელოვანი დაინწროს. თუმცა ისეთი შემთხვევებიც ცნობილია, როცა არაერთი ჭეშმარიტი შემოქმედი შთაგონებას არ ელოდებოდა.

ერთმანეთთან თანაზომიერად მიწყობილი სიტყვები ფიტულბად, წყლის ნაყვად დარჩება თუ სტრიქონებში, სისხლის დარად, სხეულიდან, შენი გულის ფეთქვიდან დაძრული რიტმი არ მოძრაობს, რაც, თავის მხრივ, შეუმცდარი ინტონაციის დასაბამი ხდება. ყველაფერი ერთმანეთზეა გადაჯაჭვული. სამწუხაროდ, ზემოთ მინიშნული სამყარო და ამ უფერხორცო ნაცოდვილართა რაოდენობა შემამოფოთებლად იზრდება. რა დასამალია, არ მინდა, მეც ამნაირთა მარაქაში ვერო და ყოველნაირად ვცდილობ, ეს მწარე ხვედრი ავიცილო.

არ ვარგა შეუზღუდავი, ნებაზე მიშვებული სითამამე — არ უნდა გვეგონოს, რომ ყოველივე მოწესრიგებულია და საკუთარ ნახელავს აღარ მიუბრუნდება. ზოგჯერ მოგვიანებით შეიგრძნობ — სიტყვა შესაცვლელია და ხვდები, შესწორების შემდეგ ლექსი შესამჩნევად გაიმართა, მეტი ბუნებრიობა შეიძინა. დასრულებული ვარიანტი კბილ-ბაგით უნდა შეამომწო, გამოსცადო თითოეული ბგერის ჟღერადობა. უთუოდ გასათვალისწინებელია ხმოვანთა და თანხმოვანთა რიგი; მონოტონურობის ასაცვილებლად, სასურველია ერიდო სიტყვათა ერთნაირ დაბოლოებებს. უნდა გახსოვდეს კონტრასტის უძველესი და უბერებელი ხერხი — ყოველგვარი ჰარმონიის ძირი და საფუძველი, მრავალთა შემოქმედებას რომ მსჭვალავს.

ისიც მოსალოდნელია — რაიმე შეცვალო და ტექსტი გააფუჭო. ზედმეტმა ჩხირკედელაობამ შეიძლება ზომიერების ესოდენ საჭრო გრძნობა დაგაკარგინოს. მქონია შემთხვევები, არც ისე იშვიათად, ძველ ვარიანტს დავბრუნებდვარ. ხშირად, ამა თუ იმ ადგილის სისუსტე ხმამაღალი კითხვისას ამკარავდება და ეს მაშინვე უნდა ჩაინიშნო, დროზე მიხედო, გადადებო საქმეს ვნებს.

ჩემი ნაწერების უმთავრესი ნაკლი ყოველად გაუმართლებელი სიმრავლეა, რაც ერთგვარ ავადმყოფობად მექცა. ამის გამო შეუძლებელია ბევრ მათგანს დახვეწა არ აკლდეს. ხშირად ვვარდები ინერციის ტყვეობაში, რისგანაც თავის დაღწევა მიჭირს. თვითონ მიძნელებდა შედარებით უკეთესთა ამორჩევა და სხვა რაღას გაიკვალავს გზას ამ აბურღულ ტყეში.

ჩემი რჩეულის შესადგენად რომც მოიცალოს ვინმემ და თავი გადასდოს, ვეჭვობ, სასურველ შედეგს მიაღწიოს. დღემდე ვერ შევძელი ყველაზე საჭირო, მთლიანი წიგნების (ლექსადაც და პროზადაც) გამოკვეთა, განზრახულის ხორცშესხმა. თითქმის ყველაფერი ისევ ოცნებად, შეუსრულებელ სანადელად მრჩება. ჩანაფიქრთა, შუა გზაზე მიტოვებულ ნაწერთა უმრავლესობა კარტონის ყუთებში მაქვს ჩატკეპნილ-ჩაჭედული და თანდათან ფარავს დავინყების მტვერი. ამის აღიარება მეტისმეტად მტკივნეულია, მაგრამ აღუნიშნაობაც არ ივარგებს. იმდენს ვერ მივმხვდარვარ, ვინმეს ხათრის გასანეგად დრო აღარ მაქვს და ისევ სხვათა სისულელეებს ვასწორებ, ათას რამეზე ვცდები.

კითხვით საკმაოდ ბევრს ვკითხულობ, მაგრამ ესეც მთავარი მიზნიდან გადახვევაა და საგრძნობლად ვზარალებდი: დიდხანს მიტოვებული მქონდა და მივუბრუნდი ბელგიელი (ფლანდრიელი) დრამატურგის მიშელ დე გელდეროდის (მას პროზაც აქვს, რომელიც გამოცემული არ მინახავს) წიგნს „თეატრი“. აქ პიესებია და თითქმის ყველა მათგანი გატაცებით იკითხება. ჯანგატეხილი, ავადმყოფი კაცი იყო, ოთახში ჩაკეტილი. ასკეტურად იცხოვრა, მაგრამ ამას ხელი არ შეუშლია მეტად თავისებური სამყარო შეექმნა, გროტესკული ნიღბებით აღსავსე. გელდეროდზე განმსაზღვრელი გავლენა მოახდინა მხატვრობამ, მუსიკამ, ანტიკურმა და ელისაბედის ეპოქის ინგლისურმა დრამამ. მაღლიერებით ჰყავს მოხსენიებული, ვისაც კი მის მწერლად ჩამოყალიბებაში წვლილი შეუტანია. მრავალმხრივი განათლება ხელს არ უშლის, მეტისმეტად თავმდაბალი და ბუნებრივი იყოს. სურვილი გამიჩნდა, გავიგო, მისი რამე თუა კიდევ რუსულად თარგმნილი. უეჭველად საინტერესო იქნება.

ლიტერატურული გაზეთი  
საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტრო  
საქართველოს მწერალთა სახლი

რედაქტორი ირაკლი ჯავახაძე  
რედაქტორის მოადგილე უჩა შერაზადიშვილი  
ჟურნალისტი თამარ ყურული

მობ. ტელ.: (577)742277; (599)269852; e-mail: litgazeti@yahoo.com

ISSN 2346-7940  
9 772346 794004